

## შ უ ქ ი ა ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე

### სახელებთან რიცხვმონაცვლე ზმნების შეთანხმების წესებისათვის

1. სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმების წესები რიგ შემთხვევაში სრულიად გარკვეულია. იგულისხმება:

- ა) მრავლობითში დასმულ სულიერ სახელებთან ზმნაც მრავლობითშია, ე. ი. ზმნა ეთანხმება სახელს (აქ: ქვემდებარეს): კაცი მიდის — კაცები / კაცნი მიდიან, ძალი ყეფს — ძალები ყეფენ);
- ბ) უსულო სახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებთან ზმნა, ჩვეულებრივ, მხოლოდშია (სახლები / მაგიდები დგას), თუკი სახელებს სათანადო პირის ნაცვალსახელის - **ნარ/თანანი** ფორმები (ისინი / მათ) არ ენაცვლება (ისინი დგანან);
- გ) ამავე წესს მისდევს (ე. ი. მხოლოდში დადგება ზმნა კრებით სახელებთან (სტუდენტობა / ახალგაზრდობა მხიარულობს. შდრ.: სტუდენტები / ახალგაზრდები მხიარულებენ) და შეწყვილებული (დეფისით გაფორმებული) სახელები (ცოლ-ქმარი / დედა-შვილი... ტკბილად ცხოვრობდა) (შდრ.: ცოლი და ქმარი / დედა და შვილი... ცხოვრობდნენ).

მაშასადამე, არც ერთ ამ შემთხვევაში ორაზროვნება არა გვაქვს.

2. იმასვე ვერ ვიტყვით ე. წ. სუბლექტური ზმნების ხმარების შემთხვევათა შესახებ. ეს გასაგებიცაა: აქ **ფორმალური** შეთანხმების წესებში იჭრება **აზრობრივი** შეთანხმების საკითხი, რაც ართულებს ერთმნიშვნელოვანი წესების ჩამოყალიბებას და, აქედან გამომდინარე, მათ დაცვასაც.

ლექსიკური საშუალებებით გამოხატული მრავლობითობა ენის სიმდიდრეა და შეუძლებელია მავანთა გაუთვითცნობიერებლობის გამო მათ ადვილად (უპასუხისმგებლოდ) შეველიოთ. ამასთან, რყევის პროცესიც თვალსაჩინოა, მაგრამ მაინც შესაძლებელია ნორმატიული

და არანორმატიული საკითხების გამიჯვნა.

3. ნორმატიული საკითხების დასმა-გადაწყვეტისას გასათვალისწინებელია ქართულისათვის დამახასიათებელი მტკიცე სინტაქსური წესი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელებთან (რიცხვით სახელებსა და განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ სხვა სახელებთან) საზღვრულებისა და მათთან შეხამებული ზმნების მხოლოდში ხმარებისა. ეს ერთგვარი „ჯაჭვური რეაქცია“ საეჭვოს ხდის ამგვარ შემთხვევებში სუბლექტური ზმნების ხმარების საჭიროების საკითხს.

4. გასათვალისწინებელია ზოგიერთი სემანტიკურ-სტილისტიკური ფაქტორიც, რომლებიც იძლევა იმის საფუძველს, რომ დაისვას საკითხი რიგ შემთხვევაში სუბლექტური და მათი მონაცვლე რეგულარული ზმნების პარალელური ხმარების დაშვების შესახებ.

## ნ ა ტ ო ა ხ ა ლ ა ი ა

### ერთპირიანი მედიაქტივები მეგრულში (ქართულთან შეპირისპირებით)

საშუალო გვარის ზმნა, ქართულის მსგავსად, მეგრულშიც მრავალფეროვნებითა და სირთულით გამოირჩევა, რასაც ამ ტიპის ზმნათა ფორმობრივ-სემანტიკური სხვადასხვაობა განაპირობებს.

მეგრულში საშუალო გვარისაა სხვადასხვა სემანტიკის მქონე ფორმები, ესენია: ა) ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ზმნები; ბ) ხმის, ხმაურის აღმნიშვნელი ზმნები; გ) ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები; დ) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნები; ე) ქართულიდან ნასესხები ზოგიერთი ფუძე და სხვ.

ერთპირიანი მედიაქტივები მეგრულში შემდეგი თავისებურებებით გამოირჩევა:

1. მეგრულში ერთპირიანი მედიაქტივთა საწარმოებლად, ქართულისგან განსხვავებით, მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმა კი არ გამოიყენება, არამედ საშუალო გვარს საკუთარი ფორმა-

წარმოება აქვს, რითაც ემსგავსება მოქმედებითი გვარის ზმნებს (**ფუნ-ს** — დულ-ს, **გე-ფუნ-ს** — ი-დულ-ებ-ს, **გე-ფუ** — ი-დულ-ა).

2. მეგრული მყოფადისა და ნამყო ძირითადისათვის, მეტწილ შემთხვევაში, დამახასიათებელია უპრეფიქსო ფორმალაწარმოება, რაც უცხოა თანამედროვე ქართულისათვის (**ლალ-უნ-ს** — ყეფს, **ლალუ** — ი-ყეფ-ა).

3. მეგრულში მყოფადის წრესა და ნამყო ძირითადის ნაკვთებში გარჩეულია სრული და უსრული ასპექტის ფორმები. ქართულში კი ამ ტიპის ზმნებს ასპექტის გაგება არა აქვთ (**ლალ-უნ-ს** — ყეფს, **ქო-ლალ-უნ-ს** — ი-ყეფ-ებ-ს, **ლალუ // ქო-ლალუ** — ი-ყეფ-ა).

4. მეგრულში ერთპირიანი მედიოაქტივები დაირთავენ [**ქო-**], **გო-**, **დო-** ზმნისწინებს, რომლებიც, ქართულისგან განსხვავებით, გეზსა და ორიენტაციაზე არ მიუთითებენ.

## ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

### ერთი გვარის ისტორიისათვის აჭარაში

საგვარეულო გადმოცემით, ჯვაროსნული ლაშქრობიდან უკან დაბრუნებისას ერთ-ერთ ჯვაროსან მოლაშქრეს, აბჯაროსან ახვლედიანს მოსწონებია ეს ადგილი და დასახლებულა მახინჯაურში. ბუნებრივია, ჯვაროსნულ ლაშქრობაში, შესაბამისად აღჭურვილ-შეიარაღებულნი, აბჯარასხმულნი, „აბჯაროსანი“, ანუ ჯავშნით შემოსილნი დებულობდნენ მონაწილეობას.

ჩვენი ნაშრომის მიზანია, წარმოვადგინოთ ერთი გვარის ისტორია აჭარაში. ესენი არიან ლეჩხუმიდან მოსული — მახინჯაურელი ახვლედიანები — ალხამუშ ახვლედიანის შთამომავლები. ალხამუშში ერთ-ერთი ბოლო ქრისტიანი ახვლედიანი იყო, რომელიც მახინჯაურშია დაკრძალული.

აჭარაში, თურქების ბატონობის დროს, ახვლედიანებმა, ისევე როგორც თითქმის ყველა სხვა მცხოვრებმა, მიიღეს თურქული „ოლ-

ლით“ გაფორმებული გვარი. ასე მაგალითად, ახვლედიანი გახდა კირისილოლი. ამ ფაქტს ადასტურებს 1944 წელს გამოცემული მკვლევარ ხარიტონ ახვლედიანის მონოგრაფია: „ნარკვევი აჭარის ისტორიიდან“ (XVI-XVII ს.ს.), რომელშიც ავტორი ორივე გვარს, ახვლედიანთან ერთად იქვე ფრჩხილებში კირისილოლსაც უთითებდა. გვარი კირისილოლი ერთი ეპოქის ნაყოფია, თურქების ბატონობის დროინდელი (აბჯაროსანი ახვლედიანი თურქულ ენაზე ითარგმნა, როგორც კირისილოლი ახვლედიანი). ძირძველ ქართულ გვარებს, ასევე ქართულ ტოპონიმებს, თურქები მათთვის გასაგებ ენაზე თარგმნიდნენ. ასე მაგალითად, თურქების შემოსვლის შემდეგ ქართული „წყავნარი კონცხი“ მათ პირდაპირ თარგმნეს, როგორც „კარაიემიშ ბურუნ“ (ყარა- შავი, იემიშ — „საჭმელი“), ხოლო რუსების შემოსვლის შემდეგ, იგივე ტოპონიმი, ამჯერად რუსებმა თარგმნეს რუსულ ენაზე, როგორც „зелёный мыс“ — მწვანე კონცხი.

## მ ა ი ა ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი

### კულტურული რეინტეგრაცია და დიალექტის განვითარების ზოგი საკითხი (ნათესაობის აღმნიშვნელი ინგილოური ლექსიკის მიხედვით)

ინგილოური დიალექტი სუკუნეების მანძილზე განიცდიდა აზერბაიჯანული ენის გავლენას, რის გამოც იგი დაშორებული იყო სალიტერატურო ქართულსა და სხვა აღმოსავლურ კილოებს. დიალექტის მკვლევრები რ. ღამბაშიძე, ბ. ჯორბენაძე, ნ. როსტიაშვილი, ვ. ჯანგიძე აღნიშნავენ: „ინგილოური კილო განიცდის აზერბაიჯანული ენის გავლენას და მოსალოდნელია, რომ ეს გავლენა კიდევ უფრო იმატებს მომავალში“. ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტებზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ინგილოურ დიალექტში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან სალიტერატურო ქართულის გავლენის ახალი ფენა იკვეთება. ხელოვნურ იზოლაციაში მყოფ ინგი-

ლოურ დიალექტში გაჩნდა ეროვნული ენის ხელახალი გავლენის კვალი და „ცენტრისკული“ ტენდენციები (მ. ბერიძე). რაც, ჩვენი აზრით, კულტურული რეინტეგრაციით არის გამოწვეული. 1990-იანი წლიდან საინგილოს ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივი არხის გადაცემების მიღება, ხოლო 2000 წლიდან მას დაემატა „რუსთავი 2“ და „იმედი“. ამ და სხვა სახის ალდგენილი კონტაქტების წყალობით ინგილოურის ლექსიკურ ფონდში აღდგა ძველი, მივიწყებული ფორმები.

მოხსენებაში განვიხილავთ მოსე ჯანაშვილის, რ. დამბაშიძის, გრ. იმნაიშვილის, ვ. კუზიბაბაშვილისა და პროექტის „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ ფარგლებში (ავტორი მ. ბერიძე) 2005-2007 წლებში ჩაწერილ ტექსტებს.

აღსანიშნავია, რომ ვ. კუზიბაბაშვილის მიერ ჩაწერილ ტექსტებში უკვე დასტურდება ერთი მთქმელის მეტყველებაში პარალელურად გამოყენებული სინონიმური ფორმები, რომელთაგან ერთი აზერბაიჯანულია, მეორე კი — ქართული: **Ana-** დედა; **qardas-** ძმა და სხვ. ხოლო 2006 წლიდან, აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩაწერილ ტექსტებში, თითქმის განდევნილია ნათესაობის აღმნიშვნელი უცხოენოვანი ლექსიკა და გვხვდება მხოლოდ ქართული, როგორც ახალგაზრდების, ასევე ხანდაზმულების მეტყველებაში:

მაგალითად: **qardas** — ძმა, **iezna** — სიძე, **tai** — ბიძა, **qoum** — ქვისლი, **qirva** — ნათლია და სხვა.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ჩვენ მიერ მოძიებულ მასალას და განვიხილავთ ინგილოური დიალექტის თანამედროვე ენობრივ ვითარებას.

## გ უ რ ა მ ბ ე დ ო შ ვ ი ლ ი

### ერთი მხატვრული მეტაფორის შესახებ ალ. ყაზბეგის „ნამწყემსარის მოგონებანის“ მიხედვით

1. მოთხრობაში „ნამწყემსარის მოგონებანი“ ალ. ყაზბეგს შეუქმნია ერთ-ერთი საუცხოო მხატვრული სახე. იგი წერს: „ცხვარი გაიძაბა ვიწრო ხვეულს ხეობაზედ და დაემსგავსა მოძრავს გრძელს ხორტს“ (თხზ., გვ. 463, 10).

ალ. ყაზბეგის თხზულებათა ლექსიკონის შემდგენელს (პროფ. შ. ძიძიგური) საეჭვოდ მოსჩვენებია სისწორე სიტყვისა „ხორტი“; ამიტომაც სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში კითხულობს: ხომ არ უნდა ყოფილიყო **ხორტი**? თავის ეჭვს მკვლევარი იქვე განმარტავს: „ეს სავარაუდებელია შინაარსის მიხედვით და ამავე დროს ადვილად მივიღებდით **ზ**-ს ადგილას **ხ**-ს: ან ჩამოტეხილია ზედა ნაწილი (**ზ** ასოსი) ნაბეჭდში, ანდა გაუგებრობა (ხაზი ჩვენია, გ. ბ.) წარმომდგარია ავტოგრაფში **ხ — ზ** ხელნაწერ ასოთა მსგავსების საფუძველზე“ (თხზულებათა ლექსიკონი, გვ. 553).

2. მწერლისეული „**ხორტი**“ მოხეური სიტყვაა და ყინულის პატარ-პატარა ნამტვრევებს ნიშნავს. მოხეურ **ხორტს** მთიულეებში „**ხორდი**“ შეესიტყვება იმავე მნიშვნელობით (ლ. კაიშაური). **ხორტი** განმარტებულია საბას და ნ. ჩუბინაშვილის მიერ როგორც „დიდი ყინულის ნაჭერი“.

3. დიალექტური ფორმის „გასწორებამ“ იშვიათი გამომსახველობითი ძალის მეტაფორისაგან აღარაფერი დატოვა: ცხვრის ფარის „**ზორტივით**“ სვლა სრულიად არაფრისმთქმელი სახეა.

აქედან ჩანს, რომ მწერლის ენაზე მომუშავე ენათმეცნიერს, მით უმეტეს, დიალექტოლოგს, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს.

## ც ი ა ლ ა ბ ე ნ დ ე ლ ი ა ნ ი

### მიგრაციები ცხენისწყლის ხეობაში და სამეტყველო კოდების აღწერის თავისებურება

მოხსენებაში წარმოდგენილია ცხენისწყლის ხეობის მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ლინგვისტური საკითხები. კერძოდ, კოდების შერევის პრობლემა.

ცხენისწყლის ხეობიდან / ხეობაში XIX საუკუნის ბოლოდან ინტენსიურად წარიმართა მიგრაციული პროცესი, რის გამოც იმერეთის სამეგრელოსპირა ზოლში ამჟამად მიკროქართველური სამეტყველო არეალია წარმოქმნილი. აქტიურად მიმდინარეობს მიკრონთა შერევა, თუმცა მიგრაციები ისეთი მასიური და ინტენსიური აღარ არის, როგორც იყო II მსოფლიო ომის შემდეგ, მომდევნო პერიოდში — ურბანიზაციის / ეკოკატასტროფების საფუძველზე, აფხაზეთის ომის შედეგად. სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით ახალ ვითარებას ქმნის საქართველოდან სხვადასხვა პერიოდულობით ემიგრირებულთა სიმრავლე.

ცხენისწყლის ხეობაში ამჟამად ქვემოიმერელთა გარდა სახლობენ: გაიმერლებული ძველი მიგრანტი მეგრელები; ურბანიზაციის საფუძველზე მიგრირებული ცხენისწყლისხეობელი ლეჩხუმელები; XIX ს. II ნახევრიდან აფხაზეთში შესული, აფხაზეთის ომამდე და ომის დროს ხეობაში მიგრირებული ქვემოიმერლები, ზემოიმერლები, ლეჩხუმელები, რაჭველები; აფხაზეთში ადრეულ პერიოდში მიგრირებული მეგრელები (მარტვილიდან და სხვ. რაიონებიდან) და სვანები (ბალსზემოელი, ბალსქვემოელი, ჩოლურელი, ლაშხეთელი და ლენტეხელი); უფრო ადრეული პერიოდებიდან — ეკოდევნილი ლენტეხელი სვანები; ეკომიგრანტი აჭარლები სხალთის ხეობიდან; კათოლიკე მესხები (ე. წ. „ფრანგები“) XX საუკუნის დასაწყისიდან; რუსთა და უკრაინელთა მცირერიცხოვანი სოციალური ჯგუფები (30-იანი წლებიდან); XX საუკუნის დასაწყისიდან — ახალსირიელთა მცირერიცხოვანი ჯგუფები, 40-იანი წლებიდან სამხრეთ საქართველოდან ნებაყოფილებით მიგრირებული სომხები.

არაქართულენოვან სამეტყველო ჯგუფებს / ინდივიდებს შენარ-

ჩუნებული აქვთ მშობლიური სამეტყველო კოდები, საკომუნიკაციო დონეზე ფლობენ ქართულ სალიტერატურო და დიალექტურ სამეტყველო კოდებს, განათლებას იღებდნენ და იღებენ რუსულ ენაზე.

დამხვედური და მიგრირებული მოსახლეობის სამეტყველო კოდთა შერევის ანალიზი აუცილებლობით საჭიროებს დამხვედურ სამეტყველო კოდში სუბსტრატული დანალექის შესწავლას, შემოსული მოსახლეობის სამეტყველო კოდებში მიგრაციამდელი ცვლილებების გამოყოფას, ასეთივე მეთოდით შეისწავლება თითოეული მიგრირებული სამეტყველო კოდი — მიგრაციამდელ პერიოდებში მომხდარი შერევები (დამხვედურ სამეტყველო კოდთან / სხვა მიგრირებულ კოდებთან). შემდგომი ეტაპია მიგრაციის პერიოდში მომხდარი ცვლილებების ანალიზი. კვლისას მივმართავთ შერეული ანალიზის მეთოდს.

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის საანალიზო რეგიონში წარმოქმნილი მოზაიკურობა: მიკრომოზაიკურია, მაგ.: დევნილთა კომპაქტური დასახლება, მაკრომოზაიკური შეიძლება ეწოდოს საანალიზო რეგიონს.

ქართულ სალიტერატურო ენობრივ კოდთან და კოდებს შორის ურთიერთობათა შესწავლა ემყარება თითოეული სოციალური / სამეტყველო ჯგუფის დეტალურ სოციოლოგიურ აღწერას. უკვე ადაპტირებული მეთოდების გარდა რეგიონში შექმნილი სპეციფიკური ვითარებიდან გამომდინარე ვიყენებთ აღწერის დამატებით საშუალებებს, რის საფუძველზეც შესაძლებელია გამოიყოს სოციალური დიატიპები, სოციალური საქმიანობის სფეროთა მიხედვით სამეტყველო რეპერტუარებში აღინუსხოს ნარეგ მიკრონთა გამოყენების სიხშირე, თითოეული სამეტყველო კოდის ადგილი კოდების იერარქიაში, კორელაციის დადგენა — ფონოლოგიური ცვლადი / სოციოლინგვისტური ცვლადი, იდენტური / არაიდენტური, საბაზო დიაფონის შემთხვევაში მიგრირებულ და დამხვედურ სამეტყველო კოდებში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები და ა. შ.

საკვლევ რეგიონში სამეტყველო კოდთა შერევის ანალიზისას აუცილებელია მასალის ინტერდისციპლინარულ სიბრტყეზე განხილვა.

**„ვაჰანისა“ და „ვახანის“ ისტორია-ეტიმოლოგიისათვის**

**ვანი** გავრცელებული სიტყვაა ქართულ ენაში. მისი მნიშვნელობა იყო: სადგომი, სახლი, დაბა, საცხოვრებელი (ი. აბულაძე). მისგან არის წარმოქმნილი სიტყვები: სავანე, დავანება, სავანის დადება და სხვა.

ბევრია **ვან-** ფუძის შემცველი ტოპონიმები საქართველოში: ვანი, ვანათი, ვანეთი, ვანელი, ვანიქელი, ვანისჭალა, სავანე, სავანისუბანი, ვანისხევი და სხვა.

**ვანის ქვაბები**, რომელიც მდებარეობს მტკვრის ხეობაში, ვარძიასთან ახლოს, ისტორიაში ცნობილია **ვაჰანის ქვაბებად**. შემორჩენილია მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი „ვაჰანის ქვაბთა განგება“.

საშუალო ირანული ვანი საშუალო სპარსულში წარმოდგენილია **ჰ** და **ხ** თანხმოვნებით — ვაჰან (ვაჰან) ფორმით (მ. ანდრონიკაშვილი).

ქართულ ტოპონიმიაში დასტურდება სამივე ფორმა, როგორც **ჰ** და **ხ** თანხმოვნებით, ისე თანხმოვნების გარეშე: ისტორიული **ვაჰანი**, ვახანი — ზემო იმერეთში და ვანი დასახლებული პუნქტის თუ ნასოფლარის სახელად საქართველოს ტერიტორიაზე.

**ვახანისა** და **ვაჰანის** იგივეობა-ნათესაობაზე მიუთითებს თ. ჟორდანიამ, ლ. მესხელიშვილმა და სხვებმა. მათი აზრით, **ვახანი** მე-სხეთში ოსმალეთის გაბატონების შემდეგ **ვაჰანიდან** გადმოსულემა დააარსეს ზემო იმერეთში.

1393 წლის ერთ-ერთი მინაწერის მიხედვით **ვაჰანი** უკვე **ვანის** სახით იხსენიება. **ვანს** უწოდებენ ვაჰანს მე-15-მე-16 საუკუნეებში. ვანის ქვაბებად იცნობს ამ პუნქტს ვახუშტიც.

ვაჰანიდან მისი სეხნია (ფონეტიკური ვარიანტი) ტოპონიმი ზემო იმერეთში ოსმალთამდე ბევრად ადრე უნდა წარმოქმნილიყო, ალბათ მაშინვე, როდესაც ვანის ქვაბებში მონასტერი იყო. შეიძლება იგი საერთოდ დამოუკიდებლად წარმოქმნილი სახელიც არის.

**ახალი მასალები ლაზური დიქლექტის დარგობრივი ლექსიკიდან**

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მივლინებით 2008 წლის 9-დან 22 აგვისტომდე ლაზური ტექსტების ჩასაწერად ვიყავით ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში. ჩვენი მივლინება არ ითვალისწინებდა ექსპედიციას თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ლაზეთში, მაგრამ ჩვენი მასპინძლის, სარფელი მუჰამედ (მამია) კახიძის მეშვეობით მასალა იქაც მოვიპოვეთ, კერძოდ, ვიწყსა (ახლანდელი ფინდიკლი) და არქაბეში.

ვიდეო და აუდიო მასალა შეიცავს სხვადასხვა თემატური შინაარსის ტექსტებს:

**სოფლის მეურნეობის დარგები:** მეზოსტენობა, მევენახეობა-მელვინეობა, მემცენარეობა: სასოფლო-სამეურნეო მცენარეების — სიმინდი, დიკა, ქურუმი „ლომი“, კანაფი, თამბაქო, ციტრუსი — მოყვანა, მოვლა-გაშენება; მეთევზეობა: თევზაობის პერიოდი, პირობები, თევზის ჯიშები, თევზის შენახვის წესი; მეფუტკრეობა: მოშენება, მოვლა, მისი თვისებები; მესაქონლეობა: მეცხვარეობა, მეძროხეობა, მე-თხევებობა; მათი მოვლა-მოშენება; რძე და რძის ნაწარმი. ნადირობა; სასოფლო-სამეურნეო იარაღი და ტრანსპორტი: გუთანი, ხარები, ცხენი, ურემი.

**ნაგებობანი:** საცხოვრებელი ნაგებობანი — ფიცრული სახლი, მისი აღწერილობა; სამეურნეო ნაგებობანი — ბელელი, საბძელი, საცეხველი; სამშენებლო მასალები — ქვა, ხე.

**სამოსელი:** მონადირის, მეთევზის, მეფუტკრის, საქორწილო, სამგლოვიარო.

**ხელოსნობა:** საწნახელის, დერგის, კალათის, სალამურის და სხვა ნაკეთობათა დამზადება; ნავის აგება, მისი ნაწილები; ფეიქრობა: ქსოვა; მეთუნეობა: კეცისა და ქვევრის გაკეთება; რეწვა: თხის ბეწვისა და ცხვრის ტყავისაგან ძაფის დამზადება; ზღვაში მარლის მოპოვება.

**ადათ-წესები:** ქორწილი, შრომის სიმღერები, დაკრძალვასთან, ახალ წელთან, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული ადათები;

ამინდის გამოცნობის ხალხური წესები.

**თავგადასავლები, მოგონებები** ბავშვობიდან, ტრადიციებზე, გამოჩენილ ადამიანებზე.

**ისტორიული ცნობები:** ანსამბლ „ჰეამოს“ ჩამოყალიბება, მცირე ისტორია ლაზეთზე, ლაზეთის სარწმუნოებაზე, სარფში ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობაზე.

**რწმენა-წარმოდგენები:** ზღვასთან დაკავშირებული წესები, საადღგომო კვერცხის შეღებვა, შელოცვები, ბატონები.

გარდა გაბმული ტექსტების ჩაწერისა, შევისწავლეთ შემდეგი სემანტიკური ჯგუფის ლექსიკა: ნათესაური ურთიერთობანი; სხეულის ნაწილები; გარეგნობა; დაავადებანი; ადამიანის სხვადასხვა თვისებები; პურის ჭამასთან დაკავშირებული ლექსიკა; ფრაზეოლოგიზმები (ფიცის, დალოცვის, წყევლის, სამოსელთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები); ხენა-თესვის ლექსიკა; წისქვილი; ბაღჩეული; ხეხილი; ვაზი; საჭმელები; რძის ნაწარმი; მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკა; ბუნების მოვლენები.

ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა, თვალი მივადევნოთ ლაზური დიალექტის გრამატიკულ და ლექსიკურ ცვლილებებს. ვფიქრობთ, ის ასევე საინტერესო იქნება ეთნოგრაფიის, ისტორიისა და ფოლკლორის მკვლევართათვისაც.

## თ ი ნ ა თ ი ნ ბ ი კ ა შ ე ვ ი ლ ი

### მესამე დიათეზის სტრუქტურის ინვერსიული ზმნები სვანურ ენაში

(ბალსხემოური დიალექტის მონაცემთა მიხედვით)

ინვერსია სვანურ ენაში აქტიურად მოქმედი პროცესია. ამას მოწმობს ზეპირ მეტყველებაში მათი გამოყენების სიხშირე და მიცემითში დასმული აქტანტის რიცხვში შეთანხმების უნარი.

ქართულში გვაქვს ერთი წყება სტატიკური ზმნებისა, რომელთა აწმყოს ფორმების **ა-უ-** სამიმართებო პრეფიქსებს წყვეტილში

ცვლის **ე- ა-** შესატყვისი სვანურშიც **ა-** პრეფიქსია, ხოლო **უ** ხმოვანს **ო** შეესაბამება. — **ო-** ქართულში აწმყოს ფორმებში ზოგჯერ **ა-უ-** პრეფიქსების ნაცვლად პირის ნიშნებია ხოლმე წარმოდგენილი. ამ შემთხვევაშიც სვანურის იდენტურ ფორმებში გვხვდება **ა-** პრეფიქსი:

**ხ-ა-შუალა** „აბადია“ („აშაფია“), **ხ-წ-გ** „ჭხურავს“ (< „ა-დგ-ა-ს“), **ხ-ო-რ-შ-ა** „უფენია“ (< „უ-რეც-ი-ა“).

„აბია, უფენია“ ტიპის ზმნები სვანურში მიცემითბრუნვიანი სახელის მრავლობითს ასახავს მარკერით, რაც იმას ნიშნავს, რომ მეტყველის ცნობიერებაში მიცემით ბრუნვაში მდგარი სახელია სუბიექტი, მაგრამ არა აქტიური, არამედ განმცდელი:

|   |   |
|---|---|
| მხ. რ.  | მრ. რ.                                    |
| O <sub>1</sub> <b>მ-წ-ბ მი ეჯა</b> „აბია მე ის“ | O <sub>1</sub> inkl. <b>გუ-წ-ბ</b>        |
|   | O <sub>1</sub> excl. <b>ნ-წ-ბ ნად ეჯა</b> |
| O <sub>2</sub> <b>ჯ-წ-ბ სი ეჯა</b>              | O <sub>2</sub> <b>ჯ-წ-ბ-ხ სგად ეჯა</b>    |
| O <sub>3</sub> <b>ხ-წ-ბ ეჯას ეჯას</b>           | O <sub>3</sub> <b>ხ-წ-ბ-ხ ეჯაღრს ეჯა</b>  |

სვანური სტატიკური ინვერსიული ზმნები განარჩევენ შემდეგ ყალიბებს: **ხ-ა-აო/R-Ø** და **ხ-ა-აო/R-ა**.

გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებს სვანურშიც, ქართულის მსგავსად, უსუფიქსო ძირეული სტრუქტურა მოეპოვება: **ხ-ა-სდიც** „სწყინს“, **ხ-ა-სისგ** „სძულს“, **ხ-ა-ფენ** „სწსური“, **ხ-ა-თემ** „სჭირს“, **ხ-ა-მჭირ** „ეზარება“ (ზოგი ამ ტიპის ზმნა ქართულად დინამიკური ვნებითის ფორმით ითარგმნება) და ა. შ.:

|  |  |
|--|--|
| მხ. რ.   | მრ. რ.                                       |
| O <sub>1</sub> <b>მ-მჭირ მი ეჯა</b> „მეზარება“ | O <sub>1</sub> inkl. <b>გუ-მ-მჭირ</b>        |
|  | O <sub>1</sub> excl. <b>ნ-მ-მჭირ ნად ეჯა</b> |
| O <sub>2</sub> <b>ჯ-მ-მჭირ სი</b>              | O <sub>2</sub> <b>ჯ-მ-მჭირ-ხ სგად</b>        |
| O <sub>3</sub> <b>ხ-მ-მჭირ ეჯას</b>            | O <sub>3</sub> <b>ხ-მ-მჭირ-ხ ეჯაღრს</b>      |

სწორედ ამ ზმნების სახით არსებობდა პოტენცია, რომ სუსტი ნებელობის მქონე სუბიექტი აღნიშნულიყო მანის რიგის ნიშნებით. „აქვს, უყვარს“ სტატიკურ ზმნათაგან თანდათან ჩამოყალიბდა სული-

ერთა მოქმედების განმცდელი სუბიექტის მქონე ინვერსიული კონსტრუქციის ზმნები, რომლებიც დ. მელიქიშვილს გაერთიანებული აქვს III დიათეზაში.

რაც შეეხება ქართული ენის „აკანკალებს“ ტიპის ზმნებს, ისინი მიღებულია პირის კლებით ორპირიანი გარდამავალი ზმნისაგან. აკანკალებს ის (შიში) მას > აკანკალებს მას (სიცივისაგან). II სერიაში „მოთხრობითში დასმული სახელი მოქმედების აგენსია, მაკაუზატივებელი პირია — აქტიური სუბიექტია, ხოლო მოქმედებას განიცდის პირდაპირი ობიექტი. ამიტომ ცნობიერებაში მოთხრობითში დასმული პირი იკარგება და რჩება მიცემითში დასმული პირი, რომელსაც რეალურად მოსდის რაიმე მოქმედება... მიცემითში დასმული პირი (აქტანტი) პასიური ნების მქონე რეალური სუბიექტია, რომელსაც მოქმედება (ვნება სულიერი თუ ფიზიკური) თავისდაუნებურად მოსდის. ამიტომ ასეთი ზმნები უნებლიე მოქმედებას გამოხატავენ“ (დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლილებების სისტემა, გვ. 239).

ანალოგიური ვითარებაა სვანურში, სადაც იკარგება მოთხრობითში დასმული მაკაუზატივებელი პირი და რჩება მიცემითში დასმული სახელი, რომელიც რეალურად განიცდის მოქმედებას: **ხ-ა-რკუნ-ნ-ე ეჯას ეჯა** „აკანკალებს ის (შიში) მას“ და **ხ-ა-რკუნ-ნ-ე ეჯას** „აკანკალებს მას (სიცივისაგან“.

შინაარსობლივად „აკანკალებს“ ტიპის ზმნებს უკავშირდება ქართული **ე-R-ებ-ა** სტრუქტურის დატიური კონსტრუქციის მქონე ინვერსიული ზმნები, რომლებიც სულიერ მდგომარეობას გამოხატავენ და უნებლობის შინაარსს შეიცავენ. იგივე სიტუაციაა სვანურშიც, ოღონდ ასეთი ტიპის ზმნები უფრო ხშირად გვხვდება და უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია **ხ-ა-R-უნ-ე** სტრუქტურით:

**მ-ა-რ-უნ-ე** „მეწერინება“; **მ-ა-გნ-უნ-ე** „მეტირება“

რ. ჭკადუას აზრით, „ე. წ. მოდალური ზმნები აწმყოს მწკრივში მეტწილად ემთხვევა კაუზატიურ ფორმებს; კერძოდ, ბალსზემოურ დიალექტში, კაუზატიურთა მსგავსად, გარდა ერთეული შემთხვევებისა, გვაქვს -ე სუფიქსი:

ბზ. **ხ-ა-ტაბ-უნ-ე** 1. „ათლეგინებს“; 2. „თლა სწადია, უნდა“

**ხ-ა-ვნ-უნ-ე** 1. „ახნეგინებს“; 2. „ხვნა სწადია, უნდა“

დაახლოებით მსგავსი სიტუაცია შეინიშნება ქართულ ენაშიც,

სადაც ინვერსიულ კაუზატივებს ნატვრითობის, სურვილის გამოხატვის უნარი აქვთ (ნეტავი მამლერა), რაც ახსნილია ინვერსიული კონსტრუქციის ფართო შესაძლებლობებით“ (ა. დირი, ბ. ჯორბენაძე).

როგორც „აკანკალებს“, ისე **ე-R-ებ-ი** სტრუქტურის უნებლობის სემანტიკის მქონე პასივებში, იმავე სტრუქტურის, ოღონდ მიჩნევის სემანტიკის მქონე ზმნებისაგან განსხვავებით, ჩანს, რომ რაღაც გრძნობა აიძულებს მორფოლოგიურ ობიექტურ პირს, იმოქმედოს. სწორედ ამიტომ უნდა გამოყენებინა ასეთი სემანტიკის ზმნებს აქტივის **ხ-ა-R-უნ-ე** სტრუქტურა, სადაც მოთხრობითში დასმული სახელი რეალურად მოქმედი პირია.

ქართულისაგან განსხვავებით, სვანურ ენაში მესამე დიათეზას განეკუთვნებიან აგრეთვე ისეთი ზმნები, რომელთაც აწმყოში დღეს სუფიქსი აღარ მოეპოვებათ, მაგრამ ისტორიულად რომ ჰქონდათ, ამაზე მიუთითებს ფუძისეული ან პრეფიქსისეული ხმოვნის უმლაუტი (ბზ. **ხ-ა-ლ-აჷ** < **ხ-ა-ლატ-ე** „უყვარს“, **ხ-ა-ნ-წამ** < **ხ-ა-ნ-წამ+იჷ** „სწამს“, **ხ-ა-გაჷ** > **ხ-ა-გად+იჷ** „მართებს“, **ხ-ა-წ** < **ხ-ა-წ+იჷ** „აძევს“, ლნტ. **ხ-ა-ჟან** < **ხ-ა-ჟან+ე** „ჰქვიათ“ და ა. შ.). რასაკ ვირველია, ამგვარი ვითარება მხოლდ სვანურის სპეციფიკაა. მართალია, საანალიზო ფორმებში დაკარგულია აწმყოს მწკრივის მაწარმოებელი სუფიქსები -ი ან -ე (შდრ. ძველ ხალხურ სიმღერებში დადასტურებული **ლი-ლატ-ე** „სიყვარული“), მაგრამ მათი კვალია შკარაა დიფერენციალური ნიშნის სახით.

ამრიგად, ძირეული სტრუქტურის ინვერსიული ზმნები სვანურში კიდევ უფრო მტკიცედ ჩამოყალიბებულ სისტემას ქმნიან, რამაც დაუღო საფუძველი სხვადასხვაგვარ ინვერსიულ ზმნებს.

რამდენიმე ნიუანსური სხვაობის მიუხედავად, სვანურ ენაში ინვერსიული ზმნების ვითარება კონსტრუქციისა და გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით, ძირითადად, ქართულისებურია, ოღონდ სვანურს დაუცავს გაცილებით არქაული სისტემა, რაც ამ ენისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

## მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

### ყო რ უ დ ი უ მ ე ზ ი ლ ის ლ ა ზ უ რ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი

ცნობილმა ფრანგმა ენათმეცნიერმა, კავკასიოლოგმა, რელიგიის ისტორიის, ეპოსისა და შედარებითი მითოლოგიის ცნობილმა მკვლევარმა ჟორჟ დიუმეზილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარების საქმეში. რამდენიმე ნაწილად გამოცემული ლაზური ტექსტები დღემდე შეუცვლელი და უმნიშვნელოვანესი საკვლევი მასალაა ქართველოლოგებისათვის.

1937 წელს პარიზის უნივერსიტეტის ეთნოლოგიური ინსტიტუტის ნაშრომებისა და მემუარების XXVII ტომად გამოცემული „ლაზური ზღაპრები“ 1930-1931 წლებში ჩაუწერია სტამბულში არქაბულ კილოკავზე მოსაუბრე ნიაზ ბანისაგან. კრებული შედგება ზღაპრების, ეთნოგრაფიული ხასიათის ტექსტების, ლექსისა და ენის გასატეხისაგან. ტექსტებს ახლავს ზედმიწევნითი და ლიტერატურული თარგმანი ფრანგულ ენაზე, ასევე შენიშვნები ზმნურ ფორმებზე. ხშირად იმომბებს ნ. მარს, რომელსაც შემდგომ (1967 წლის პუბლიკაციის შესავალში) დიდი მადლიერებით მოიხსენიებს. საკმაოდ ვრცელ შესავალში მეცნიერი განიხილავს მის მიერ ჩაწერილი ტექსტების ენობრივ ბუნებას.

1967 წელს გამოცემული „ანატოლიური დოკუმენტები“ ჩაწერილია 1960-1964 წლებში სტამბულში, შეიცავს 56 არქაბულ ტექსტს, რომელიც 4 ციკლშია გაერთიანებული (ზღაპრები, ანეგდოტები, ორჭული ისტორიები, თავგადასავლები). მასალას უძღვის შესავალი და ვრცელი „გრამატიკული ესკიზი“, რომელიც 45 პარაგრაფისაგან შედგება. „ესკიზში“ ზედმიწევნით არის განხილული ლაზურის ფონეტიკა, ფონეტიკური პროცესები, მორფოლოგიის საკითხები. ზოგიერთი რამე ჟ. დიუმეზილის დასკვნებიდან საკამათოა, მაგრამ ნაშრომს უზომოდ დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს. ლექსიკონის არქონის კომპენსაციას ახდენს ზედმიწევნითი ფრანგული თარგმანი და ლექსიკურ-გრამატიკული კომენტარი. თითოეულ ტექსტს ახლავს ანკარის უნივერსიტეტის პროფესორ ა. ნ. ბორატავის რემარკები, რომელიც განიხილავს მათ თურქულ ფოლკლორთან მიმართებაში.

რამდენიმე ტექსტის ბოლოს ჟ. დიუმეზილი მიუთითებს, რომ მისი ვარიანტი უკვე გვხვდება არნ. ჩიქობავას ლაზური ტექსტების კორპუსებში.

ტექსტები ადასტურებს, რომ ლაზური სტრუქტურა, მიუხედავად მისი მრავალსაუკუნოვანი მჭიდრო ურთიერთობისა თურქულ ენასთან, ნაკლებად დაემორჩილა სავარაუდო ენობრივ ინტერფერენციას, თუმცა უკვე შეინიშნება ცვლილებები ფონეტიკაში — მეგრულ-ლაზურისთვის არაბუნებრივი დიფთონგები, ფ თანხმოვნის არსებობა, ყ თანხმოვნის დაკარგვა, ასევე მოძალებული თურქული ლექსიკა.

ჟ. დიუმეზილის დაინტერესება ლაზურით ამ ნაშრომებით არ შემოიფარგლება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჟურნალ „ბედი ქართლისას“ XXIX-XXX-ში (პარიზი, 1972) გამოქვეყნებული 7 მოკლე ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია ართაშენული, არქაბული და ხოფური ვარიანტებით. თითოეულ ტექსტს ახლავს კომენტარები — ზმნები სეგმენტირებულია და განხილულია გრამატიკული კატეგორიების მიხედვით.

ასევე საინტერესოა „ფერდინანდ დე სოსიურის რვეულების“ № 41 (ჟენევა, 1987) გამოქვეყნებული ჟ. დიუმეზილის „ლაზური (ხოფა) ტექსტის ზმნური ფორმების ანალიზი“.

ჟ. დიუმეზილის მიერ ჩაწერილ ლაზურ ტექსტებში მოვიძიეთ არაერთი სიტყვა, რომელიც დღემდე გამოქვეყნებულ არცერთ ლაზურ ლექსიკონში არ გვხვდება.

ამ ტექსტების შემდგომი მეცნიერული კვლევა არაერთ საინტერესო ფაქტს წარმოაჩენს ლაზური ფონეტიკის, მორფოლოგიის, ლექსიკის კვლევის საქმეში.

## შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

### „ვეფხისტყაოსნის“ სამი სიტყვის კომენტარი

მოხსენებაში წარმოდგენილია მოსაზრებები ბოლო წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკისადმი მიძღვნილ ნაშრომებში განხილული რამდენიმე სიტყვის აგებულებაზე, წარმომავლობასა და გაგებაზე.



## 1. მეოტა (1)

სამასი კაცი გვეყოფის, წავიდეთ მართ მეოტანი — 1387, 2

სალექსიკონო ფორმად გატანილია **მეოტა**. აქ **ოტება** ზმნისგან პრეფიქსული წარმოების მიმღობა **მეოტი** უნდა იყოს, რომელიც ძველ ქართულ ტექსტებშიც ამ სახითაა დადასტურებული: „ნუ განვალნ მეოტი ქალაქისა ამისგან“. პოემაში **მეოტი** ფორმის პოვნეირება რითმის საჭიროებით აიხსნება: ცოტანი, მეოტანი, კოტანი, მოტანი.

## 2. რუბ-ი (1)

მელნისა ტბათათ იღვრების სავესე სათისა რუბები — 1146, 3

**რუბი** აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვადაა მიჩნეული: არაბ. რუბ „წვენი“, სპარ. რუდ „რუ, ნაკადი“, რუდები > რუები > რუბები. „ვეფხისტყაოსანში“ რუ-ს მრ. ფორმა უნდა იყოს. ქართული სიტყვა პოემაში იხმარება როგორც მხ. („...რუ გახმა ცრემლთა დენისა“, „...არ დასწყევდდის ცრემლთა რუსა“), ასევე მრ. რ.-ის ფორმით (სისხლისა რუები). ამ ვარაუდს მხარს უმაგრებს ხელნაწერის ჩვენებაც (სათის რუები). **რუბი** ფორმა ამ შემთხვევაშიც რითმის კვათილხმოვნების გამოა ნახმარი: ცრემლისა გუბები, გიშრისა შუბები, სათისა რუბები, მარგალიტი ტყუბები. ე. ი. სათის (მარჯნის) რუები მეტაფორულად სისხლის ცრემლების აღმნიშვნელია.

## 3. დიანოს-ი, დივნოს

ა) ამ საქმესა მემოწმების დიანოსი ბრძენი, ეზროს  
საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთრთვილოს, და-ცა-ეზროს —  
177, 1

ბ) ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს —  
1491, 1

ორივე ადგილას I ს. მოღვაწე დიონისე არეოპაგელს, პირველ მაგალითში კი მასთან ერთად XII ს. არაბ პოეტ ეზრას ვარაუდობენ. პირველ ტაეპში სხვადასხვა ეპოქისა და აღმსარებლობის მოღვაწეების ერთად მოხსენიება ნაკლებად მოსალოდნელია. ეზრა ისეთი ცნო-

ბილი პოეტი არ არის. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რუსთაველთან გადმოცემული აზრი დიონისე არეოპაგელთან არ იქმნება. ორი მოქმედი პირია, შემასმენელი კი მხ. რ.-ში დგას. უფრო მართებული ჩანს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც აქ ეზრა წინასწარმეტყველის ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიური ტრაქტატი („დი-აგნოსი“) იგულისხმება. ამ წაკითხვას უჭერს მხარს პოემის ბიბლიური სახელები და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ტაეპში გადმოცემული შინაარსი.

ე ლ ი ს ა ბ ე დ გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი,  
მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

## სვანური ენის ლაშხურ და ბალსქვემოურ დიალექტთა ინტერფერენციის ერთი კერძო შემთხვევისათვის კოდორის (resp. დალის) ხეობაში

„კოდორის (resp. დალის) ხეობის მოსახლეობის მეტყველებაში დასტურდება ორგვარი ინტერფერენცია:

ა) ქართული ენის (განსაკუთრებით დასავლური დიალექტების) ლექსიკისა და გრამატიკული ფორმებისა;

ბ) სვანური ენის ბალსხემოურ და ბალსქვემოურ დიალექტთა მონაცემებისა“ (ი. ჩანტლაძე).

ჩვენი აზრით, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ ზემოსვანური დიალექტის მონაცემებს დაემატება ლაშხური კილოს მასალაც.

1. თავის დროზე ეცერიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულ გუჯეჯიანთა ლაშხელი რძლის ირმა კოჭბიანის მეტყველებაში მისთვის ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულების პარალელურად ძალიან ხშირად ისმის ბალსქვემოური ლექსემებიც, რომლებიც სრულიად ბუნებრივად გამოიყურებიან: **ნაღჟეჟურ** (შდრ. ლშხ. **ჰყინტ**) „ბიჭი“, **დია** (შდრ. ლშხ. **დედე**) „დედა“, **მოიდ** (შდრ. ლშხ. **კოტოლ, კოჭოლ**) „ცოტა“. **ლეჰნა** (შდრ. ლშხ. **ლენა, ნენა**) „შარშან“, **ჰერ** (შდრ. ლაშხ. **ეგრ**) „ხმა“, **ამუგ** (შდრ. ლშხ. **ამაჟ**) „აქამდე“, **აშხუდ** (შდრ. ლშხ. **ეშხუდ**)

„ერთად“, **ასვლგენი** (შდრ. ლშხ. **ლგჷმარეს ასყი**) „სულგუნს აკეთებს“, **ფე** (შდრ. ლშხ. **ნდუ**) „დიახ“, **მეგჷე** (შდრ. ლშხ. **ძღვდ**) „მაგარი“, **რაგვდ** (შდრ. ლშხ. **გარგლა**) „ლაპარაკი, საუბარი“, **იორი** (შდრ. ლშხ. **ფერუ**) „ორი“ და ა. შ.

2. ლაშხელი ირმა კოჭბიანის მეტყველებაში უმლაუტიანი ხმოვნის წარმოთქმის ერთადერთი შემთხვევა დავაფიქსირეთ: **ფუბ, დია!** „ვაი, დედა!“

3. გრძელხმოვნიანი დიალექტის წარმომადგენელი საკმაოდ ხშირად ბალსქვემოურ ლექსიკურ ერთეულებშიც აგრძელებს ხმოვნებს, რაც, რაღა თქმა უნდა, მშობლიური მეტყველების გავლენის შედეგია. მაგ.: **ლიქნალ** (შდრ. ლშხ. **ლიბრალ**) „ბანაობა“, **ქედქანი** „იბანავებს“, **ნადუჟურალ** „ბიჭები“, **მოლენგუმ** „რალაც“ და ა. შ.

4. კოდორელი ლაშხელის მეტყველებაში შეინიშნება სახელთა მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი სუფიქსების აღრევა. ჩვენი მთქმელი მრავლობით რიცხვში ხან ლაშხური დიალექტისათვის დამახასიათებელ **-ელ** სუფიქსს იყენებს, ხანაც ბალსქვემოურ **-ოლ**ს. საინტერესო სწორედ ის არის, რომ ამ უკანასკნელს ირმა კოჭბიანი ძალზე ხშირად გრძელად წარმოთქვამს, რაც, რასაკვირვლია, განპირობებულია ლაშხურის გავლენით. ეს ვითარება, ჩვენი აზრით, ინტერფერენციის მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მაგ.: არდადაგებ-**ოლ**-ჟი „არდადეგებზე“ (შდრ. ლშხ. არდადეგ-**ელ**-ჟი|არდადაგებ-**ელ**-ჟი); ახალგაზრდ-**ოლ** „ახალგაზრდები“ (შდრ. ლშხ. ახალგაზრდ-**ელ**), მოძრაობ-**ოლ** „მოძრაობები“ (შდრ. ლშხ. მოძრაობ-**ელ**); ანჩაბაძ-**ოლ** „ანჩაბაძეები“ (შდრ. ლშხ. ანჩაბაძ-**ელ**)...

5. კოდორის ხეობაში მცხოვრები ლაშხელი რესპონდენტის მეტყველებაში, იშვიათად, მაგრამ მაინც შეინიშნება ბალსქვემოური თურმეობითის ფორმების გამოყენება. მაგ.: ლაშხური **ჩუალბერგელის** „უჭიდავიათ“, **ალმაზინ** „მიდიოდა თურმე, „მინავალა“, **ალზიგელი** „დასახლებულა“ ფორმების ნაცვლად იგი ხმარობს **ჩ'ოლბერგელის, ოლმაზინ, ოლზიგელი** ფორმებს. მსგავსი სიტუაცია კოდორელი ბალსხემოელების მეტყველებაში დააფიქსირა ქ. მარგიანმა-სუბარმა (იხ. მისი „თურმეობითა წარმოება ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველებაში“, კავკასიოლოგთა II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, 2008, გვ. 272-275).

6. როგორც ცნობილია, როდესაც სვანურში მსაზღვრელი წინ

უსწრებს საზღვრულს, მსაზღვრელის ბრუნვის მორფემული ელემენტი **-შ** იკვეცება ყველა დიალექტში, გარდა ბალსქვემოურისა. ირმა კოჭბიანის მეტყველებაში თავს იჩენს როგორც ბალსქვემოურისებური, ასევე ლაშხური დიალექტისთვის დამახასიათებელი ვითარება. მაგ.: **ქუჩუკიშ გეზალ** „ქუჩუკის შვილი“, **დალიშ ტუბირა** „დალის ტბა“, **მინდორიშ კარჭალ** „მინდორის კარვები“, **მიტკალიშ ფერ** „მიტკლის ფერი“, **რუსთაველიშ მხარე** „რუსთაველის მხარე“, მაგრამ: **მეგმი ჭჭარ** „ხის ჭვარი“ **რუსთაველი მხარენენ** „რუსთაველის მხრიდან“, **მილიციან დამსახურება** „მილიციის დამსახურება“, **ინსტიტუტი ყორალხენ** „ინსტიტუტის კარებიდან“, **კომენდატი სათ** „კომენდანტის საათი“ და ა. შ.

## გ ვ ა ნ ც ა გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

### ენისკობოსი გაბრიელ ქიქოძე ენობრივი პოლიტიკის ზოგი საკითხის შესახებ

წმინდა მღვდელთმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მის საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის პერიოდი, როცა წმ. გაბრიელი იმერეთის ეპარქიის მწყემსმთავრობას უთავსებდა ჯერ აფხაზეთის ეპარქიის დროებით მმართველობას, (1869 წლის ივნისიდან 1896 წლის 30 მაისამდე), შემდგომ კი ამ ეპარქიის მმართველობას (1869 წლის 30 მაისიდან 1887 წლის 15 თებერვლამდე).

აფხაზეთ-სამურზაყანოში მოღვაწეობის დროს წმ. გაბრიელი საგანგებო ყურადღებას უთმობდა ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების ენის საკითხებს. ამ რეგიონში მისი დანიშნვის დროისათვის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო აფხაზური მოსახლეობა, რომლის ერთი ნაწილი 1866 წლის ანტირუსული აჯანყების მარცხის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ გააძევა თურქეთში, ხოლო რეგიონში დარჩენილთა უმრავლესობა ან მაჰმადიანად აცხადებდა თავს, ან ტრადიციულ პოლითეისტურ რწმენას მისდევდა, რის გამოც

რჩებოდა საშიშროება, რომ სათანადო საბაზის გამოჩენისთანავე მათაც აყრიდნენ აფხაზეთიდან და თურქეთში გარეკავდნენ, ხოლო დაცარიელებულ მიწებზე უცხოტომელ კოლონისტებს (რუსებს, უკრაინელებს, სომხებს, ბერძნებს...) ჩამოასახლებდნენ. ეპისკოპოსი გრძნობდა, რომ ასეთ შემთხვევაში აფხაზეთის ქართული მოსახლეობა გარუსების დიდი საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა, ხოლო ეს ძირძველი ქართული რეგიონი საბოლოოდ დაეკარგებოდა საქართველოს. ამიტომ წმ. გაბრიელმა დაიწყო აქტიური მისიონერული მოღვაწეობა აფხაზურ მოსახლეობაში. მისი ეპისკოპოსობის 19-წლიან პერიოდში მან და მისმა თანამოაზრე ქართველმა სასულიერო პირებმა 18 ათასი აფხაზი მოაქციეს ქრისტეს რჯულზე, რითაც ისინი გადაარჩინეს 1877-1878 წლების მუჰაჯირობასა და გათურქებას. ამრიგად, ეპისკოპოსს გაბრიელს საგანგებო დამსახურება მიუძღვის აფხაზი ხალხის ფიზიკური და სულიერი გადარჩენის საქმეში (ჯ. გამახარია).

წმ. გაბრიელმა აფხაზეთ-სამურზაყანოში მოღვაწეობის დროს შეიმუშავა სწორი ტაქტიკა, რამაც ხელი შეუწყო რეგიონის ქართული და აფხაზური მოსახლეობის ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გადარჩენას. მან, ერთი მხრივ, მოხერხებულად გამოიყენა იმპერიის მისწრაფება სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში ქრისტიანობის აღსადგენად, მეორე მხრივ კი, აქტიურად იღვწოდა ქართული და აფხაზური ენების გადასარჩენად, თუმცა აფხაზური ენის ფუნქციონირების სფეროების გაზრდა მეტად ძნელი იყო ამ ენაზე სადამწერლობო კულტურის არარსებობის გამო.

იმპერიის ხელისუფლება და სასულიერო ხელმძღვანელობა გეგმავდა რეგიონში ქრისტიანული ღვთისმსახურებისა და სასულიერო განათლების დამკვიდრებას რუსულ ენაზე, მაგრამ წმ. გაბრიელმა ჩაშალა ეს გეგმა, რისთვისაც გამოიყენა ის ფაქტორები, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოში იმ დროს პრაქტიკულად არ იყვნენ რუსული ენის მცოდნე სასულიერო პირები, ხოლო რუსი სამღვდლოება ვერ ეგუებოდა რეგიონის კლიმატს, თან მათ არც მრევლის ენა და ტრადიციები იცოდნენ კარგად. ამიტომ იგი აფხაზურ სამრევლოებში თამამად ნიშნავდა აფხაზური ენისა და ტრადიციების კარგად მცოდნე სასულიერო პირებს (ძირითადად ქართველებს), რამაც მალე გამოიღო კეთილი ნაყოფი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ღვთისმსახურებისა და

სასულიერო განათლების ქართულ ენაზე შემოღებას აქტიურად უჭერდა მხარს აფხაზური არსიტოკრატია და მოსახლეობა.

წმ. გაბრიელის დამსახურებაა ისიც, რომ მისი უშუალო ხელმძღვანელობით აფხაზეთ-სამურზაყანოში 1868-1886 წლებში აშენდა ან აღდგა 51 ქრისტიანული ეკლესია (ჯ. გამახარია), რომელთა უმრავლესობაში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე აღესრულებოდა, ხოლო აფხაზურ სამრევლოებში ქადაგება აფხაზურ ენაზეც მიმდინარეობდა. უმნიშვნელო არც ისაა, რომ ეპისკოპოსი ხშირად თავისი ხარჯით ასწავლიდა აფხაზ მოსწავლეებს.

ეპისკოპოსი თავის ჩანაწერებში ყურადღებას აპყრობს იმ სხვაობას, რაც შეინიშნებოდა მართლმადიდებლური ქრისტიანობის მიმართ ცარიზმის დამოკიდებულებაში, ერთი მხრივ, აფხაზეთ-სამურზაყანოში და, მეორე მხრივ, მესხეთ-ჯავახეთში. მისი დაკვირვებით, აფხაზეთ-სამურზაყანოში მართლმადიდებლობის აღდგენა-განმტკიცებით იმპერიის ხელისუფლება უფრო მეტად იყო დაინტერესებული, ხოლო მესხეთ-ჯავახეთში ადმინისტრაციაში ინიშნებოდნენ არამართლმადიდებელი პირები (მაგ., კათოლიკე პოლონოლები), რომლებიც არ იყვნენ დაინტერესებულნი რეგიონში ქართველ მართლმადიდებელთა რაოდენობის ზრდით და მაჰმადიან ქართველთა გაქრისტიანებით, მათ დასაყრდენად მხოლოდ გრიგორიანი სომხები და კათოლიკეები მიაჩნდათ და არანაირ ყურადღებას არ აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ მათ თვალწინ ხდებოდა მაჰმადიან ქართველთა გათურქება (მათ შორის ისლამის გაძლიერება და თურქული ენის მასობრივი გავრცელება მეჩეთებისა და მედრესეების გამოყენებით). წმ. გაბრიელს მიაჩნდა, რომ მესხეთ-ჯავახეთში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მართლმადიდებლები უნდა დანიშნულიყვნენ და მათ უნდა ეხელმძღვანელათ რეგიონის ქართულ მოსახლეობაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენისათვის ეკლესიისა და სამრევლო სკოლების გამოყენებით, მაგრამ ცარიზმს სხვა გეგმები ჰქონდა და ქართველი მწყემსმთავრის ხმა დარჩა ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა.

**წინარე აფხაზურ-ადილური ენის დივერგენციის დროისა და ადგილის საკითხისათვის**

1. წინარე იბერიულ-კავკასიური ენისაგან წინარე აფხაზურ-ადილური ენის წარმოქმნის დროდ ძველი წელთაღრიცხვის II-I ათასწლეულების მიჯნის ახლო ხანები უნდა მივიჩნიოთ (არნ. ჩიქობავა), ხოლო წინარე აფხაზურ-ადილური ენის დაშლა აფხაზურ-აბაზურ, ადილურ (ჩერქეზულ) და უბიხურ ენებად სავარაუდოდ ჩანს წელთაღრიცხვათა მიჯნისათვის, რასაც უნდა ადასტურებდეს დასახელებული სამი ენის მეტად დიდი სიახლოვე უკლებლივ ყველა ენობრივ დონეზე (იგულისხმება ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის ერთგვაროვნების მაღალი ხარისხი). ამ დასკვნას უნდა ამყარებდეს ის ფაქტიც, რომ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე არცერთ წერილობით წყაროში არ იხსენიებიან არც აფხაზ-აბაზები, არც ადილები და არც უბიხები (ამ კონტექსტში ცალკე მსჯელობის საგანია ახ. წ. I-II საუკუნეების ლათინურ-ბერძნულ წყაროებში ნახსენები აფსილებისა და აბასგ-აბასკ-აბასების ეთნიკური ვინაობის საკითხი, რაც საგანგებოდ დეტალურ კვლევას მოითხოვს, თუმცა იმის თქმა ახლავს შეიძლება, რომ ამ უკანასკნელთა განსახლების ტერიტორიაზე გვიან შუა საუკუნეებამდე, კერძოდ, XVI საუკუნემდე არ დასტურდება არცერთი ისეთი გეოგრაფიული თუ სატომო სახელი, რომელიც უყოყმანოდ აიხსნებოდა აფხაზურ-აბაზურ ენობრივ ნიადაგზე).

2. ჯერ წინარე აფხაზურ-ადილური ენა და მასზე მოლაპარაკე ეთნოსი, შემდგომ კი აფხაზურ-აბაზური, ადილური და უბიხური ენები და შესაბამისი სამი ეთნოსი, ჩვენი აზრით, განლაგებული უნდა ყოფილიყო არა სამხრეთ კავკასიაში, როგორც ეს აქამდე მიიჩნევა დასავლეთ საქართველოში არსებული ზოგი გეოგრაფიული სახელის ნაკლებდასაბუთებული მიმოხილვების საფუძველზე, არამედ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე, მდინარე ყუბანისა და მისი შენაკადების ნაპირებზე. ამის შესახებ პირდაპირ ცნობებს გვაწვდის ლეონტი მროველი, რომელიც აფხაზურ-ადილურ ეთნოსთა ეთნარქ-

ეპონიმ კავკასიის სამკვიდროდ ასახელებს მდინარე თერგის მარცხენა ნაპირიდან მდინარე ყუბანის შესართავამდე გადაჭიმულ მიწა-წყალს, რომელსაც აღმოსავლეთით ემიჯნებოდა ნახურ-დაღესტნურ ეთნოსთა წინაპარ ლეკოსის, სამხრეთიდან კი ქართველთა ერთ-ერთ ეთნარქ-ეპონიმ ეგროსის წილხვედრი მიწა-წყალი.

**გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი**

**შენიშვნები ქართული ენის დიალექტთა დაჯგუფების ახალ ვარიანტზე**

2008 წლის ნოემბერში აჭარაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში გამოქვეყნდა **ტ. ფუტყარაძის** ნაშრომი „ქართული სამწიგნობრო კულტურა (სწავლების პრინციპებისათვის)“. ნაშრომში წარმოდგენილია ქართველურ დიალექტთა დაჯგუფების სქემა, რომელსაც ასეთი კომენტარი ახლავს: **„ქართველური ენობრივი სამყაროს სწავლებისას ეს სქემა უნდა იქნას გამოყენებული“** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა“, 2008 წლის ნოემბერი, მასალები. გამომცემელი: საქართველოს საპატრიარქოს წმ. ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტი და სხალთის ეპარქია).

ცხადია, მკითხველს დაინტერესებს, რა სქემა არის ისეთი, რომ მის სწავლებას ასე კატეგორიულად მოითხოვს ავტორი და, იგულისხმება, ადრე არსებულ ყველა სხვა სქემას (ავტორები: ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, შ. ძიძიგური, ბ. ჯორბენაძე...) კრძალავს! ასეთ კატეგორიულ მოთხოვნას — ასწავლეთ მხოლოდ ჩემი ნააზრევო — პირადად მე ქართულ ფილოლოგიაში არ ვიცნობ...

აი, ეს სქემაც — ქართველური კილოების დაჯგუფების ტ. ფუტყარაძისეული ვარიანტი:

- „I. **ცენტრალური კილოები:** კახური, ქართლური, იმერული, ლეჩხუმური, გურული. II. **განაპირა კილოები:** მესხური კილოები: აჭარული, ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, ტაოური, სამცხური, ჭავჭავური; ჰერული კილოები: კაკური, ალიაბადური; **ფხოური კილო-**

**ები:** ჩაღმა-თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული; აქვე, ასოცირებულ დიალექტად შეიძლება განვიხილოთ წოგა-თუშურიც, რომელიც შეიცავს როგორც ვაინახების, ასევე, ქართლის მსგავს ფენებს. რაჭული კილოები: ბარისრაჭული, მთარაჭული; **სვანური კილოები:** ლაშხური, ლენტეხური, ჩოლურული, ბალსქვემოური, ბალსზემოური; პირობითად ცალკე შეიძლება გამოიყოს დალის ხეობის სვანური მეტყველება. **ზანური კილოები:** მეგრული (აღმოსავლური ანუ სენაკურ-მარტვილური კილოკავი და დასავლური ანუ ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავი); **ლაზური** (ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური კილოკავები). III. **საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები:** ფერეიდნული, „ჩვენებურების ქართული“ და ყიზლარ-მოზდოკურ-პლასტუნკური ქართული“ (დასახელებული კრებული, გვ. 372) (ხაზგასმა ავტორისა).

ეს არის ის სქემა, რომლის აღიარებას ბრძანების ტონით მოითხოვს ჩვენგან ტ. ფუტყარაძე. ეს სქემა ახალი არ არის. ავტორმა იგი თავის არაერთ ნაშრომში წარმოადგინა; ეს სქემა შეიტანეს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებში (მ. ქაცარავა, ი. ფხაკაძე, **ქართული ენის პრაქტიკული კურსი**, ქუთაისი, 2002. ამ წიგნის პროგრამა-პროსპექტი შედგენილია ტ. ფუტყარაძის მიერ; ავტორთა კოლექტივი, **ქართული ენის ისტორია**, ქუთაისი, 2006). მიუხედავად ავტორის მიერ საკუთარი ნაზრების ასეთი არაერთგზის დაჟინებული აფიშირებისა, როგორც ჩანს, მაინც ვერ დაამკვიდრა და ამიტომაც არის ასეთი კატეგორიული მოთხოვნა: აუცილებლად ჩემი სქემით ასწავლეთ დიალექტოლოგია...

შევეცდები, გაგიზიაროთ ზოგი მოსაზრება ამ სქემის შესახებ.

\* \* \*

ტ. ფუტყარაძე წერს, „წარმოდგენილი კალსიფიკაცია უფრო არგუმენტირებულია“ (გვ. 372); იგულისხმება არსებულ თვალსაზრისებთან შედარებით (ამ თვალსაზრისთა ავტორები ზემოთ დავასახელებთ). დაინტერესებულ მკითხველს მოკრძალებით მივუთითებთ ერთ ნაშრომს, რომელშიც საუბარია იმის შესახებ, თუ როგორია და რას ეფუძნება ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას თუ ბ. ჯორ-

ბენაძის კლასიფიკაციები (გ. გოგოლაშვილი, ქართული ენის დიალექტური დანაწევრებისა და დიალექტთა განდასების საკითხისათვის, ქესს, IX, 2005). მე არ ვიცი არცერთ ნაშრომს, სადაც ტ. ფუტყარაძე მსჯელობდეს იმის თაობაზე, რატომ არის არაარგუმენტირებული ზემოჩამოთვლილ ავტორთა თვალსაზრისები და რა არგუმენტებით ამტკიცებს თავისი სქემის უპირატესობას. მხოლოდ **განცხადების გაკეთება — ჩემი აზრი „უფრო არგუმენტირებულია“ და მხოლოდ ის ასწავლეთო — არც მეცნიერულია და არც სერიოზული!**..

\* \* \*

ტ. ფუტყარაძემ მხოლოდ ერთ შემთხვევაში სცადა დაემტკიცებინა, რომ ინგილოური (ჰერული — ტ. ფ-ის ტერმინით) ორ დიალექტად უნდა დაიშალოს — კაკურად და ალიაბადურად (ასეცაა სქემაზე). მანამდე კაკური და ალიაბადური ინგილოური კილოს კილოკავებად მიიჩნეოდა.

აი, რა „არგუმენტებით“ ცდილობს ამის დამტკიცებას ავტორი: მისი კატეგორიული მსჯელობით, „ასეთ შემთხვევაში ერთდერთ კრიტერიუმად უნდა ავიღოთ ფონემატურ-გრამატიკული და ლექსიკური სხვაობანი“ („მესხურ და ჰერულ დიალექტთა ადგილისათვის“; კრებული ჯავახეთი, 2002, გვ. 287). და მან სადიფერენციაციო ნიშნად აიღო შვიდი ენობრივი ფაქტი (ხმოვანთა რეგრესული ასიმილაცია, სიტყვის ბოლოს უი → უ პროცესი, სახელობითის ნიშნის ალომორფები და ა. შ.). ანუ მან აიღო ყველა ის ნიშანი, რითაც კაკური და ალიაბადური სხვაობს ერთიმეორისაგან და დაასკვნა, რომ ეს ორი ენობრივი ერთეული კილოკავი კი არაა, დიალექტია! იმავე ნიშნების მიხედვით მესხური და ჯავახური არ ხსვაობს და ამიტომ ერთი დიალექტია მესხურ-ჯავახური! მას რომ აელო სადიფერენციაციოდ ისეთი ენობრივი ფაქტები, რომლებიც სხვაობს მესხურსა და ჯავახურში, დასკვნა საპირისპირო იქნებოდა (მესხური და ჯავახური სხვადასხვა დიალექტი გამოვიდოდა, კაკური და ალიაბადური — ერთი)! რამდენად გამართლებულია მეთოდოლოგიურად ასეთი კვლევა? ნებისმიერ ორ კილოკავს შორის ყოველთვის დაიძებნება 7 (და მეტიც) განსხვავება (ან ეს რიცხვი საიდან მოიტანა)... და ნებისმიერი ორი კილოკავი შეიძლება გამოვაცხადოთ დიალექტად და პირიქით. იქნებ ისიც დაეთ-

გალა (!), რამდენი სხვაობაა სვანურსა და ქართულს შორის და მერე გაეკეთებინა დასკვნა, სვანური ენაა თუ დიალექტი. **ტრადიციულ კლასიფიკაციაში კორექტივის შეტანა ამგვარი „ოპერაციებით“ არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერულად (და სერიოზულად).**

\* \* \*

ქართულ ენათმეცნიერებაში არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ სოციალური ფუნქცია მეგრულის, სვანურის, იმერულის, ხევსურულისა და ა. შ. ერთგვარია — ისინი „შინაურობაში სახმარი“ (იაკობის ტერმინია) კილოებია. სოციოლინგვისტური თვალსაზრისით ქართულ ენობრივ სივრცეში არსებობს ერთი სალიტერატურო ენა — საერთო ყველა ქართველური ეთნო-გრაფიული ჯგუფისათვის — და არაერთი კილო. ლინგვისტური ასპექტით სხვაგვარი ვითარებაა. ტ. ფუტკარაძე საუბრობს „ქართველური ენობრივი ერთეულების გენიალოგიურ სქემაზე“ (გვ. 372); ცხადია, ეს გულისხმობს კვლევის ლინგვისტურ ასპექტს. ამ თვალსაზრისით სვანური, მეგრულ-ჭანური, ხევსურული და ბაცბური (წოვა-თუშური) რომ არ არის ერთი დონის ენობრივი ერთეულები (უფრო სწორედ ერთი ენის დიალექტები), სადავო მხოლოდ ტ. ფუტკარაძისთვის (და მისი რამდენიმე მხარდამჭერისათვის, ძირითადად არაპროფესიონალებისათვის — არალინგვისტებისათვის) არის.

**ამ შემთხვევაში აღრეულია კვლევის ლინგვისტური და სოციოლინგვისტური აბსექტები.** საკითხის ასე არაპროფესიონალურად (არაენათმეცნიერულად) დასმა უარის თქმაა, ფაქტობრივ, ქართული ენათმეცნიერების დიდ მონაპოვარზე (მხედველობაში მაქვს ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურიას, გ. როგავას, გ. მაჭავარიანისა და უამრავი სხვა მკვლევარის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა).

არაპროფესიონალ (დილეტანტი) მკითხველზეა გათვლილი ტ. ფუტკარაძის ერთი ამოჩემებული (რამდენიმე ნაშრომში რომ იმეორებს) მაგალითიც. იმისათვის, რომ მეგრული, იმერული და აჭარული ერთი დონის ენობრივ ერთეულებად წარმოაჩინოს (ერთი ენის დიალექტებად), ასეთ მაგალითს მოიყვანს: სალიტერატურო ქართულის ზმნური ფორმის **დღუძახა** დიალექტური ვარიანტებია „დოღუძახა (იმერული), დოღუძახა/დღუძახა (აჭარული), დოღუძახ/დღუძახ (მეგრული“ (გვ. 374). ამ მაგალითით ტ. ფუტკარაძე ისეთ შთაბეჭდილებას

ქმნის, თითქოს მეგრული ისე განსხვავდება სალიტერატურო ქართულსაგან, როგორც იმერული ან აჭარული. ისეთი ზმნაა შერჩეული და ისეთი ფორმით, რომ ამგვარი ილუზია შეიძლება შეიქმნას... ამგვარად შერჩეული მაგალითით შეიძლება ნებისმიერი ორი ენობრივი ერთეულის იგივეობაზე ვისაუბროთ. **ეს დიდი სიყალბეა და სიცრუე; ამას მეცნიერებასთან საერთო არაფერი აქვს.** აქვე ტ. ფუტკარაძე იმასაც ამბობს, რომ **დაუძახა/დოღუძახა და კაცი/კოჩი** ერთი და იმავე რიგის ენობრივი ფაქტებია. კომენტარი ზედმეტია...

\* \* \*

რას ნიშნავს ლინგვისტის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბაცბური ენა (წოვა-თუშური) ქართული ენის დიალექტად უნდა განვიხილოთ: „აქვე ასოცირებულ (!) დიალექტად შეიძლება განვიხილოთ წოვა-თუშურიც“ (გვ. 372). ტ. ფუტკარაძის ამ „აღმოჩენამდე“ ასე ვიცოდით: ბაცბური არის ნახური ჯგუფის (ჩაჩნურთან და ინგუშურთან ერთად) ენა. სერიოზული სამეცნიერო საზოგადოება (მსოფლიო მასშტაბით) დღესაც ასე თვლის.

\* \* \*

არავითარი მეცნიერული არგუმენტაცია არ აქვს „ჩვენებურების ქართულის“ დამოუკიდებელ ქართულ დიალექტად გამოცხადებას. „ჩვენებურების ქართული“ (ტერმინად გამოყენებულია შ. ფუტკარაძის წიგნის სახელწოდება) დიალექტის სახელად უცნაურია, ქართველ მუჰაჯირთა მეტყველებაა. მ. ფაღავა საგანგებოდ იკვლევდა სამხრულ დიალექტებს (სადოქტორო დისერტაცია დაიცვა ამ თემაზე) და მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას ნარევი მეტყველებად თვლის და მას სამხრული მეტყველების შესასწავლად დამატებით მასალად მიიჩნევს. მსჯელობა დამაჯერებელი ჩანს. არცერთ თავის ნაშრომში ტ. ფუტკარაძე არ ცდილობს დაასაბუთოს, რატომღაც დიალექტი „ჩვენებურების ქართული“?.. ის მხოლოდ განცხადებას აკეთებს...

სადავოა ლივანური, მაჭახლური, იმერხეული, ტაოური დიალექტების საკითხიც (შდრ.: მ. ფაღავას თვალსაზრისი). მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში ტ. ფუტკარაძე სხვას ემყარება (შ. ფუტკარაძეს), არგუმენტი მაინც საჭირო იყო, რატომ მიიჩნევს ასე...

\* \* \*

რაჭულ მეტყველებას ერთ დიალექტად განიხილავდნენ (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე). ტ. ფუტყარაძე **რაჭულ კილოებზე** საუბრობს — ბარისრაჭული, მთარაჭული. არგუმენტაცია, როგორც წესი, არც ამას ახლავს... აქ ტერმინოლოგიის საკითხიც დგას: არსებობს ტერიტორიული ცნებები — მთარაჭა, ზემო რაჭა, ქვემო რაჭა. რატომ შემოაქვს ტ. ფუტყარაძეს ტერმინი ბარისრაჭული? ზემო რაჭა (თუნდაც ქვემორაჭა) ბარია?... ორიგინალურობისაკენ სწრაფვამ მეცნიერული ჭეშმარიტება არ უნდა შეიწიროს...

\* \* \*

ერთ-ერთ დიალექტოლოგიურ ნაშრომში ა. შანიძე შენიშნავდა: „აქ ჩამოთვლილია ის კილოები, რომელთა შესახებაც სანდო მასალები მაქვსო...“ სხვაგან წერდა: „დამატებით ცნობათა უქონლობის გამო არ შემიძლია გადაჭრით ვთქვა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ამ შემთხვევაში მთიულურ-გუდამაყრული და მოხეური...“ ამას ამბობდა მეცნიერი, ვისაც, როგორც იტყვიან, სიზმარიც კი დაეჭვებოდა, მაგრამ ყველაზე უკეთ მან იცოდა, რომ მეცნიერული დასკვნის გასაკეთებლად არგუმენტებია საჭირო... ამგვარი გაკვეთილები ტ. ფუტყარაძისათვის არ არსებობს. მას შეუძლია განცხადება გააკეთოს და **კოდორის ხეობის მეტყველება** სვანურის მეექვსე დიალექტად გამოაცხადოს!.. არც ჩოლურულის დამოუკიდებელ დიალექტად მიჩნევა მისთვის სადავო... არგუმენტაცია საჭირო არააო...

\* \* \*

დიალექტთა დაჯგუფების სქემის წინა პუბლიკაციებში ტ. ფუტყარაძე **ყიზლარ-მოზდოკურ** დიალექტს წარმოადგენდა. ამ ბოლო ვარიანტში „დაახუსტა“ — **ყიზლარ-მოზდოკურ-პლასტუნკური** დიალექტი შემოგვთავაზა. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ წერდა ი. გიგინეიშვილი: „ყიზლარ-მოზდოკური ქართული ცალკე დიალექტურ ერთეულს არ წარმოადგენს... ახალგაზრდებს უკვე დავიწყებული აქვთო...“ დღეს ეს ქართული მეტყველება აღარც არსებობს... თითქმის მსგავსი ვითარებაა პლასტუნკაშიც. ვ. თოფურის აზრით, „აქ ახალი დიალექტური ერთეული არ წარმოქმნილა“. ამჟამ-

მად ქართული მეტყველების შენარჩუნების პრობლემაცაა პლასტუნკაში...

და კიდევ ერთი არსებითი მომენტი: პლასტუნკური მეტყველება — ესაა იმერელთა, რაჭველთა და ლეჩხუმელთა ნარევი მეტყველება, სადაც წამყვანი როლი ლეჩხუმურს ეკუთვნის. უფრო სწორად, ესაა დასავლეთქართული ნარევი მეტყველება... ყიზლარ-მოზდოკის ქართული კი იყო ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტთა ნარევი მეტყველება (მოხეურის, მთიულურ-გუდამაყრულის, კახურის...). ყოველივე ამის გათვალისწინებით ყიზლარ-მოზდოკურ-პლასტუნკურის დღევანდელ ქართულ დიალექტად გამოცხადება ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს...

\* \* \*

უცნაურ ორიგინალობად უნდა ჩათვალოს დიალექტთა ამგვარი დაჯგუფება: ა) **ცენტრალური კილოები**; ბ) **განაპირა კილოები** და გ) **საქართველოს ისტორიული ტერიტორიის გარეთ არსებული ქართველთა კილოები**.

არსად ტ. ფუტყარაძე არ საუბრობს იმის თაობაზე, თუ რა არის დიალექტთა ამგვარი დაჯგუფების საფუძველი. ერთი შეხედვით, ეს პრინციპი მარტივია: ასე ვთქვათ, „რუკის პრინციპი“ — საქართველოს რუკაზე საზღვრის გასწვრივ (ე. ი. „განაპირა ტერიტორიაზე“) წარმოდგენილი „დიალექტები“ ერთ ჯგუფად მოიაზრა ავტორმა, ხოლო რუკის ცენტრში (ცენტრალურ ტერიტორიაზე!) განლაგებული დიალექტები — ცალკე ჯგუფად. **არავითარი ლინგვისტური საფუძველი ამგვარ დაჯგუფებას არ გააჩნია**. შესაბამისად, ლინგვისტური თვალსაზრისით უცნაურიც კი არის სვანურის, მეგრულის, ბაცბურის, ხევსურულის, ინგილოურისა და აჭარულის ერთ ჯგუფში გაერთიანება; მეორე მხრივ, გურულისა და აჭარულის სხვადასხვა ჯგუფში მოხვედრა!..

ტრადიციული დაჯგუფების რევიზია ამ შემთხვევაში წარუმატებელ ცდად გვესახება! აი, რატომ: ტრადიციულად ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა: აღმოსავლური დიალექტები და დასავლური დიალექტები; აღმოსავლურში ორ ქვეჯგუფს გამოყოფენ — მთის კილოები და ბარის კილოები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიცი-

ული დაჯგუფება არ არის მხოლოდ გეოგრაფიულ პრინციპებზე დაფუძნებული: „აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიალექტებად განდასება, რასაკვირველია, გეოგრაფიულ პრინციპს ეყრდნობა, მაგრამ ამას იმავდროულად მხარს უჭერს ენობრივი ნიშან-თვისებანიც. თითოეულ ამ ჯგუფში შემავალი დიალექტები ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით მეტ-ნაკლებად საერთო ტენდენციით ხასიაღებებიან“ (ბ. ჯორბენაძე). იგივე ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბარის დიალექტთა ქვეჯგუფების გამოყოფაზეც: „აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები ორი ძირითადი ნიშან-თვისებით გამოიჩნევიან სხვა დიალექტებისაგან: ჯერ ერთი, მათ მეტ-ნაკლებად დაცული აქვთ ქართული ენის ის ვითარება, რომელიც შედარებით ადრეულ ფორმაციებს განეკუთვნება... დაცულია არქაული ლექსიკა... თავს იჩენს მთის იბერიულ-კავკასიური (კერძოდ, ნახური) ენების ზემოქმედების კვალი“ (ბ. ჯორბენაძე).

დანიტერესებულ პირს ამ თემაზე შეუძლია გაეცნოს არაერთ სამეცნიერო ნაშრომს (ი. ყიფშიძისა, შ. ძიძიგურის, ბ. ფოჩხუასი და სხვა). კონკრეტული მაგალითების მოყვანა ამჯერად არ მიგვაჩნია საჭიროდ. ფაქტია: **ტრადიციულ დაჯგუფებას ქართული დიალექტებისას აქვს არა მხოლოდ ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული, არამედ მყარი ლინგვისტური საფუძველი.** ტ. ფუტკარაძის შემოთავაზებული დაჯგუფება **მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს. ესაა ნიმუში იმისა, თუ როგორი არ უნდა იყოს ერთეულთა კლასიფიკაცია...**

\* \* \*

დაბოლოს: ტ. ფუტკარაძის განცხადება, რომ „წარმოდგენილი კლასიფიკაცია უფრო არგუმენტირებულიაო“, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

ქართული ენობრივი სამყაროს სწავლებისას ამ სქემის გამოყენება მიგვაჩნია მიზანშეუწონლად თავისი არამეცნიერული და ზედმეტად ამბიციური ხასიათის გამო.

## თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

### **რელატიურზმნიანი შესიტყვების სინტაქსური მექანიზმისათვის თანამედროვე ქართულში (ორსახელიანი ზმნების მიხედვით)**

თანამედროვე ქართულში გამოიყოფა რელატიურზმნიანი (ორსახელიანი) შესიტყვების სამი ძირითადი ტიპი: ა) გარდამავალზმნიანი (**ხატავს ბავშვი დედას...**), ბ) მედიოაქტივზმნიანი (**პატრონობს მამა შვილს...**) და გ) გარდაუვალზმნიანი (**ეფერება დედა შვილს...**). შესაბამისად, განსხვავებულია შესიტყვების შემადგენელ კომპონენტთა სინტაქსური სტატუსიც. ერთ შემთხვევაში (**ხატავს ბავშვი დედას**) შესიტყვება აგებულია კოორდინაციის საფუძველზე: ზმნა მართავს მორფოლოგიურ სუბიექტსა და მორფოლოგიურ ობიექტს ბრუნვაში (დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით), ამავე დროს თავად (ზმნა) იმართვის სახელებისაგან პირის მიხედვით და ეთანხმება მათ რიცხვში (სახელთა პირი თუ რიცხვი ხან რეალურად აისახება ზმნაში, ხან პოტენციურად). ზმნაცა და სახელებიც (MS და MO) მმართველ-მართულნი არიან. მაშასადამე, ზმნა ძირითადი კოორდინატია, ხოლო სახელები — დიდი კოორდინატები (ეს უკანასკნელნი — MS და MO — თანაბარი სინტაქსური ძალით მართავენ ზმნას); მეორე შემთხვევაში (**პატრონობს მამა შვილს**) ზმნა კვლავ ძირითადი კოორდინატია, მმართველ-მართულია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ბრუნვაში მართავს მხოლოდ მორფოლოგიურ სუბიექტს, მორფოლოგიური ობიექტი კი უმართავია. სახელები ამ შემთხვევაშიც თანაბარი სინტაქსური ძალით მართავენ ზმნას პირისა და რიცხვის მიხედვით (რეალურად ან პოტენციურად). მორფოლოგიური სუბიექტი აქაც დიდი კოორდინატია, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი, რომელიც მართავს ზმნას პირში და ითანხმებს რიცხვში, მაგრამ ვერ იმართვის ზმნის მიერ ბრუნვაში — მმართველ-შემთანხმებელი სახელი. მესამე შემთხვევაში (**ეფერება დედა შვილს**) ზმნა ვერ მართავს ვერც ერთ სახელს: მორფოლოგიური სუბიექტი დრო-კილოთა სამსავე ჯგუფში სახელობით ბრუნვაშია, ხოლო მორფოლოგიური ობიექტი — მიცემითში, ზმნა კი იმართვის მათგან (სახელებისგან) პირის მიხედვით



და ეთანხმება მათ რიცხვშიც (ასევე რეალურად ან პოტენციურად). მაშასადამე, ზმნის პირი და რიცხვი დამოკიდებულია სახელებზე; ზმნა მოკლებულია მართვის ფუნქციას, იგი მხოლოდ მართულია. ამ შემთხვევაში ორსახელიანი შესიტყვების სინტაქსური მექანიზმი აგებულია არა კოორდინაციის, არამედ ჩვეულებრივი მართვა-შეთანხმების საფუძველზე.

## ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

### **ქართველურ, შუმერულ, ბასკურ და ბურუშასკი ენათა ნათესაობის შესახებ**

ჩვენ მიერ 1995 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრაზე შესრულებული სადიპლომო ნაშრომი „იაფეტური ენები და იაფეტელები“ (ხელმძღვანელი: პროფ. ზ. კიკნაძე) არსებითად შუმერულ, ბურუშასკი, ბასკურ და ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის შეპირისპირებისა და ამ ენათა შორის რეგულარულ ფონემურ შესატყვისობათა სისტემის დადგენის მცდელობას წარმოადგენდა.

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში აღნიშნულ ენათა შესწავლის პროცესში მიღწეული წარმატებებიდან გამომდინარე, ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებას მათ ურთიერთმიმართებებთან დაკავშირებით უფრო დასაბუთებული მოსაზრებების გამოსატყვევლად დღეს გაცილებით სრული და სანდო ინფორმაცია გააჩნია.

რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა დადგენასთან ერთად, უკვე შესაძლებელი ჩანს, გამოითქვას წინასწარი მოსაზრებები იმ წინარე ენის გრამატიკული სტრუქტურის თაობაზეც, რომლის დიალექტთა დიაქრონიული ტრანსფორმაციების შედეგადაც უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ ქართველური, შუმერული, ბურუშასკი და ბასკური ენები.

რეკონსტრუირებული მასალა ამ წინარე ენის დიალექტებზე მოლაპარაკე ტომთა კულტურის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექ-

მნის საშუალებასაც უნდა იძლეოდეს. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მსჯელობა ამ ფუძე-ენის გავრცელების თავდაპირველი არეალისა და მისი დიალექტების მატარებელ ტომთა ეთნოგენეზისის, მათი მიგრაციების გზათა და ქრონოლოგიის შესახებაც.

შუმერულ-ქართველურ ენობრივ შეხვედრებს შეხებიან კ. კრა-მარჟი, მ. წერეთელი, ზ. კიკნაძე, ჰ. ფენრიხი, ჯ. შარაშენიძე, რ. გორდეზიანი, გ. გიორგაძე....

ბასკურ-ქართველურ ენობრივ პარალელთა გამოვლენა უცდიათ ნ. მარს, კ. ბოუდას, რ. ლაფონს, ი. ბრაუნს, ი. ზიცარს, ე. ი. ფურნეს...

ე. ი. ფურნემ ბასკურ, ბურუშასკი, ქართველურ და წინაბერძნულ ენათა ლექსიკური ერთეულები შეაპირისპირა. დამატებითი ბურუშასკი-ქართველური პარალელები წარმოადგინა ჰ. ფენრიხმა.

რამდენსამე საგულისხმო ბასკურ-ბურუშასკი დაკავშირებას ვხვდებით ჯ. ბენგსტონისა და ასევე იმ სხვა მეცნიერთა ნაშრომებშიც, რომელნიც ბასკურ და ბურუშასკი ენებს, სინო-ტიბეტურ, ჩრდილო კავკასიურ, ენისეურ და ნა-დენე ენებთან ერთად, სინო-კავკასიურ (დენე-კავკასიურ) ენათა მაკროოჯახში აერთიანებენ.

ქართველურ, შუმერულ, ბასკურ და ბურუშასკი ენათა ნათესაობაზე მსჯელობისას ამ მკვლევართა მიერ წარმოდგენილ დაკავშირებათა გარკვეული ნაწილი უდავოდ გასათვალისწინებელია, დაკავშირებათა არამცირე რაოდენობა კი, სემანტიკური და ფორმალური ხასიათის მიზეზთა გამო, ძნელად მისაღები ჩანს.

მოხსენებაში კრიტიკულად იქნება გაანალიზებული შედარებული მასალის საფუძველზე მათ მიერ გამოტანილი დასკვნებიც.

დაისმის ქართველურ და ჩვენ მიერ მათ მონათესავედ მიჩნეულ, შუმერულ, ბურუშასკი და ბასკურ ენებთან, ერთი მხრივ, წინაბერძნული და ეტრუსკული, ხოლო, მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიური და ასევე წინა აზიის ძველი ხათური და ხურო-ურარტული ენების ნათესაურ ურთიერთმიმართებათა საკითხი.

## ციცინო კვანტალიანი

### ზოგი ზმნური ფუძე და ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება (ნიუანსობრივი სხვაობით გამოვლენილი)

თანამედროვე ქართულში ზმნისწინი ზმნას მეტ-ნაკლებად ყოველთვის უცვლის მნიშვნელობას. ზოგჯერ სხვაობა დიდია, ისე როგორც **არიდება-გარიდება-მორიდება** ან **არჩევა-გარჩევა -გამორჩევა-შერჩევა** ფორმებში. ამ მასდარებსა და შესაბამის ზმნურ ფორმებში მნიშვნელობები აშკარად განსხვავებულია. განსხვავება საგრძნობია მიმდებარეშიც: **არიდებული — გარიდებული-მორიდებული; არჩეული-გარჩეული-გამორჩეული-შერჩეული.**

ზოგჯერ ზმნისწინი ზმნურ და, შესაბამისად, სახელზმნურ ფორმებს მნიშვნელობას კი უცვლის, მაგრამ განსხვავება უფრო ნიუანსობრივია. ზმნა ან სახელზმნა ზმნისწინის დართვით იცვლის მნიშვნელობას, მაგრამ განსხვავებას მცირე ნიუანსი ქმნის. მაგალითად, **გარიდება-გამორიდება-მორიდება, გაარიდება-გამოარიდება-მორიდება, არიდებული-გარიდებული** ან **ამორჩევა-გამორჩევა-გადარჩევა, ამოარჩევს-გამოარჩევს-გადაარჩევს, ამორჩეული-გამორჩეული-გადარჩეული.**

ზოგჯერ თვით უზმნისწინო ზმნურ თუ სახელზმნურ ფორმებშიც არის მეტ-ნაკლები განსხვავება, მაგრამ ზმნისწინი მაინც თავის მნიშვნელობას აძლევს ზმნას ან აძლიერებს, ან აკონკრეტებს უზმნისწინო ფორმის მნიშვნელობას.

ასეთი ფორმების გამოვლენა კიდევ უფრო განამტკიცებს მოსაზრებას, რომ „თანამედროვე ქართულში ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ფუნქცია ფართოდ და მკაფიოდ არის ასახული“.

## მაია კობიაშვილი

### ქალთა ხელსაქმის აღმნიშვნელი ლექსიკა მოხეურში

ქართული ენის მოხეურ დიალექტში გავრცელებული ხელსაქმის აღმნიშვნელი ბევრი ტერმინი წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილ „შინამრეწველობის მასალებსა“ და ივანე ჭავჭავაძის მოხეური დიალექტის ლექსიკონში. ამჟამად ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მათგანზე, რომელთაგან ზოგიერთი პარალელს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში: ხევსურულში, მთიულურში, რაჭულში... (მაგ.: ჩონგა, გობანი, ჭაღაჭა, შე, ნაქცი...).

საანალიზო ტერმინთაგან ზოგი საკუთრივ ქართულია (კუთშტავი, კრაველი...), ზოგი (რუდა, ჩონგა...) ნასესხები ჩანს.

საგულისხმოა, რომ ზოგიერთი სიტყვა იმავე მნიშვნელობით ან მცირეოდენი შინაარსობრივი განსხვავებით მთის კავკასიურ ენებშიც არის დადასტურებული (მაგ.: გობანი, ვაინახ. გუენ \*გობენ; შდრ. ოსურ გობან „ლეიბი, ნალია“).

## ქეთევან მარგიანი

### ღიათეზის მორფოსინტაქსური კატეგორიისათვის სვანურ ენაში (წინასწარი მოხსენება)

ღიათეზის ცნება ქართულ ენაში მოიცავს ზმნის ვალენტობისა და პირიანობის, კონსტრუქციის, ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის საკითხებს.

უღლები ტიპების ღიათეზებად კლასიფიცირება და ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა თუ სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობის პრინციპად აღება ხსნის იმ შეუსაბამობებს, რომლებიც

გვარის მიხედვით კლასიფიკაციის დროს იჩენს თავს (დ. მელიქიშვილი).

ქართულ-მეგრულ ზმნასთან შედარებით სვანური ზმნის სირთულის შესახებ არაერთგზის აღნიშნულა საენათმეცნიერო ლიტერატურაში. აქ ჭერჭერობით შეუსწავლელია დიათეზის გრამატიკული კატეგორია, მაგრამ სერიების მწკრივებად დაყოფისა და ინვერსიის ტიპებში ქართულთან პარალელების, გვარისა და რეფლექსივის საკითხებში სვანურის სპეციფიკურობისა თუ თვით სვანური ზმნის მორფოლოგიურ-სინტაქსური ერთიანობის გათვალისწინების საფუძველზე აქაც შეიძლება გამოიყოს სამი დიათეზა:

პირველ, ანუ ერგატიული კონსტრუქციის მქონე დიათეზაში სვანურში გაერთიანდება გარდამავალი ზმნები, ანუ აქტივები, და მედიოაქტივები; ამ უკანასკნელთა რაოდენობა, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურშიც შედარებით შეზღუდულია (ვ. თოფურია, ა. ონიანი).

ა) **ასვენე** (ეჯა ეჩას) „აკეთებს (ის მას)“ — ანსუე (ეჯნემ ეჯა) „გააკეთა (მან ის)“

ბ) **არკუნე** ეჯა „კანკალებს ის“ — **ლაარუკუნე** ეჯნემ („კანკალა მან“)

გ) აქვე შეიძლება განვიხილოთ აქტიური ფუძედრეკადი ზმნებიც: **ხატხე** (ეჯა ეჩას ეჩას) „უბრუნებს“ (ის მას მას)“ — **ლახტიხ** (ეჯნემ ეჩას ეჯა) „დაუბრუნა მან მას ის“

მეორე დიათეზა, რომელიც აერთიანებს:

ა) ყველა სახის დინამიკურ ვნებიტებს და ბ) ნაწილობრივ სტატიკური ვნებიტის ფორმებს ნომინატიური კონსტრუქციისა. ორივე ქვეჯგუფის ზმნებთან სუბიექტი ბრუნვაუცვლელია და სამივე სერიაში დგას სახელობით ბრუნვაში:

**ისტაჟი** ეჯა („ხატება ის“), **ხესტაჟი** ეჯა ეჩას („ხატება ის მას“) — **ხთხატჟინ** ეჯა ეჩას („დაეხატა ის მას“).

გ) ფუძედრეკადი ზმნები

**დეგნი** ეჯა („ჩრება ის“) — **ადანგ** ეჯა („ჩაქრა ის“)

**მესამე დიათეზას** — დატიური კონსტრუქციის დიათეზას, ქართულსა და სვანურ ენებში ქმნიან ინვერსიული ზმნები, რომელთაც შეეწყობა „სულიერი მდგომარეობის განმცდელი, სუსტი ნებელობის მქონე სუბიექტი“ (დ. მელიქიშვილი).

**მალატ** მი ეჯა „მიყვარს (მე ის)“ — **ლამლატენ** (მი ეჯა) შე-მიყვარდა (მე ის)“.

საბოლოო დასკვნების გაკეთება შესაძლებელი გახდება დიათეზების შიგნით პარადიგმატული მოდულების აღწერისა და შესწავლის შემდგომ.

## ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

### სხვათა სიტყვა ზემო სვანურში (ენგურისა და კოდორის ხეობათა მოსახლეობის მეტყველების მიხედვით)

ქართულში პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები **-მეთქი**; **-თქო**; **-ო** და ისინი პირთა (I-II-III) მიხედვითაა განაწილებული. სვანურში სხვისი ნათქვამი მეტწილად III პირით გამოიხატება. გამოსახატავი საშუალებებია: **-იჯ/-ჯჯ** (I და II პირთათვის), **ესერ**, **როქ'ჟ'**, **ლოქ'ჟ'** (III პირისათვის) ნაწილაკები.

1. დიალოგის დროს ქართულში III პირისაგან I-II-III პირებისადმი მიმართვა სხვათა სიტყვაში მუდამ II პირის ფორმითაა გადმოცემული როგორც ზმნასთან, ისე ნაცვალსახელთან, ანუ ზუსტად ისე, როგორც მთქმელი (III პირი) იტყოდა, რადგან ადრესატად ნებისმიერ შემთხვევაში II პირი გამოდის, სვანურში კი ანალოგიურ ვითარებაში ნაცვალსახელიც და ზმნაც მიმართვის ობიექტის რეალურ პირს შეესაბამება მთხრობელის (და არა მთქმელის!) პოზიციიდან — I-ს, II-ს ან III-ს. კონსტრუქციისთვის ამოსავალი არის არა სიტყვების უშუალო ავტორის (მთქმელის) და მისი ადრესატის პიროვნული პოზიციები (თუ რომელი პირია ერთი თუ მეორე), არამედ მთხრობელთან მათი მიმართება:

ა) თუ ავტორი (მთხრობელი) და მთქმელის მიმართვის ობიექტი ერთი და იგივეა, მაშინ I პირისეული კონსტრუქციაა (რადგან მთხრობელი თავად არის I პირი):

**ჯათედ ნაქჟე: ნაროქ ამხენ ჩჟოდ ოსღელიჟედ** — “ჯათემ გვიტხრა: თქვენ აქეთ დამიცადეთო”; სიტყვასიტყვით: “...ჩვენო აქეთ დგუცადემცა (და-მცა-ვუცადეთ)”;  
**დინა, ბაწ'ესერ ლემზერარუ ოხნაყ!** — “გოგო, ამაღამ კვერები გამოაცხვეო!” — “...ამაღამო კვერებიმცა (“შესალოცები”) გამოაცხვეო!”

ბ) თუ მთქმელის ადრესატი მთხრობელისთვის II პირია, მაშინ II-პირისეული კონსტრუქცია გვაქვს:

**ყათლანდ მწჟჟ, ერე ს'ესერ დწმღუი ხჟწა ჯიდგარა** — “ყათ-

ლანმა მითხრა, რომ შენ(“ო”) დათვიც ბევრი “მო”გიკლავს”; **ისგუთათამ-ჭირე, ადეროლ** — “შენთან დამაბარა, წავიდესო (“წადიმცა”).”

გ)თუ მთქმელიც და აღრესატიც III პირია, ავტორი III-პირისეულ კონსტრუქციას მიმართავს:

**ბათალობი ნჭქუე მიჩა ჩიჟა: — როსტომ, ალო ათხ'ესერ ხო-წიჟხ ლიმარგუ!** — “ბათალობი უთხრა თავის სიძეს: — როსტომ, აბა ახ-ლა გვმართებსო სიმარჯვე!” — “...ახლაო ჰმართებთ სიმარჯვე!”

როგორც ვხედავთ, დიალოგებში სხვათა სიტყვის კონსტრუქციის-თვის ამოსავალი აღრესატის ავტორთან (და არა მთქმელთან) უშუალოდ მიმართება.

2. რადგან კონსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული ის, თუ რომელი პირია მთქმელი, ალბათ ამიტომაც I და II პირში სიტყვასი-ტყვიით ნაწილაკი ერთი და იგივეა (**იჯ/გჯ**) — მთქმელი ხომ ორსავე შე-მთხვევაში თავადაა ავტორი (მიმართავს აღრესატს თუ სხვას აბარებს რამეს!).

3. თუმცა III-პირისეული კონსტრუქცია ძირითადად სვანურის-თვის, ზოგჯერ **როქუე** და **ესერ** ნაწილაკები I და II პირის ნათქვამთანაც გამოიყენება, რაც ჯერ კიდევ 1962 წელს შენიშნა ი. ჩანტლაძემ თავის სადიპლომო ნაშრომში. ის ფაქტი, რომ აღნიშნული მოვლენა სვანური პოეზიის ნიმუშებში ხალხურ პროზასა და ცოცხალ მეტყველებასთან შედარებით, იმაზე მეტყველებს, რომ “ამგვარი რამ სვანურისთვის შედარებით უფრო გვიანდელია, მეორეულია და ქართულ ენასთან კონტაქ-ტით უნდა აიხსნას” (ი. ჩანტლაძე, “ქართველოლოგიური ძიებანი”, 1998, გვ. 227).

ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს კოდორის ხეობის მცხოვრებ სვანთა მეტყველების ნიმუშებიც, რომელთა შესწავლის შე-დეგად აღმოჩნდა, რომ **სხვათა სიტყვის ქართულისებური კონსტრუქ-ცია გამოყენების სიხშირით ჩრდილავს კიდევ სვანურის სპეციფი-კურ, მესამე პირისეულ კონსტრუქციას:**

**მეჰად ხატუნიღნა დედას: სი როქ დაჩუიჩ მანდე, მუხუბე როქ მიჩი ი ჩუ ლახ როქ ძარ ამდაგრი, ჩუ მიხა, სი როქ ჩუ მიწუჩი** — “სულ ეუბნებოდა თურმე დედას: შენ და კი არა, ძმა მყავხარო და თუ ვინმე მომკლავს, ვიცი, შენ მისისხლებო”.

აქ უფროსი თაობის წარმომადგენლებიც კი შედარებით არქაუ-ლი ლექსიკის შემცველი ტექსტების (ზღაპრების, ლეგენდების...) მოყო-ლისას უმეტესად უგულებელყოფენ III-პირისეულ კონსტრუქციას და სხვათა სიტყვის ქართულის ანალოგიურ წარმოებას არჩევენ:

**მულგუჟჭერის ხატული [მაჰრენე მუხუბე]: — კატოლ ხანს ესერ ჟი ლწმიშხუნ, ამღუიჭხ ესერ ჟეშგინ** — “მეწისქვილეს ეუბნება [უმცროსი ძმა]: — ცოტა ხანს დამმალეო (შემინახეო), მომდევნო უკან” (მოსალოდნელი იყო: ...**ჟიჟ ლწაშხუნი, ახღუიჭხ ესერ** “შეინახამცა, მოსდევნო...”).

უფრო მეტიც, სხვათა სიტყვის მესამე პირისეული კონსტრუქცია კოდორელ სვანთა მეტყველებაში უკვე იმდენად არამყარია, რომ ხში-რად მთქმელები ერთსა და იმავე კონტექსტში უნებურად ცვლიან მას და გადადიან მათთვის უკვე უფრო ბუნებრივად ქვეულ ქართულისე-ბურ კონსტრუქციაზე, სადაც მთხრობელის კი არა, უშუალოდ მთქმე-ლის ან მთქმელისა და აღრესატის (დიალოგში) პირია ამოსავალი:

**ლეღატლ ნჭქუე ალ ზურალს: — ჯ'ესერ ქაა ხეხუდ ი ალი ქონე-ბა ესერ ნაა ოგუსენდი** — “საყვარელმა უთხრა ამ ქალს: — მე წავიყუ-ნო ცოლად და ეს ქონება ჩვენ დაგვრჩებაო”; სიტყვასიტყვით: “...თვითო-ნო წაიყუანს ცოლად და ეს ქონება ჩვენ დაგვრჩება”.

შეიძლება ითქვას, რომ საუკუნუნახევრის წინ კოდორის ხეობაში გადასახლებულ სვანთა მეტყველებაში, რომელიც ბალსზემოურ და ბალსქვემოურ კილოთა შერევის თუ დომინანტ ენაზე მეტყველ მოსახ-ლეობასთან ხშირი კონტაქტის გამო ინტერფერენციულობით გამოირ-ჩევა, ქართულმა გავლენა სინტაქსზე უფრო ადვილად მოახდინა, რაც მოცემულ შემთხვევაში ნათლად გამოვლინდა.

4. თუ პირდაპირი ნათქვამის კილო ბრძანებითი ან კავშირები-თია, მასთან აუცილებლად გვხვდება **-უ/-ჟ/-ოლუ/-ოჟ** “-მცა” ნაწილაკი, რომლის ადგილიც მყარი არ არის — შეიძლება დაერთოს წინადადების ნებისმიერ წევრს, ხშირად — წინდებულს, შედარებით იშვიათად ზმნის ბოლოსაც გვხვდება, რაც მაინცდამაინც ბუნებრივად ვერ ჟღერს; ასეთ წინადადებაში **ესერ, როქუე** ნაწილაკები აუცილებელი აღარ არის, ისე-დაც იგულისხმება, რომ სხვათა სიტყვასთან გვაქვს საქმე:

**ღერბთელ ნჭქუე: სამლაჰარ შუკუისგ'ესერ მურსგუენთიჟუ აჩად** — “ღმერთმა უთხრა: გზაჯვარედინზე მარჯვნივ წადიო — “...გზაჯვარე-დინზე (“სამსაყარ”) გზაშიო მარჯვნივმცა წავიდა”.

ღინ'ესერ ქ'ოლ აფიშღუხ || დინა ქ'ოლ აფიშღუხ — “გოგო გაუშ-ვითო” (“გოგო ან გოგო გა-მცა-უშვეს”).

**ძარად ესერ ჩუჟუ აშიდხ || ძარად ჩუჟუ აშიდხ!** — “იარალი დაყა-რეთო!” (“იარალი ან იარალი და-მცა-ყარეს”).

მსგავს ვითარებაში ზმნა-შემასმენელი ყოველთვის წყვეტილშია წარმოდგენილი, რომელიც “-მცა” ნაწილაკიანი ბრძანებითი ან კავშირე-ბითი კილოს სემანტიკას შეესატყვისება; იგივე ნაწილაკი სხვა მწკრივებ-თანაც გვხვდება, მაგრამ იქ პირდაპირი ნათქვამი სხვათა სიტყვის ნაწი-ლაკის გარეშე ვერ გამოიხატება:

**ხოჩამღუ ესერ ხარად!** — “კარგად იყავითო” (“კარგად-მცა-ო ხართ!”), შღრ.:

**ხოჩამღუ ხარად!** — “კარგად იყავით!” (“კარგად-მცა ხართ!”).

## ვახტანგ მაღრაძე

### კვლავ კალკების შესახებ

თანამედროვე ქართულში საკმაოდ მომრავლდა კალკები (სხვა ენის სიტყვის ან შესიტყვების მნიშვნელობის ზუსტად გამოხატვა მეორე ენის ამავე მნიშვნელობის სიტყვით ან შესიტყვებით).

ქართული ზმნა განსაკუთრებული მრავალფეროვნებითა და საოცარი ტევადობით გამოირჩევა. ის, რაც სხვა ენებში ორი სიტყვით გამოხატვას საჭიროებს, ქართულში ორგანულად უნდა იქნეს გადმოცემული.

1. **იმედს ვიტოვებ** რუსულისათვის დასაშვებია, ბუნებრივი ფორმაა ( ), ქართულისათვის კი კალკს წარმოადგენს და მიუღებელია. მართებულია **ვიმედოვნებ**.

2. **ამაყი ვარ** — ესეც კალკია ( ). დასახელებული სინტაგმა მართებულად გამოიყენება კონტექსტში, როდესაც თვისებაზეა საუბარი. მაგ.: **ჭიუტი ვარ; მხიარული ვარ; მოქნილი ვარ; ქედმაღალი ვარ; ჭკვიანი ვარ... ამაყი ვარ**; მაგრამ, როდესაც ის მოქმედებას აღნიშნავს, ერთი სიტყვით, ზმნით უნდა გადმოიცეს; **ვამაყოფ, მემამყება**.

## ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებანი

#### 3. აფხაზური აზნეშა „სატანა, ეშმაკი“

#### ლექსემის წარმომავლობისათვის

აფხაზურში აზნეშა „სატანის, ეშმაკის“ ერთ-ერთი სახელწოდებაა. მოხსენებაში გამოთქმულია ვარაუდი იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ლექსემა უნდა მომდინარეობდეს აფხაზურშივე დადასტურებული ჯაჰანგმ „ჯოჯოხეთი“ სიტყვისაგან, რომელიც თავის მხრივ, ნასესხები უნდა იყოს ამ ენაში. ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს ავ-

რეთვე ძველი ქართლის ლექსიკური ერთეული, მემაჯანი „თავზარდამცემი“, რომელიც ქართულში აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან ჩანს მოხვედრილი.

## ნ ი კ ო ლ ო ზ ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი

### ადგილნაცვალი ტოპონიმები ფრონეს ხეობაში

ზემო ქართლის ტოპონიმები მრავალმხრივ არის საინტერესო. ისინი მოხსენებული არის მთელ რიგ საისტორიო დოკუმენტებში, აღნიშნულია მეცნიერთა და მოგზაურთა აღწერებში, დატანილია რუკებზე.

ფრონეს ხეობის ტოპონიმებმა მრავალ ქართველს გაუძღეს, ბევრი მათგანი განადგურდა ომების, მიგრაციის შედეგად, მაგრამ მათი აღდგენა მაინც ხერხდება ჩაწერილი მასალებით და მათი შეჭერებით ისტორიულ დოკუმენტაციასთან.

ხშირ შემთხვევაში ტოპონიმი გადაადგილებულია, ადგილშეცვლილია, ამისი მიზეზი კი მიგრაციულ პროცესებთან ერთად ისტორიული გადადგილებაა. ხეობაში სოფლები ძირითადად განლაგებული იყო შემადგენელ ადგილებზე, ცხოვრება ადგილობრივთა უწყვედად ბართან შედარებით მკაცრ პირობებში და მიატოვეს უკეთესი საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად. გადასახლდნენ რა ხელსაყრელ საცხოვრებელ ადგილზე, თან გადაიტანეს თავიანთი ძველი საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება.

სოფელი მულნისი ასეთი სახელწოდებით გვხვდება 1715 წლის რუსის საეპისკოპოსოს დავთარში, ვახუშტის ტექსტში და რუკაზე დატანილია, როგორც მულრისი. ეს გეოგრაფიული პუნქტი მდებარეობდა დვანისა და ფცის ფრონეების წყალგამყოფ ქედზე.

ზემოხსენებული დავთარის მიხედვით, იქ ცხოვრობდნენ ბრეგვაძე, შუკავიძე, მამაცაშვილი. პირველი ორი გვარი დღეს ხეობაში აღარ სახლობს, ხოლო მამაცაშვილები ჩამოსახლდნენ მდინარე ფრო-

ნეს მარცხენა ნაპირზე და გადაადგილებულ ტოპონიმებს ისევ მულრისი უწოდეს. ასე რომ ძველი სოფელი გაცილებით შორს მდებარეობდა, სადაც ახლაც არის საკულტო ნაგებობა.

სოფელი ხუნდისუბანიც ამ ქედის განშტოებაზეა გაშენებული, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარეობდა გიუნანთი (გიუნაშვილები), რომლებიც დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ანძისიდან მეთვრამეტე საუკუნეში ჩასახლდნენ ფრონეს ხეობაში. იქიდან ოცი წლის მერე აიყარნენ და გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში გადასახლდნენ.

ხახუტაშვილების სოფელი (ხახუტაანთი) ლებეურის მთიდან საცხოვრებლად წავიდნენ გორის რ-ნის სოფელ მეჯვრისხევში.

პატარა სოფელი წორბისი დვანის ფრონეს სათავეში მდებარეობს და იქ უკვე გაოსებული დოიჯაშვილების ოთხი ოჯახი ცხოვრობს. მათი გადმოცემით გვარის წინაპრები რაჭის სოფელ წორბისიდან არიან გადმოსულები და ახალმოსულებს ძველი სოფლის სახელი უწოდებიათ. მათი ნათესავები საცხოვრებლად გადასულან ლიახვის ხეობის სოფელ ერგნეთში და ერთ უბანს თავიანთი გვარის მიხედვით უწოდეს დოიჯაანთი (დოიჯაშვილები).

სოფელი არამგამა ფცის ფრონეს მარჯვენა მხარეს იყო გაშენებული ვრცელ ქედზე, სადაც აღწერით ცხოვრობდნენ: სამსონაშვილი, დვალი, იობაშვილი, აჭარაძე. სოფელმა შემდგომ ადგილი იცვალა მდინარის მარჯვენა მხარეს გააშენეს, სადაც ძველი გვარებიდან დარჩა მხოლოდ დვლები, დანარჩენი ფეხშველაშვილი და კასრაძეები დიდი ლიახვის ხეობიდან ჩასახლდნენ.

სოფელ ახალშენიც ამ ხეობის მარცხენა მხარეს მდებარეობდა და შემდეგ მარჯვენა მხარეს გადმოსახლდნენ. ათი გვარიდან — ჩუბინაშვილი, იორამაშვილი, ჯობორიშვილი, ზუბიაშვილი, კვესაძე, ჟოჟუაშვილი, ქიტიაშვილი, ბიძინაშვილი, პაპუნაშვილი, მურვანიშვილი, სოფელში აღარავინ სახლობს. დარჩა მხოლოდ ხუციშვილები და მესხები, დანარჩენები გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონის სოფლებშია გაფანტული.

ფცის ფრონეს მარჯვენა მხარეს მდებარეობდა სოფელი წირეთი, სადაც დავთარის მიხედვით ცხოვრობდნენ თოთლაძე, მაისურაძე, ლობიოძე, ცაცანაშვილები, ბესაშვილი, ლელაშვილი, ჩილუნძე. დღეს ეს სოფელი აღარ არსებობს, ნასოფლარის ჩრდილოეთით ერთი კი-

ლომეტრის მოშორებით არის სოფელი ნაბაკევი, სადაც ნასოფლარიდან გადასახლდნენ იანტბელიძე, სამხარაძე, ნადირაშვილი. მათი მონათხრობით კი ჩავიწერეთ ტოპონიმები: მაისურაანთ ახოები, წყარო, ბეგიაანთ (ბეგიაშვილი) ტყე, ცაცანაანთ ნასახლარები, კალოები.

ხეობაში იყო პატარა სოფელი ნადიკვარი, მარცხენა მხარეს, სადაც სადღობელაშვილები ცხოვრობდნენ. სოფელს ეს სახელი დაერქვა იქ გავრცელებული ხორბლის ჯიშის დიკას გამო, რომელიც ამ გვარის ხალხს მოჰყავდა და გაჰქონდათ ბაზარზე. აქვე იყო ტბა და დღესაც არის, ოღონდ იქ ხალხი არ სახლობს. აქ მოჰყავდათ მცენარე ჭილი, რომლისგანაც ქსოვდნენ ჭილოფს, ასევე მოჰყავდათ ხილი და სწორედ ამიტომ გვხვდება ტოპონიმები: ჭილიანი, სელიანი. სელის მოყვანას უმთავრესად მესხები მისდევდნენ. ეს ადგილები უკვე ოცი წელია დაცლილია ეთნოკონფლიქტების გამო და იქაურობა გვერანებულია.

დვანის და ფცის ფრონეების წყალგამყოფად ლებეურის მთის ჩრდილოეთით არის ნასოფლარი გომართა, სადაც ჯერ კიდევ დვას წითელი ტუფით ნაგები ტაძარი. მის ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია გვირგვინოსანი ქალის ფრესკა, რომელიც თამარ მეფისად არის მიჩნეული. შეიძლება ითქვას, რომ ეს ვრცელი ფართობი, რომელიც შუა ტყეში მდებარეობს, ასი ჰექტარი მაინც იქნება, სადაც უამრავი ნასახლარი და ნანგრევია, რომელიც ფაქტიურად გამოკვლეული არ არის. აქედან გზა იმერეთში გადადის და ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ რაჭიდან და იმერეთიდან გადმოსახლებულები ცხოვრობდნენ. დავთარის მიხედვით: კობერიძე, შავაშაძე, ტაბატაძე, სირაძე, ომაძე, ჩინჩალაძე.

ნასოფლარი ხრტანა მდებარეობს გომართის სამხრეთით, სადაც ცხოვრობდნენ: ლაყვაძე, ჭიჭინაძე, გრძელიშვილი, კაპანაძე, ცისკაძე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ისტორიული სოფლის თიღვის სიახლოვეს ბურნაძეების უბანს დაარქვეს ჩრდილო კავკასიიდან საყაჩაღოდ გადმოსული ვინმე ზნაურ აიდაროვის სახელი, რომელიც დღეს რაიონულ ცენტრად ითვლება. ასევე ისტორიული სოფელი გიორგიშინდას, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ისაკ ხარებოვის სახელი უწოდეს. გამქრალია წყაროებში დასახელებული სოფელი ტვი-სუბანი, რომელიც ზემოხსენებულ რაიონულ ცენტრს შეუერთეს.

ჩამოთვლილი და განხილული დასახლებული პუნქტების სახელწოდებები მხოლოდ ნაწილია იმ ნასოფლარებისა და გადაადგილებული ტოპონიმებისა, რომლებიც ფრონეს ხეობაში გვხვდება. მათი გამომწერება, იქ მცხოვრები გვარების ფიქსაცია და სამეცნიერო მიმოქცევა ბევრს მოჰფენს ნათელს ისტორიისა და დიალექტების კვლევისას.

## მ ე რ ა ბ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

### **ზოგიერთ ანთროპოლოგიურ ცნებათა სემანტიკური ველის შესახებ ქართულ ენაში**

ენის ყოველი ცალკეული ელემენტი თავს ავლენს როგორც მთელის ნაწილი. ენა სისტემაა, მას შინაგანი კანონზომიერება აქვს; ერთი სიტყვის წვდომაც კი ენაში არსებული ურთიერთკავშირების წვდომას გულისხმობს. ჰუმბოლდტის ეს ფუნქციონალური თვალსაზრისი განსაზღვრავს ენის მეცნიერული კვლევის პრინციპებს.

ამა თუ იმ ენის სემანტიკური ველები გარკვეული ნიშნით ამთლიანებენ სიტყვათა განსაზღვრულ ჯგუფებს. პრინციპი მათი გამთლიანებისა შინაარსობრივია.

ჩვენი კვლევა-ძიების დროს ვეფუძნებით ენათმეცნიერებაში შემუშავებულ დებულებებს ეროვნული ენობრივი გონის მიერ სამყაროს ორიგინალური ხედვის შემუშავებულ პრინციპებს, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოვადგინოთ გარკვეული ნიშნით აღბეჭდილი სიტყვათველი.

საკაცობრიო კულტურის ისტორიაში ყოველი ერი თავის „სიტყვას“ ამბობს, თავისი ენობრივი გონით აცნობიერებს სამყაროს. ყოველ ენას თავისი ორიგინალური მსოფლხედვის მეოხებით საკუთარი ენობრივი ველები გააჩნია. არასოდეს დაიყვანება ერთი ენის ველი სხვა ენის სემანტიკურ ველზე. სიტყვათა შინაარსები ყოველთვის სხვაობენ, ამასთან, არ არის გამორიცხული სტრუქტურულ-შინაარსობრივი სიახლოვე.

ჩვენ საკითხთან დაკავშირებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „იწროების“ ფსიქოლოგიური შინაარსის დადგენა იმ სემანტიკური ველის მეოხებითაა შესაძლებელი, რომლის ორგანული წევრიც ის არის. ეს სტრუქტურა მოიცავს იმ სიტყვებს, რომლებიც ენათესავებიან მას გრძნობით-ემოციური ნიშნის მიხედვით, რომელთა საერთო განმსაზღვრელია პ ი რ ო ვ ნ უ ლ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს რ დ ვ ე ვ ა. ეს სიტყვებია: „შეიწრება“, „მოკლება“, „განკაფა“, „განლევა“, „შემცილება“, „დაკნინება“, „განკვეთა“, „განპება“, „განხერხვა“ და სხვა. საზოგადოდ, ეს სიტყვები შესაძლებელია მოვიაზროთ როგორც სინონიმები და წარმოვადგინოთ როგორც „შეიწრება-მოკლების“ სემანტიკის მატარებელი სიტყვები. პიროვნული რღვევა განპირობებულია ადამიანის მთლიანი ბუნების „შეიწრებით“, რაც მისი შინაბუნების უმთავრესი მახასიათებლის — გ ო ნ ე ბ ი ს ფ ა რ თ ო მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს დ ა ქ ე ე ი თ ე ბ ი თ ა ა გამოწვეული.

„შეიწრებას“ ჩვენს მიერ განხილული მასალის მიხედვით აქვს თავისი გრადაციები: საკუთრივ „იწროება“, „განფიცება“, „დამძიმება“, „განცოფება“ და „კრულება“ („სკუნა-ამოსკუნა“, ჩაკეტვა, დახურვა). საზოგადოდ, პიროვნული მთლიანობის დაკარგვა ნიშნავს სიმყარის, სიმტკიცის დაკარგვას, შინაგან კონფლიქტს, „იჭვინულობას“, რაც გამოხატულია ისეთი „იწროებითი“ შინაარსის ცნებით, როგორცაა „ორგულება“ (ანტონიმური შინაარსის ცნება — „ერთგულება“ გამოხატავს პიროვნულ სიმტკიცესა და მთლიანობას).

„იწროება“, როგორც ადამიანის შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობის გამომხატველი სიტყვა, ემოციურ შინაარსს შეიცავს. იგი ზოგადი ცნებაა და გრძნობა-ემოციათა მრავალფეროვან შინაარსებს გამოსახავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ბუნების იწროება სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა შინაარსით იტვირთება და განსხვავებულ „გულისთქმებზე“ მიგვანიშნებს.

„იწროება“-ს ძველ ქართულ ენაში არაერთი სიტყვა ენათესავენ. მათ შორის უპირველესად უნდა დავასახელოთ „მოკლება“. პიროვნების „შეიწროება“ იმავდროულად „მოკლება“, „ნაკლულევანება“. „იწროება“ და „მოკლება“ ამ შემთხვევაში სინონიმებად წარმოგვიდგებიან, ისევე როგორც „გულიწრება“ და „სულმოკლება“. ამ კომპოზიტთა სინონიმურობა კი იმით აიხსნება, რომ სინონიმებად

მოიაზრებიან „გული“ და „სული“, როგორც მთლიან პიროვნული შინაარსის გამომხატველი სიტყვები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემოვიტინოთ „იწროება-მოკლების“ ცნება, როგორც არაერთი ემოციური შინაარსის მნიშვნელობისა, რომლებიც მას მიემართებიან როგორც სახეობრივი ცნებები. სხვაგვარად: „იწროება-მოკლების“ შინაარსი გულისხმობს უარყოფითი შინაარსის სიტყვათ ველს.

ადამიანი ვერასდროს აღწევს იდეალურ სრულყოფას, ამდენად ნაკლოვანების გრძობა მისი იმანენტური თვისებაა და მარადიულ სწრაფვაში ამაღლებულისაკენ ავლენს თავის თავს; მაგრამ, ამასთან, ადამიანი თავის სწრაფვას „სიცოცხლისაკენ“ თავისუფლების კონკრეტული აქტების განხორციელებაში გამოავლენს, რაც ამაღლებულისაკენ იდეალური სწრაფვის ერთი კონკრეტული ასპექტია. „ნაკლოვანების“ გრძობა (ის, რაც ადამიანის „გულს აკლია“) ადამიანის შემოქმედებითი აქტივობის აუცილებელი პირობაა.

უარყოფითი ემოციური შინაარსების სიტყვათველის განსაზღვრისას, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ველის წევრთა ანტონიმური შინაარსების ჩვენებას, სადაც აგრეთვე სისტემურად დალაგდება დადებით ემოციათა ნიშნით გაერთიანებული სიტყვები. ეს ნიშანი უკვე ფართობის ხასიათს ატარებს და პიროვნების გამთლიანებას ემსახურება. ამ ორი ჯგუფის („იწროება-ფართობის“) შინაარსები ერთ დიალექტიკურ მთლიანობას ქმნიან, ერთმანეთს განაპირობებენ: „იწროების“ ჯგუფი „ფართობის“ ჯგუფის გარეშე არ მოიაზრება და პირუკუ. ამდენად, ესენი ერთ საერთო „გულისთქმათა“ ველში ერთიანდებიან. უარყოფითი ემოციური ჯგუფის შინაარსებს, როგორც საკონტროლო საშუალება, ადასტურებს „ფართობა-განვრცობის“ სიტყვათა ჯგუფი, რომლებიც დადებით ემოციურ შინაარსებს გადმოსცემენ.

## ნ ი ნ ო ს ო ზ ა შ ვ ი ლ ი

### ამირანის ეტიმოლოგიის საკითხისათვის

გაუტყველ და დასჯილ გმირთა პლეადაში პრომეთეს უპირველესი ადგილი უკავია. მსოფლიოში ცნობილ მიჯაჭვულ გმირებს შორის პრომეთესთან თავისი სიუჟეტითა და ფილოსოფიური კონცეფციით კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული, უძველესი წარმართული ქართული ეპოსის „ამირანიანის“ მთავარი გმირი, კოლხური მითოლოგიის ღერძი, ღმერთთან მეტრძოლი ამირანი დგას, რომლის სახელთან დაკავშირებული გადმოცემანი ხნოვანებით ბერძნულ მითზე ადრინდელი აღმოჩნდა. ეს მარადიული სახეები დამოუკიდებელი ისტორიის მქონე მხატვრული ორეულები არიან.

**ამირანი** ქართული ხალხური ეპოსის გმირის სახელია, რომელსაც მნიშვნელობის დამაჯერებელი ახსნა არ მოეპოვება. მისგან ნაწარმოებია გვარები: **ამირანაშვილი, ამირანიძე.**

ამირანის მითთან დაკავშირებული არაერთი ჰიპოთეზაა გამოთქმული; კერძოდ, ეპიკური ძეგლის აღმოცენებისა და განვითარების პერმანენტულობა, ძეგლის ქრისტიანიზაციის თავისებურებანი, პერსონაჟთა ნათესაური კავშირი და ა.შ. ცხადია, საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს. ასეთთა შორის გვევლინება ეპიკური ძეგლის მთავარი გმირის ანთროპონიმის ეტიმოლოგიის საკითხიც.

„ამირან“ ანთროპონიმის აგებულებისა და სემანტიკისადმი დამოკიდებულება მეცნიერებაში ერთგვაროვანი არ არის.

გიორგი წერეთლის მიხედვით, „ამირანი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „მერე“ — „მერენი“, რაც „მდინარე — მდინარეებს“ ნიშნავს.

ნიკო მარის ინტერპრეტაციით, სახელი ამირანი აფხაზური წარმოშობისა უნდა იყოს და მის ორეულს აბრსკილი ჰქვია, რაც მზის შვილს ნიშნავს.

ნაშრომში განხილულია როსტომ ჩხეიძის მოსაზრება „ამირან“ ტერმინის ეტიმოლოგიისათვის, ასევე ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ცნობები ფაზისისა და „ამარანტის“ მთის შესახებ.

ბერძნული მითოლოგიური და ლექსიკოლოგიური მასალების



გაცნობამ დამატებითი ინფორმაცია შეგვძინა, რასაც, ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ანთროპონიმ **ამირანის** ეტიმოლოგიისათვის.

ბერძნული ენის განმარტებით ლექსიკონში **Αμαραντος** — განმარტებულია: 1. ის, ვინც ან რაც არასოდეს არ ჭკნება, არ ხმება, ვინც მარადჟამს ახალგაზრდა და შეუბილწავია. 2. ის, ვინც მარადჟამს ინახავს და იცავს საკუთარ აზრსა და მისწრაფებას, საკუთარ მიზანს.

ბერძნულ ზეპირსიტყვიერებაში არსებობს სიმღერა მცენარეზე, რომლითაც მედემ იაზონს მალამო დაუმზადა. ეს მცენარე კი ამირანტის მთის მწვერვალზე ამოდის.

ქართულ, რუსულ და ბერძნულ ფილოლოგიურ ნაშრომებში ანთროპონიმ ჭამირანის ეტიმოლოგიის შესახებ არსებული საინტერესო თვალსაზრისების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამირანი „მზის შვილია“, ხოლო დედამიწა ანუ ამერი „მზის საუფლო“. ადამიანებით დასახლებული სამზეო კი ამირანის სამკვიდრო — საამირანო, ამირანეთი უნდა იყოს. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ თუ ლექსემა **Αμαραντος** ამოსავალია ამირანისათვის, მაშინ ეს სიტყვა ქართულიდან ბერძნულში შესული ლექსიკური ერთეული უნდა იყოს.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

### **ზოგიერთი დარგობრივი ტერმინის ქართველურ შესატყვისთა ძიებისათვის**

1. გ. მაჭავარიანმა შეაპირისპირა მეგრ. ფ უ რ ა ფ ა „გაცხელება; გამოწრთობა“ და სვან. ლ ი ფ რ ე „გახმობა“ (მაჭავარიანი, 1965). ეს შესატყვისობა დაფიქსირდა ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველადე, 1990; 2000).

ვფიქრობთ, რომ სვანურის შესაპირისპირებელი ზმნური ფუძე პოლისემიურია: ა ფ რ ე „ახმობს; ჭედავს; კერავს...“, ლ ე ფ რ ე 1. გასახმობი, გასაწრთობი 2. გამოსაწრთობი, ნ ა ფ გ რ უ „გამხმარი; ნაწრთობი“, შდრ.: ბერეუ ლახ ნაფგრუ მამა ლი, გაჩ ხოლა შდგქიშ ლი (ბზ.) „თუ რკინა ნაწრთობი არ არის, დანა ცუდად ჭრის (ცუდი კბილისა)“ [სვან. ლ. 2000]. ამ ზმნური ფუძის სემანტიკური ცვლილება ასე გვესახება: გაცხელება (II გახმობა) > გამოწრთობა.

ალბათ შესატყვისობათა ამ რიგში უნდა განიხილებოდეს ასევე ძველი ქართულის ფ ა რ ი ლ ი, შ ე ფ ა რ ი ლ ე ბ ა:

„ნეტარ არს, რომელი იგლოვდეს სულისა თვისისათჳს მცირედსა ამას ჟამსა, რადთა არა შე ა ფ ა რ ი ლ ო ს იგი ცოდვითა და ბრალითა“ მ. სწ. 59, 24 (აბულაძე, 1973).

ზ. სარჯველადე „ასკეტიკონი და წმიდათა ცხოვრების“ (XIII ს.) მიხედვით დამოწმებულ ფ ა რ ი ლ ო ბ ა ე ფორმას განმარტავს როგორც „ამოგანგვლას“ — „აწყა დაეწყო ფ ა რ ი ლ ო ბ ა დ“ (სარჯველადე, 1995). საბასთან ფ ა რ ი ლ ი განმარტებულია როგორც „ბაზმის მური“ (+ შავი წი ), შ ე ი ფ ა რ ი ლ ა „შეიმურა“ და ა. შ.

მაშასადამე:

ქართ. **ფარ-**, ფ ა რ ი ლ ი, შ ე ფ ა რ ი ლ ე ბ ა, ფ ა რ ი ლ ო ბ ა „შემურვა“

მეგრ. **ფურ-**, ფ უ რ ა ფ ა „გაცხელება, გამოწრთობა“

სვან. **ფგრ-** ა ფ რ ე „აწრთობს; ჭედავს; ახმობს...“

ამ დაკავშირებისათვის გარკვეულ სირთულეს ქმნის ხმოვნის საკითხი სვანურში.

2. ზ ი დ ვ ა „ტვირთვა, გაზიდვა, გაწევა“ (აბულაძე, 1970); ეს მნიშვნელობები შენარჩუნებულია ზმნისწინიან ფორმებშიც (განზიდვა, დაზიდვა, მიზიდვა, მოზიდვა, წარზიდვა, წარმოზიდვა), სახელზმნებშიც: „დაუტევენს... საბელნი იგი გან ზ ი დ უ ლ ნ ი...“ (აბულაძე, 1970); ასევე შენარჩუნებულია ეს მნიშვნელობები ახალ ქართულში და მეორდება მეგრულის შესატყვის (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველადე 1990; 2000) ზ ი ნ დ უ ა ზმნურ ფუძეშიც: ზ ი დ ვ ა, „გაწევა, ჭიმვა, თრევა (ო. ქაჯაია, II, 2002). სვანურში სათანადო ზმნური ფუძე არ დასტურდება. ზ ი დ ვ ა ზმნური ლექსემის დარგობრივი ლექსიკისათვის მიკუთვნების თვალსაზრისით ყურადღებას

იქცევს ს. მაკალათიას მიერ დამოწმებული თხზული სახელი ზინ-დოლ-ვარჩხილი რელიგ. „ვერცხლის ძაფი“: ჯვარიდან გამო-თხოვილ ქალებს საჭინჯხატოდ... მოჰყავდათ ჯგეგეში ციკანი და სა-წირში მიჰქონდათ ზინდოლ-ვარჩხილი... (ო. ქაჯაია, II, 2002). სხვაგვარი შეპირისპირებისთვის იხ. მ. ჩუხუა 2000-2003, 102.

## თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### ზოგი ზმნისართის უმართებულო გამოყენებისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზისაა აღნიშნული, რომ პირველადი ზმნისართები შედარებით მცირერიცხოვანია და ენა ამ ხარვეზს სახელისა თუ სახელზმნის ირიბი ბრუნვის ფორმებით ავსებს. ასეთ შემთხვევაში ბრუნვის ნიშნები სიტყვათმწარმოებელი აფიქსებია. ამგვარი ფუნქციით გამოიყენება სახელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმაც, რომელიც ძირითადად გამოხატავს, თუ როგორ, რა ვითარებაში სრულდება (ხდება) მოქმედება (მოვლენა).

ამგვარადაა მიღებული, მაგალითად, **ძვირად** ზმნისართი **ძვირი** ზედსართავი სახელისაგან ან **ცუდად** ზმნისართი **ცუდი** ზედსართავი სახელისაგან.

ზოგი მეორეული ვითარებითი ზმნისართის ბრუნვისნიშნისეუ-ლი თანხმოვანი გაცვეთილია. მაგალითად,

**დაბლად > დაბლა**  
**ჩქარად > ჩქარა**  
**ნელად > ნელა**

ამავე ტენდენციით თანამედროვე ქართულის ზეპირ მეტყველე-ბაში ბოლო დროს გაჩნდა **მაგრა** ფორმა: **მაგრა მომეწონა, მაგრა დაარტყა** და ა. შ. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბრუნვისნიშნისეული თან-ხმოვნის დაკარგვის ტენდენცია ამჟამად შესუსტებულია, თუმცა პა-რაღელურად ამოქმედდა ახალი, უფრო ინტენსიური პროცესი ვითა-რებით ბრუნვაში მდგარი მეორეული ზმნისართის სანაცვლოდ სახე-

ლობითიანი ფორმის გამოყენებისა. მაგალითად, ძალიან ხშირად გვხვდება **უეჭველი** და **მაგარი** და სხვა. ზედსართავი სახელები ზმნი-სართული ფუნქციით, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ხსენებულ ფორმებს უჭირთ (თუ საერთოდ შეუძლებელი არაა) ზმნასთან დაკავ-შირება და წარმოდგენენ ჩვეულებრივ მსაზღვრელებს.

მდრ.

**უეჭველი საქმე // უეჭველი მოვიდა; უეჭველი ჩავაბარებ...  
მაგარი პური // მაგარი მომეწონა**

გფიქრობთ, ამგვარი ფორმები შინაარსს აბუნდოვანებს:

**პური მაგარი მომეწონა** (ორაზროვნაია — **მაგარი** პურს გან-საზღვრავს, თუ ზმნისართია და გამოხატავს, რომ მაგრად (ძლიერ) მომეწონა პური);

**საქმე უეჭველი გამოვა** (ბუნდოვანია **საქმეა უეჭველი** თუ უეჭველად გამოვა საქმე).

ამგვარი ბუნდოვანება შეიძლება აგვეცილებინა, თუ გამო-ვიყენებდით მეორეულ ზმნისართებს:

პური **მაგრად** მომეწონა;

საქმე **უეჭველად** გამოვა.

აქვე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართულის ზეპირ მეტყველებაში სიტყვა **მაგარის** გახშირებული გამოყენება კონტექსტი-დან და საზღვრული წევრის სემანტიკიდან გამომდინარე ზოგჯერ უმართებულოა. **მაგარი** ზედსართავი სახელის ინტენსიურმა და არა-მიზნობრივმა ხმარებამ შესაბამისად გააზიარა მისი გამოყენება ზმნი-სართული მნიშვნელობითაც, ბევრჯერ, როგორც მოსალოდნელი იყო, უმართებულოდ. მაგალითად, სემანტიკურად შეუთავსებელი და მიუღებელი სიტყვათშეხამებებია: **მაგრად მომეწონა, მაგრად გაალა-მაზა** და ა. შ. **მაგარი** სიმყარესთან, ღონესა და სიმტკიცესთან დაკავ-შირებით გამოიყენება (ხელი **მაგრად** ჩამოვართვი; კარი მაგრად არის დაკეტილი; ორივე მხარე **მაგრად** იდგა). ჯობს ამგვარ კონტექსტში გამოვიყენოთ **ძლიერ, ძალზე, ძალიან: ძლიერ / ძალიან მომეწონა; ძალიან გაალამაზა** და ა. შ., რადგან **ძლიერ, ძალიან, ძალზე** აღმა-ტებულობის ასოციაციას ქმნის და მიანიშნებს მოქმედების მეტად, ფრიად მაღალ ხარისხში შესრულებაზე.

რაც შეეხება, ზემოხსენებულ **მაგრა** ფორმას, აღსანიშნავია, რომ მისი აღრევა (ზმნისართია თუ მსაზღვრელი) არ ხდება. თუმცა,

გფიქრობთ, ამ ფუძესთან ბრუნვის ნიშნის ცვეთის პროცესი არაა დასრულებული, რადგან პარალელურად, და უფრო ინტენსიურადაც, გამოიყენება მისი ბრუნვისნიშნისწინარჩუნებული ვარიანტი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ **მაგრა** ფორმის დაშვება, თუნდაც, როგორც პარალელური ვარიანტისა, ამ ეტაპზე ნაადრეგია, **ხოლო სახელობით ბრუნვაში მდგარი სახელების (მაგარი, უეჭველი და სხვ.) ზმნის-სართული მნიშვნელობით გამოყენება — უგულვებელსაყოფი, რადგან სიტყვის ზმნისსართული მნიშვნელობა იჩრდილება (თუ საერთოდ არ იკარგება). ამგვარ ფორმათა წინადადებაში არსებობა ქმნის ორაზროვნებისა თუ ბუნდოვანების საფუძველს.**

## როსტომ ფარეულიძე

### ზმნურ ფუძეთა შედარებითი ანალიზი ნახურში.

#### II. წოვა-თუშური დაცა „თიბვა“ : ჩეჩნური ცანა „სათიბი“<sup>1</sup>

წოვა-თუშურში ქართულ "თიბვა"-ს შეესატყვისება **დაცა<sup>5</sup>. და-**

**ცა<sup>5</sup>** გარდამავალი ზმნაა. მაგალითები წოვა-თუშურიდან:

გლენევ სავსავანრ დაჟარ ღიღნევ დაცორ

"გლენი ხასხასა ბალახს (საძოვარს) ღიღინით თიბავდა" (ქადაგიძე, 1984).

კაძიგ ბალახ დეწეს დაცან

ცოტა ბალახი უნდა მოვთიბო" (მიქელაძე, 1978, 72).

იმავე ენაში მიმღეობა **დაცუინი** "სათიბი", "მთიბავი" **დაცა<sup>5</sup>** ზმნის ფუძისაგან არის ნაწარმოები. "სათიბის", "მთიბავის" გარჩევა წოვა-თუშურში კონტექსტის მიხედვით არის შესაძლებელი.

წოვა-თუშურის **დაცა<sup>5</sup>** ზმნას, **დაცუინი** მიმღეობას უნდა უკავშირდებოდეს ჩეჩნური **ცანა**, ინგუშური **ცონ**. "ცანა", "ცონ" ჩეჩნურ-ინგუშურში არსებითი სახელია და ნიშნავს "სათიბს", "გასათიბ ად-

გილს". ასეთი ადგილი, ჩვეულებრივ, დაცულია, აქვს ღობე ან ჰყავს ყარაული.

ზმნური ფორმა **დაცა<sup>5</sup>**, რომელიც წოვა-თუშურშია წარმოდგენილი, ჩეჩნურ-ინგუშურში არ იქმნება, როგორც ჩანს, დაკარგულია. "თიბვა" ორივე ამ ენაში აღწერილად იწარმოება. შდრ.:

მანგალ ჰაჯა<sup>5</sup> (ჩეჩნური), მანგალ ჰაჯა (ინგუშური)

ამ სინტაგმებში **მანგალ** "ცელს" ნიშნავს, **ჰაჯა<sup>5</sup>, ჰაჯა** (ნაზალობის მოშლით ინგუშურში) - "მოსმას". მაშასადამე, სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება: ცელის მოსმა (= თიბვა). შდრ., აგრეთვე: **მარს ჰაჯა<sup>5</sup>** "მკა", სადაც **მარს** არის "ნამგალი", ე. ი. "ნამგლის მოსმა", "მკა".

**ცანა (ცონ)** "სათიბი" იგივე ფორმა ჩანს, რაც წოვა-თუშური **დაცუინი**, ე. ი. ცანა წარმოშობით მიმღეობაა: ჩეჩნურ-ინგუშურში ამოსავალი ზმნური ფორმა დაიკარგა, მისგან ნაწარმოები მიმღეობა შემოგვრჩა. **ცანა (ცონ)** ამოსავალი ზმნური ფორმის უქონლობის გამო არსებით სახელად იქცა, გასუბსტანტივდა. გარდა ამისა, ჩეჩნურ-ინგუშურში დაკარგულია პრეფიქსული გრამატიკული კლასის ნიშანი დ- მომდევნო ხმოვნითურთ: ცანა < და-ცანა.

"მთიბავი" ჩეჩნურში არის **მანგალხურ**, რომელიც ასე დაიშლება: **მანგალ** "ცელი" + **ხურ** (ხელობის მაწარმოებელი სუფიქსი). შდრ., აგრეთვე: **აზდარ** "წერა" + **ხურ** "მწერალი"; **ჰაიხარ** "სწავლება" + **ხურ** "მასწავლებელი" და მისთ.

ზემოთ **დაცუინი** მიმღეობის შესახებ ითქვა, რომ იგი გამოხატავს როგორც "სათიბს", ისე "მთიბავს". ასეთი ფორმები ქართულში გვარის მიხედვით არის გარჩეული. ჩეჩნურ-ინგუშურში ისეთივე ვითარება გვაქვს, რაც წოვა-თუშურში:

მანგალ ჰაჟოჯუ (სთავ) "მთიბავი" (კაცი, ადამიანი)

მანგალ ჰაჟოჯუ (ცანა) "სათიბი" (ადგილი, ფართობი)

ან: ოხუ (ჯა) "სახნავი" (ეზო, ნაკვეთი)

ოხუ (სთავ) "მხვნილი" (კაცი, ადამიანი)...

ქართულში "თიბვა" ფუძესთან არის დაკავშირებული "თივა" (შდრ., მეგრული "თიბი"). ნახურ ენებში სხვა ვითარება გვაქვს. "თი-

<sup>1</sup> პირველი წერილი დაიბეჭდა კრებულში „საენათმეცნიერო ძიებანი“. ტ. XIV, თბ., 2003.

ვის" აღმნიშვნელი ლექსემა სამივე ენაში სხვა ფუძეა, კერძოდ: **აჟოლ** (ჩეჩნურ-ინგუშური), **აოლ** (წოვა-თუშური). როგორც ჩანს, იგი საერთონახური ფუძეა, ნახური ფუძე-ენის კუთვნილება. საფიქრებელია, რომ ძველი ნასესხობაც იყოს ნახურ ფუძე-ენაში.

ამ ფუძეს ერთი თავისებურება ახასიათებს: ბრუნებისას იკარგება თავკიდური **ა** ბგერა, ხოლო **ჟო** დიფთონგი (ან **ო** მონოფთონგი წოვა-თუშურში) გადადის **ა**-ში. შდრ., ჩეჩნური:

- სახ. აჟოლ
- ნათ. ელან<sup>5</sup> (< ალინ)
- მიც. ალანა
- ერგ. ალჟო...

ჩეჩნური: ალან ათთა წეჟ ლეჟთა  
წოვა-თუშური: ალან ატამიწ წე ლეთე  
"თივას ადვილად ცეცხლი ეკიდება (ხოლმე)"

მაშასადამე, ჩეჩნურ-ინგუშური არსებითი სახელი **ცანა, ცონ** "სათიბი" უკავშირდება წოვათუშურ **დაცან<sup>5</sup>, დაცუინ<sup>5</sup>** ფორმებს და წარმოადგენს გასუბსტანტივებულ მიმღობას. საკვლევია **აჟოლ II აოლ** "თივა" ლექსემის წარმომავლობა.

#### ლიტერატურა

**ქადაგიძე დ., ქადაგიძე ნ.**, წოვა-თუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984.

**მიქელაძე მ.**, ინტერფერენტული პროცესები ბაცბურ ენაში (სად. ნაშრომი ფილოლ. მეცნ. კანდ. სამ. ხარისხის მოსაპოვებლად. მანქანაზე ნაბეჭდი). თბ., 1978.

## ნ ა თ ი ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე

### ა-ღ-ტჰ, ა-ღ-ჟ-ტჰ და ო-ღ-(თჰ)-ჟ-ან სტრუქტურის ზოგი ზმნა მეგრულში

ბოლო პერიოდში სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „მაკანკალებს“ ტიპის ზმნები III დიათეზის II ტიპში ერთიანდება; კერძოდ, ზმნათა ეს ჯგუფი მიღებულია I სრული დიათეზისგან პირის კლებით, "სადაც მოთხრობითი დასმული სახელი მოქმედების აგენსია, მაკაუზირებელი პირია - აქტიური სუბიექტია, ხოლო მოქმედებას განიცდის პირდაპირი ობიექტი. ამიტომ ცნობიერებაში მოთხრობითი დასმული პირი იკარგება და რჩება მიცემითი დასმული პირი, რომელსაც რეალურად მოსდის რაიმე მოქმედება" (დ. მელიქიშვილი, 2001, გვ. 239); მაგ.:

მაკანკალებს ის მე მაკანკალებს მე

მსგავსი ზმნები უნებლიე მოქმედებას გამოხატავენ, რადგანაც "მიცემითი დასმული პირი (აქტანტი) პასიური ნების მქონე რეალური სუბიექტია"; ამიტომაცაა, რომ "პირის დაკლების შემდეგ დარჩენილი მიცემითი დასმული პირი (ყოფილი მორფოლოგიური ობიექტი), წესისამებრ **მ**-ს რიგის პრეფიქსითაა გამოხატული" (დ. მელიქიშვილი, იქვე).

როგორია ამ ზმნათა სტრუქტურა მეგრულში?

მეგრულში, ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში ამ ტიპის ზმნათა დატივში დასმული სახელი მანის რიგის პრეფიქსითაა გამოხატული და სუბიექტის ფუნქციას ასრულებს: **მ-აკანკალებს** „მაკანკალებს“, **გ-ოჩიონაფუანს** „გამოქნარებს“...

სალიტერატურო ქართულის მსგავსად, მეგრულშიც III დიათეზის II ტიპის ზმნათა რაოდენობა შეზღუდულია; მათ წარმოვადგენთ სამი ძირითადი ჯგუფის სახით:

1. **ა-R-Th-** ყალიბის ფორმები (მეგრულ ფორმებს სალიტერატურო ენისგან განსხვავებს მხოლოდ სახეცვლილი თემატური ნიშანი):

მაეჭვ-ებ-ს - **მაეჭვ-ენ-ს**: მაგ., თი კოს მუ აეჭვენს? „იმ კაცს რა აეჭვენს?“

2. ა-R-უ-Th- ყალიბის ის ფორმები, რომელთაც უდასტურდებთ აღწერითი ვარიანტებიც: (მაძაგდაგებს [სიცივისგან]) მ-ა-ჯგარჯგალ-უ-აფ-უ(ნ); შდრ., აღწერითი წარმოება: **ჯგარჯგალქ გე-მ-იოლუ**. „კანკალი დამეწყო“, სიტყვისაიტყვიტ „კანკალმა ამივარდა“.
3. ო-R-(Th)-უ-ან ყალიბის ფორმები: (რა) „მ-ა-ცინ-ებ-ს“ . შდრ., (მუ) მ-ო-ძიცინ-უ-ან-ს (// მოძიცუ); მაგ., მუ ოძიცინ-უ-ანს თი კოს? / „რა აცინებს იმ კაცს?“/; სხვა მაგალითი: „**ო-კრასკა-(ა)ფ-უ-ან-ს**“ /აღებვინებს („თვა-ლებს აღებვინებს“); შდრ., **მუ ოკრასკაფუანს თე ძღაბის?** („ნეტავ რა აღებვინებს (ახატვინებს ამ გოგოს თვა-ლებს?“).

ა-R-Th- სტრუქტურის ზმნებისგან განსხვავებით, ო-R-(Th)-უ-ან ყალიბის ზმნებს მეგრულში **-ებ** თემის ნიშნის ფარდ **-აფ-**ს ემატება **-უ-ან** სუფიქსი, რომელიც ო-პრეფიქსთან ერთად კაუზატივის გაგებას სძენს ზმნას. განსხვავება სალიტერატურო ქართულსა და მეგრულს შორის აშკარად მეორეულია, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ქართული -ებ თემის ნიშანიც ა- ხმოვან პრეფიქსთან ერთად ისტორიულად სწორედ კაუზატივის მაწარმოებელია.

უნდა აღინიშნოს, **მაკანკალებს** ტიპის ზმნები მწკრივნაკლია და ინვერსიული შინაარსით მხოლოდ I და II სერის მწკრივები ეწარმოება (ასევეა სალიტერატურო ქართულშიც).

შეიძლება დავასკვნათ:

"მაკანკალებს" ტიპის ზმნების სტრუქტურა თვისობრივად ერთგვარია სამწიგნობრო ქართულ ენასა და მეგრულში, თუმცა აუცილებელია დასავლური დიალექტების მონაცემების გათვალისწინება, რასაც ვფიქრობთ მომავალში.

## ზ ე ზ ვ ა ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე

### სათემო გვარიდან — გვარსახელამდე

2005 წელს არნ. ჩიქობავას საკითხავებში დაბეჭდილ სტატიამი წარმოვადგინეთ ჩვენი მოსაზრება ფშავში გვარსახელების ჩამოყალიბების თავისებურებათა შესახებ.

მოკლედ ამ თვალსაზრისის შესახებ: ფშავში ოდითგანვე არსებობდა თერთმეტი სათემო გვარი, რომლებიც იყოფოდა მამიშვილობებად. ამ მამიშვილობათაგან უძველესია **მკვიდრის** და აგრეთვე **მოსულის — შემოხიზნულის** ის მამიშვილობა, რომელიც პირველად ჩნდება სათემო გვარში. მას პირობითად **თავდაპირველი მამიშვილობა** ვუწოდებთ. ეს მამიშვილობები მუდმივად იყოფოდნენ ახალ მამიშვილობებად. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე მეტ-ნაკლებად აღდგება **გვარსახელის** წინა ორი მამიშვილობად დაყოფა. მათ პირობითად **პირველ მამიშვილობად დაყოფა** და **მეორე მამიშვილობად დაყოფა** ვუწოდებთ.

რაც შეეხება **გვარსახელს**, იგი შეიძლება მომდინარეობდეს **სათემო გვარიდანაც, თავდაპირველი მამიშვილობის სახელიდანაც და პირველ და მეორე მამიშვილობად დაყოფის** სახელიდანაც.

ამრიგად, ჩვენ, ამ პროცესის ნათლად წარმოსადგენად, პირობითად, გამოვყავით ხუთი საფეხური: I- სათემო გვარი, II- თავდაპირველი მამიშვილობა, III- პირველი მამიშვილობად დაყოფა, IV- მეორე მამიშვილობად დაყოფა, V- გვარსახელი.

სტატიას ნიმუშის სახით დართული ჰქონდა სქემა, რომელიც გოგოლაურთა სათემო გვარიდან გვარსახელთა თანდათანობით ჩამოყალიბების სურათს გვიჩვენებდა. შემდგომი მუშაობისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალების შეჯერების საფუძველზე წარმოვადგინეთ დანარჩენი ფშაური სათემო გვარებიდან გვარსახელთა ჩამოყალიბების სქემატურ სურათს.

**შესამოსელის აღმნიშვნელი ზოგი ტერმინის ისტორიისათვის ქართულში**

**1) ანაფორა**

ბერძნულ საეკლესიო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ტერმინი **ანაფორა** (Ἀναφορά, Ἀγία Ἀναφορά „წმინდა შესაწირავი“) ეწოდება ლიტურგიის ნაწილს, რომელიც იწყება სიტყვებით: „ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით, მოხედვით წმიდასა ამას **შესაწირავსა**, მშვიდობით შეწირვადსა“ — Στᾶμεν καλῶς. στᾶμεν μετὰ φόβου· προσχᾶμεν· τὴν ἁγίαν Ἀναφορά ἔν ἐιρήνῃ προσφέρειν.

**ანაფორა**, ანუ **შესაწირავი**, ევქარისტიული კანონია, რომელიც ლიტურგიის ძირითად ნაწილს წარმოადგენს და „მრწამისი“ გალობის შემდეგ იწყება. ანაფორას ცენტრალური ნაწილია ძღვენის ამალეობა ტრაპეზიდან.

ქართულში ტერმინმა **ანაფორამ** ბერძნულისაგან განსხვავებული მნიშვნელობები შეიძინა: ანაფორა აღნიშნავს შესამოსელს, კერძოდ, მღვდლის ყოველდღიურ სამოსს, რასაც ბერძნულად დღეს Πάσι-ს უწოდებენ (შდრ. რუს. ).

როგორც ჩანს, კორნელი კეკელიძის ვარაუდს ეყრდნობიან ახლახან გამოსული მართლმადიდებლური ენციკლოპედიის შემდგენლები. ენციკლოპედიაში **ანაფორა** სამოსის მნიშვნელობით ასეა განმარტებული: „სამღვდლო ფართო სამოსელი, სინანულისა და მორჩილების გამომხატველი. სამოსლის სახელწოდება მიუთითებს, რომ მისი მატარებელი ასრულებს უსისხლო მსხვერპლის აღვლენას“.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ანაფორა: „ზედა მიმართად ითქმის (ესე იგი ზედა მიმართ). ნიკო ჩუბინაშვილი კი ვრცლად განმარტავს ტერმინს: „ანაფორა — სამღვდლოთა ზეიდამ საცმელი სახლებგანიერი პალეკარტი , Ἀπαισφῶρι, Ἀπαισφῶρημα, ხოლო Ἀναφορά ნიშნავს მოხსენებასა, თხოვასა, ,

მაშასადამე, ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით, ქართულში სამოსის მნიშვნელობით დამკვიდრებული სიტყვა ანაფორა მომდინარეობს არა სიტყვისაგან Ἀναφορά, არამედ — Ἀπαισφῶρι,

Ἀπαισφῶρημα. წინდებულები ἀπάσῃ ἢ ἐπάσῃ ენაცვლება ერთმანეთს ბერძნულში. დღეს ამ სიტყვას უფრო ასე ხმარობენ: ἐπαισφῶρι ან παισφῶρι, რაც „ზედა სამოსს“, „მოსასხამს“, „პალტოს“ ნიშნავს.

ანაფორა მოსასხამია, ზემოდან მოსაცმელი. არსებობს თხელი და დათბილული, შალის ნაჭრისაგან შეკერილი, იგივე პალტო. ჩვენნი აზრით, ნიკო ჩუბინაშვილის თვალსაზრისი სრულიად დამაჯერებელია მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ წყაროს, რომელსაც ეყრდნობა იგი.

**2) ბედენიკი**

ტერმინი ბედენიკი ისე, როგორც ამ სიტყვით აღნიშნული ნივთი რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენით ჩნდება ქართულში. სხვა მართლმადიდებლურ ეკლესიებში მსგავსი შესამოსელი არ არსებობს. ენქერის მსგავსად ბედენიკიც რომბის ფორმის ოთხკუთხა ქსოვილია, ჯვრის გამოსახულებით და სიმბოლურად ისიც სულიერი მახვილის აღმნიშვნელია. იკიდება სარტყელზე. რუსი სასულიერო პირები ბედენიკსა და ენქერს ხშირად ერთად ატარებენ.

რუსული ტერმინის -ის აღსანიშნავად ორი ტერმინი იხმარება ქართულში: **საგვერდე** და რუსული ტერმინის გამარტივებული ფორმა **ბედენიკი**.

**მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი**

**სიტყვა „ლექსიკონ ქართულსა“ და „სიბრძნე სიცრუისაში“**

„ლექსიკონ ქართულში“, **სიტყვის** სალექსიკონო ბუდეში, სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: **1. სიტყვის რაობას**, **2. სიტყვის გამოთქმის რაგვარობას** და **3. სიტყვიერი გადმოცემის სტილს**, რაც „სიბრძნე სიცრუისაში“ მხატვრულად წარმოჩნდება:

**1. სიტყვის** რაობის განმარტებისას სულხან-საბა თავის ლექსი-

კონში ბრძანებს: „**სიტყვა** ეწოდების ერთსა სიტყვასა (სიტყვათა) თქმულთა სიბრძნითა თვისითა“. იგი გულისხმობს საკუთრივ **სიტყვის** დაბადებას, ქმნადობას, რომლის პირველმიზეზად დასახელებულია **სიბრძნე**.

**სიტყვის** რაობის ამგვარი კვალიფიკაციით წარმოაჩენილია **სიტყვის** თავდაპირველი ბუნებითი თვისება, რომელიც არის **სიბრძნე**, ვითარცა **სიტყვის** ღვთაებრივი ბეჭედი. **სიტყუის** სალექსიკონო ბუდის დასაწყისშივე ქართველი ლექსიკოგრაფი სწორედ ამის დასტურად იმოწმებს პირველი თავის პირველ მუხლს წმიდა იოანეს სახარებლიდან: „პირველითგან იყო სიტყუად, და სიტყუად იგი იყო ღმრთისა თანა, ღმერთი იყო სიტყუად იგი“ (იოანე 1, 1). ფრიად საგულისხმოდ არის ნაჩვენები, რომ ამგვარი დამოწმებით სულხან-საბას მიერ საგანგებოდ მოინიშნება სიტყვის „ზეადმატებული“, ლოგოსური შინაარსი (რევაზ სირაძე).

ამავე სალექსიკონო ბუდეში **ერთ სიტყვას** სულხან-საბა **მრავალ სიტყვასთან** აპირისპირებს: „ხოლო მრავალთა სიტყვათა [ეწოდების] **ლაპარაკი**“. **მრავალი სიტყვით** იგულისხმება სიტყვათა **მოქმედება**, ანუ შესიტყვება, სიტყვა-მიგება. **ლაპარაკის** გარდა, განმარტებულია სიტყვა-მიგების გამომხატველი ათეულზე მეტი ლექსიკური ერთეული: **საუბარი, ალერსი, პასუხი, ჩურჩული, ცუნდრუკი, ჩურჩნა, ბაქი, ტიტინი, ტარტარი, ტარატურა, თქმა (ეტყოდა, ჰქვა), ასწავა**.

**ასწავა** ამათგან ერთადერთია, რომლის განმარტებაში, რაობასთან ერთად, საგანგებოდ მოინიშნება **სიტყვის** დანიშნულება: „**ასწავა** — რა სიტყვითა კეთილთა გზათა აჩვენებდეს“. სულხან-საბასთვის **სწავლის** (სწავლების) უმთავრესი მიზანი კეთილთან ზიარებაა, **კეთილი გზის სიტყვით ჩვენება**, რომლის დროსაც **სიტყვა** საშუალებება, კეთილისაკენ წამყვანებელია, **კეთილთა გზათა** გამკვალავია.

„ლექსიკონ ქართულში“ **სიტყვის** დანიშნულებაზე ასევე გამახვილებულია ყურადღება შემდეგ ლექსიკურ ერთეულთა განმარტებით — **სწავლა, წურთა, წვრთა, მცნება** და **იგავი**. ამ სალექსიკონო განმარტებითი კორპუსით სულხან-საბა გვმოძღვრავს: **სწავლება** მაშინ არის ნაყოფიერი და სათნო, როცა კეთილ გზაზე გვითითებენ, კეთილს გვასწავლიან და **კეთილსა ზედა** გვამკვიდრებენ. რამდენადაც ქართველი ლექსიკოგრაფისთვის საკუთრივ სიტყვის ბუნებითი

თვისება სიბრძნეა („თქმულია სიბრძნითა თვისითა“), **კეთილში, კეთილსა ზედა დამკვიდრებაში** იგი **სიბრძნესთან ზიარებას** უნდა გულისხმობდეს.

მეორე მხრივ, თავისი უბადლო იგავური გამოცანა-სათაურით — „სიბრძნე სიცრუისა“ — სულხან-საბა მკითხველს აიძულებს, ჩაუკვირდეს **სიბრძნითა თვისითა** გამოთქმულ სიტყვას, რომელიც მან სიცრუით, ანუ მხატვრულ-იგავური სამოსით წარმოაჩინა. **იგავური** სამოსით შემკული **სიტყვა** „სიბრძნე სიცრუისაში“ **საკუთრივ სიტყვის** (სალექსიკონო ერთეულის) ბუნებით თვისებას (სიბრძნეს) მხატვრულად გაცხადებს და გვარწმუნებს, რომ **მხატვრული სიტყვის თქმის სიბრძნეც კეთილთან ზიარებაა, რამეთუ თავად სიტყვის ბუნებითი თვისებაა სიბრძნე, რომელიც კეთილია თავისი არსით**.

**2.** ამ თეზას მეიგავე სულხან-საბა საგანგებოდ ავითარებს არაკით „ცრუ და უმეცარი“, რომელშიც მხატვრული ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულით **სამეფო სიტყვა** სიტყვის თქმის რავგარობას გაცხადებს: **სიტყვა** და **სიტყვის თქმა** იმიტომ არის **სამეფო**, რომ იგი ბრძნულად, კეთილად ითქმის.

„სიბრძნე სიცრუისაში“ **სიტყვის თქმის რავგარობის** შესანიშნავი მხატვრული თვალსაჩინოებაა ე.წ. სამეფო კარის ზნეობრივი კოდექსი — „გაზირთა წესი“ და „მეფისა თანა მყოფთა“ წესები, რომლებშიც სიტყვის ბრძნულად და კეთილად თქმის რავგარობა შემდეგი მახასიათებლებით აღიბეჭდება: **სიტყვის თქმის უამი, სიტყვის დროულად თქმა, სიტყვის მოსმენა-გაგონება, სიტყვის შენახვა, სიტყვის თქმის სარგებლიანობა, სიტყვის შემოწმება, სიტყვის ტკბილად თქმა, საამო სიტყვა**.

სიტყვის კეთილად თქმის რავგარობა „სიბრძნე სიცრუისაში“ ასევე წარმოჩნდება სამ ათეულზე მეტი ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულით, რომელთა მეოხებით სულხან-საბა მხატვრულად აღბეჭდავს **სიტყვის თქმის სიბრძნესა** და **სიტყვის ბრძნულად თქმის** ოსტატობას. თვალში საცემია ამ ლექსიკურ ერთეულთა განყოფილება სიკეთე-სიავისა და სიბრძნე-სივერავის ნიშნით: **კეთილსიტყვაობა** კეთილად თქმაა, სიბრძნის შემცველი სიტყვის თქმაა, **ავსიტყვაობა** კი მხოლოდ სიავესა და ბოროტებას ამკვიდრებს კაცთა შორის.

მსგავსად ამისა, „ლექსიკონ ქართულში“ სულხან-საბა ჩვეული სიზუსტითა და ლაკონიურობით წარმოაჩენს **მრავალი სიტყვის**

(რესპ. მეტყველების) ყოველი კონკრეტული სახეობის უარსებითეს მახასიათებელს, რომელიც ამ სახეობის განუმეორებლობას უსვამს ხაზს.

ლექსიკონში სულხან-საბა სიტყვის გამოთქმის რაგვარობას კიდევ ერთი მახასიათებლით წარმოაჩინეს და ერთმანეთისგან განასხვავებს **ხმოვან სიტყვას** და **შინაგან მდებარე სიტყვას**: „განიყოფების სიტყვიერებად სულისად შინაგან მდებარისა სიტყვისა და ჯმოვანისა მიმართ“.

წმიდა იოანე დამასკელის „გარდამოცემაზე“ დაყრდნობით, ქართველი ლექსოკოგრაფი საფუძვლიანად აანალიზებს ორივე სახეობის სიტყვისგებას.

**ხმოვანი** (იგივე **წარმოჩენილი**) **სიტყვისაგან** განსხვავებით, **შინაგან მდებარე სიტყვა** (იგივე **შიგანმდებარე სიტყვა, განგული-სიტყვა, შეგულისიტყვა**) — გაუნხმოვანებელია, წარმოუთქმელია. იგი სულხან-საბას მიერ განისაზღვრება ვითარცა „მოძრაობა სულისად“, რომელიც არის „განმსიტყველობითსა ძალსა შინა ქმნილი. **განმსიტყველობით ძალაში**, ცხადია, სულიწმიდის ძალისხმევა იგულისხმება, რომლის მეოხებითაც ფიქრსა თუ სიზმარში მდღუპარედ ვეზრახებით ხოლმე საკუთარ თავს.

**3.** თავის ლექსიკონში სულხან-საბა ორბელიანი საგანგებოდ წარმოადგენს **ხმოვანი სიტყვის** სამ „მზრახველობით“ სახეობას: „უაღრესთათვის“ განკუთვნილი **ზეშთა სიტყვა**, რომელიც დღევანდელი მწიგნობრული, აკადემიური (წერიტი თუ ზეპირი) მეტყველების შესატყვისია; **სწორი სიტყვა**, განკუთვნილი „მოყვასთათვის“, ანუ ყოველდღიური, შინაურული მეტყველება; და **დამხე სიტყვა**, განკუთვნილი „ველქვეშეთათვის“, ანუ მდაბიოთა საურთიერთო ენა, მდარე მეტყველების შესატყვისი.

სამივე სახეობით ქართველი ლექსიკოგრაფი **ხმოვანი სიტყვის გადმოცემის სტილის** ნაირგვარობას წარმოგვიდგენს. „სიბრძნე სიცრუისათვის“ მეიგავე სულხან-საბამ არჩევანი შეაჩერა **სწორი სიტყვის** სტილზე, რომელიც მაღალმხატვრული ოსტატობით არის შეზავებული **ზეშთა სიტყვის** სტილთან. ამას მოწმობს როგორც სიტყვა-მიგებისა და დიალოგების მხატვრულ-იგავური გამიზნულობა, ასევე ავტორისეული მხატვრულ-იგავური მინიშნებების პარალელური

გამოყენება, დამრიგებლურ-მქადაგებლური და ბიბლიურ-იგავური თხრობის წესის მონაცვლეობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — რიტორიკულ სტილთან შეზავებული ევანგელური სიცხადით აღბეჭდილი თხრობის წესი.

ყოველივე ამის თვალსაჩინოებად თხზულების ნებისმიერი ნაკვეთი ივარგებს, იქნება ეს არაკი, თავისი წინამავალი ან მომდევნო სიტყვით სეგმენტებით თუ პერსონაჟთა სიტყვა-მიგება და დიალოგები.

თამამად შეიძლება ითქვას: **სულხან-საბასთან სიტყვა ბატონობს!**

## თ ი ნ ა თ ი ნ ღ ვ ი ნ ა ძ ე

### ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა სწავლების შესახებ

1. თანამედროვე ქართული ტელე-რადიო გადაცემებისა და პრესის ენაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სალიტერატურო ენის ნორმები ძალზე ხშირად ირღვევა თითქმის ყველა თვალსაზრისით. ნორმათა დამკვიდრების, მოთხოვნისა და დაცვის სამსახური ბოლო წლებში საერთოდ მოიშალა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სალიტერატურო ენაში ნორმები აღარაა სავალდებულო.

2. ცოცხალ ენაში ნორმათაგან განსხვავებული ფორმების არსებობის სიხშირის გამო შეიმჩნევა რევიზიის ცდებიც. დავიწყებულია, რომ ენობრივი ნორმა შედარებით კონსერვატიულია, ნელა იცვლება. დადგენილ ნორმათა გათვალისწინება აუცილებელია სალიტერატურო ენაში. ამ ნორმებს სპეციალურად სწავლა და სწავლება ესაჭიროება. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ობიექტური მესამე პირის ჰ/-ს- პრეფიქსის მართლწერა.

3. მესამე ობიექტური პირის **ჰ/-ს-** პრეფიქსის მართლწერა თანამედროვე ქართულისათვის დასაბუთებულად ითვლება. ეს საკმაოდ რთული წესი დამაჯერებლად არის განმარტებული აკად. ვ. თოფურიას წიგნში (1965 წ., 1988 წ., 2002 წ.); 1970 წლიდან გამოქვეყნე-



ბულია ნორმად, რომელსაც კანონის ძალა აქვს. ეს ნორმა ჯერ კიდევ ვერ განმტკიცდა და სალიტერატურო ენის თითქმის ყველა სფეროში ხშირია დარღვევები. გამოითქვა მოსაზრება: დღევანდელ ქართულში ამ პრეფიქსს აღარ აქვს მკვეთრად გამოხატული მორფოლოგიური ფუნქცია, ამიტომაც ნორმა შეიძლება გადასახედი გახდეს; უნიშნობა არავითარ გაუგებრობას არ გამოიწვევს კომუნიკაციაში.

ისეთ ზმნებთან, რომლებიც ყოველთვის მხოლოდ **ჰ-** ან **ხ-** პრეფიქსით უნდა იწერებოდეს (გავს, ყავს, პირდება... თხოვს, წამს, წყურია...), უნიშნობა შეიძლება მართლაც არ გამოიწვევს გაუგებრობას, მაგრამ ბევრ ზმნასთან **ჰ-/ხ-** პრეფიქსს პრინციპული მნიშვნელობა აქვს არა მარტო მორფოლოგიურად, სემანტიკურადაც. აუცილებლად გასათვალისწინებელია **გლეჯს—ჰგლეჯს, დის-ხდის, შედგა—შე-ხდგა, კიდა—ჰკიდა, ჭირს—ხჭირს, ცხელა—ხცხელა** და სხვა ამგვარ ფორმათა შინაარსი. ასეთები საკმაოდ ბევრია ენაში და ამიტომაც შეტანილია „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1968 წ., 1998 წ.), „უურნალისტის სტილისტიკურ ცნობარში“ (2002 წ.). მრავლად შევიდა „ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“ (2008 წ.). მაგრამ მარტო ლექსიკონში შეტანა ამ საქმეს ვერ შევლის.

4. საჭიროა საშუალო სკოლის ქართული ენის კურსში ამგვარი ნორმატიული საკითხების უფრო გამოკვეთილად წარმოდგენა, სპეციალურად სწავლება. ქართული ლიტერატურისა და ენის ინტეგრირებული სწავლებისა და ალტერნატიული სახელმძღვანელოების არსებობის ვითარებაში ეს ვერ თუ არ ხერხდება. საერთოდ ზმნის ფორმათა მართლწერისა და მართლგამოყენების საკითხებს ნაკლები ყურადღება ექცევა სკოლაში. შედეგიც არ იგვიანებს.

## ლ ე ი ლ ა შ ა ლ ვ ა შ ვ ი ლ ი

### ყვარყვარე სახელის ლექსიკური ბუდე საგაზეთო მასალის მიხედვით

ადამიანის საკუთარ სახელს ემოციური ელფერი ახლავს; ზოგი საყოველთაო სიყვარულითაა მოსილი, ზოგი განძარცულია ამ სიკეთისგან. სათანადო შთაბეჭდილებები ყოველთვის მყარი არაა, — დროისა თუ სხვა ფაქტორების კვალობაზე სიყვარულის სხვიმოსილება შეიძლება სიძულვილით შეიცვალოს ან პირიქით.

„უყვარს“ ზმნის ფუძის გაორკეცებით მიღებული ისტორიული სახელი **ყვარყვარე**, რომელიც მრავალგზის მოიხსენიება „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე, შარავანდმოცლილ ზოგადლიტერატურულ მეტაფორულ სახედ იქცევა პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ გამოქვეყნებისთანავე (დაიწერა და სცენაზე დაიდგა 1928-1929 წლებში).

პოლიტიკურ ნიდაბმორგებული მედროვე არარაობა ყვარყვარე 80 წელია ფერუხუნებელ ტიპობრივ პერსონად გვევლინება ქართულ მწერლობაში. — იქმნება **ყვარყვარე** სახელის მრავალწევრიანი ენობრივი ბუდე.

საგაზეთო მასალის მიხედვით საყოველთაო ხმარების **ყვარყვარე** — **ყვარყვარეობა, ყვარყვარიზმი** სამეული თანდათან ივსება ახალი ერთეულებით. ამ მხრივ საყურადღებოა ანზორ აბულაშვილის „ყვარყვარე“-ლექსი, რომელმაც საძიებელი ოდენსახელური ბუდე ზმნური ფორმებითაც გაამდიდრა; მივიღეთ ოცზე მეტწევრიანი რიგი: 1. ყვარყვარე, ყვარყვარუვა, უყვარყვარესობა, ყვარყვარეობა, საყვარყვაროდ, აყვარყვარებული; ყვარყვარიზმი, არქი(ვ)ყვარყვარიზმი, ნოყვარყვარიზმი, ყვარყვარისტი; 2. გაყვარყვარა, გაყვარყვარეთ, გაგვიყვარყვარდა; წ/ამოყვარყვარდება — ამოყვარყვარდა, წამოყვარყვარებულან; იყვარყვარებს, იყვარყვარა, იყვარყვაროს, გეყვარყვარე.

ენის მდიდარ სიტყვაწარმოებითს შესაძლებლობებზე მეტყველი **ყვარყვარე**-ბუდე, ალბათ, კარგა ხანს „იცოცხლებს“, — დროის მკაცრ საცერში გატარებულსაც უხვად შერჩება ეს მეტაფორულობით ნიშანდებული წევრები, რაკი თავად ყვარყვარე უკვდავების შარავანდედიანი ცხოვრებისეული სახეა ქართული მხატვრული აზროვნებისა.

## ე თ ე რ უ ე ნ გ ე ლ ი ა

### ერთი საერთოქართველური ფუძისათვის

ზანურის ლაზურ დიალექტში დასტურდება ლექსემა — **ხიონ-ი//ქიონ-ი//ნიონ-ი** „თეთრსამოსიანი“, „თეთრიანი“.

ჩვენი ვარაუდით, მოცემული ლექსიკური ერთეული ნაწარმოები სიტყვაა — **\*ხიე-ონ-ი//ქიე-ონ-ი//ჩიე-ონ-ი//ქი-ონ-ი//ჩი-ონ-ი**, სადაც **\*ხიე-ი//ქიე-ი//ჩიე-** თეთრის აღმნიშვნელია, ხოლო **-\*ონ** მაწარმოებელი სუფიქსია, რომელიც აღნიშნავს რისამე ქონებას, ანდა სიჭარბეს, ქართული -იან, -იერ, -ოვან, -ოსან სუფიქსების ფარდი.

მოცემულ საანალიზო ერთეული შეიძლება ქართ. **მცოვან-ი//მხცოვან-ი** — „ჭადაროსანი - თეთრი თმის, წვერის მატარებელი“ — ფუძის ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისი იყოს, რომელიც, როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, ნაწარმოები სიტყვაა და ამგვარად დაიშლება — **მც-ოვან-ი//მ-ხც-ოვან-ი** ძირითადი თეთრს აღნიშნავს, **-ოვან** კი მაწარმოებელი სუფიქსია.

ქართ. **-ან** (-ოვან, -ოსან, -იან) შესატყვისია ლაზ. **-ონ-ისა**.

ამავე ფუძეს უკავშირდება მეგრ. რჩ-ინ-უ//რჩ-ინ-ჰ ← რჩ-ონ-ი „მოხუცი, ბებერი“.

საერთოქართველურ ფუძედ აღდგება **\*გჩც-**, ხოლო სუფიქსად — **-ან**, შდრ. ს.-ქართვ. **\*ვც-** ← **ვც-ან-**.

## რ ე ვ ა ზ უ ე რ ო ზ ი ა

### ქო- ნაწილაკ-ზმნისწინისათვის მეგრულ და ლაზურ დიალექტებში

1. ქართველურ სისტემაში მტკიცებითი ნაწილაკები (**ქო-ქო-ქო-ქო**) ძირითადად, ზმნის თანმხლები ელემენტებია. მათ ფორმალური და ფუნქციური მახასიათებლები სპეციალური ლიტერა-

ტურიდან ცნობილია. ამასთან, მეგრულსა და ლაზურ დიალექტებში (სისტემის ვარიანტებში) **ქო-** ნაწილაკის ზმნისწინის ფუნქციით გამოყენებასთან დაკავშირებით ზოგიერთი დეტალი დასაზუსტებელია.

2. აღნიშნულია: ა) **ქო-** პირველ ნაწილად მოუღის მარტივ და რთულ ზმნისწინებს; ბ) მას ზმნისწინის ადგილი უკავია მყოფადის ფორმებში მაშინ, როცა მოცემული ზმნა ზმნისწინს ვერ იგუებს; გ) ნაწილაკის **ო** ხმოვანი პოზიციურად შეიძლება ნებისმიერ ხმოვნად გარდაიქმნას.

ყურადღებას იქცევს **ქო-**ს გამოყენება აწმყოფ ფორმებში. ეს ეხება როგორც სტატიკურ, ისე დინამიკურ ზმნებს. როცა დინამიკურ, წესიერი უღვლილების ზმნასთან ის ზმნისწინის ადგილს იკავებს, ზმნა აწმყოფ დროის გაგებას იძენს:

ჭკირუნს (ჭრის) — **დო** -ჭკირუნს (**და-**ჭრის) — **ქო**-კირუნს (**კო** ჭრის)

3. შენიშნულია, რომ მეგრულსა და ლაზურს შორის სხვაობას ქმნის მეგრულში ჩამოყალიბებული „ორმაგად რთული“ ზმნისწინები. მათი პირველი კომპონენტი ყოველთვის **გ-** ელემენტია (პოზიციურად **ა,ე,ო** ხმოვნებთან ერთად). ზოგიერთ მას **ქ-**ცვლის **გემ**მა -სხაპუ / **ქემ**მა-სხაპუ (შიგნით შეხტა) . . .

ლაზურში **გ-**ს ნაცვლად **ქ** გვაქვს ყველა იმ შემთხვევაში, როცა მეგრულში „ორმაგად რთული“ ან **გ-** თანხმოვნით დაწყებული რთული ზმნისწინია წარმოდგენილი:

**გემ**მა-რთუ — **ქემ**მა-ხთუ (შევიდა)

გემში-ნფთირუქ ჯქომემა-ითირა-ნა (შევეთრევი)უ

გემე-ღანს — ქეშილამს (ამოიღებს) . . .

4. მასალის გათვალისწინებით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ **ქო-**ნაწილაკის ზმნისწინად ქცევის შუალედური პროცესი წარმოდგენილია ლაზურში. მეგრულში იგი დასრულებულია იმდენად, რომ „ორმაგად რთული“ ზმნისწინების შემთხვევაში **ქო-** ნაწილაკი აღსაღდგენია.

ლაზურის **ქო** დართული რთული ზმნისწინები იგივე ოდენობად შეიძლება ჩაითვალოს, რაც მეგრულში ორმაგად რთულ ზმნისწინებად არის მიჩნეული.

**კიდევ ერთხელ -ფხე > -ხე, -ფხე > -ფხ სუფიქსისათვის ქართველურ ონომასტიკონში**

საანალიზო სუფიქსს, რომელიც ქართველურ ანთროპონიმთა გენდერული დიფერენცირებისთვის გამოიყენება დასავლეთ საქართველოში, არაერთი მკვლევარი (ნ. მარი, პ. ჭარაია, ი. ყიფშიძე, პ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია, არნ. ჩიქობავა, ი. მეშჩანინოვი, თ. ჟორდანი, ქ. ლომთათიძე, შ. ძიძიგური, ი. მეგრელიძე, ალ. ლლონტი, ი. ზიცარი, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, გ. გასვიანი, რ. თოფჩიშვილი, პ. ცხადაია, ო. ჭურდულია, ნ. მგელაძე, ქ. მარგიანი, ც. ბენდელიანი) შეხებია. საკითხს იკვლევდნენ როგორც ენათმეცნიერები, ისე ეთნოლოგები. იყო მცდელობა ნაირ-ნაირ ეტიმოლოგიათა წარმოდგენისა და სხვადასხვა (მეგრული, აფხაზური, უბიხური, ადიღური, ბასკური, ურარტული...) ენის მონაცემებთან -**ფ<sup>ე</sup>ხე** სუფიქსის მატერიალური დაკავშირებისა.

პარხლის ტაძრის ერთ-ერთ წარწერაში (X ს.) დადასტურებული ფორმანტი (ე. თაყაიშვილი) დღეს მაინცდამაინც პროდუქტული აღარ არის — სვანურში ნაწილობრივ (ი. მეგრელიძე) კი არა, არამედ საერთოდ აღარ იხმარება ქალის მამისეული გვარის აღსანიშნავად, ხოლო მეგრულში, ძირითადად, ტოპონიმებშია შემორჩენილი. ჩვენ საგანგებოდ შევამოწმეთ კოდორის (რესპ. დალის) ხეობაში ჩაწერილი 800 გვერდის მოცულობის ტექსტები, სადაც არც ერთხელ არ შეგვხვდრია **-ფხე**ზე დაბოლოებული ლექსემა (არც სახელი, არც ზმნა ან არასრულმნიშვნელოვანი სიტყვა). ვერ გავიზიარებთ „ხელმწიფის“ ნ. მარისეულ სემანტიკასა და გააზრებას. **პელწიფჳე** მისთვის არის " , " ჯერ ერთი, სვანურის არცერთ დიალექტურ ამ ლექსემაში ფარინგალური თანხმოვანი აღარსად იხმარება, და მეორეც, ხელწიფხ<sup>ე</sup>/ხემწიფხ<sup>ე</sup>/ხენწიფხ<sup>ე</sup> (მოთხ. **ხელწიფხ<sup>ე</sup>**-**დ**; მიც. **ხელწიფხ<sup>ე</sup>**-**ს**...) მხოლოდ ბალსქვემოურში გვხვდება (ლახამულური კილოკავის გამოკლებით) და აქაც ხანის გაჩენას ფონეტიკური საფუძველი აქვს (ფშვინგიერ თანხმოვანთა მომდევნო პოზიციას — შდრ. ბზ. **საკაცხ**, ბქ. **საკა<sup>ე</sup>რ<sup>ე</sup>ცხ**, ლშხ. **საკაც<sup>ე</sup>ხ<sup>ე</sup>**, ლნტ.

**საკაც** „საკაცე“). რაც შეეხება აუსლაუტში -**ე** ხმოვნის გაუჩინარებას, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა სვანურში. გარდა ამისა, ყველა ბალსქვემოურ ზღაპარში „ხელმწიფე“ მამაკაცია, (შდრ. აგრეთვე ბქ. **სახელწიფხ**, სადაც, რაღა თქმა უნდა, გენდერული პრობლემა ვერ დადგება)...

მეტად საინტერესოა ც. ბენდელიანის დაკვირვება ქვემოიმერული დიალექტის მონაცემებზე, სადაც **-ხე** სუფიქსი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, არ ერთვის ლეჩხუმიდან, სვანეთიდან და ადიგენიდან გადმოსახლებულ ქალთა გვარებს.

მკვლევართა უმრავლესობა საანალიზო სუფიქსისთვის ამოსავლად მიიჩნევს ძველ ქართულ ლექსემას **მვევალი** („მონა, მსახური ქალი“); სულხან-საბა ორბელიანის აზრით, „მვევალი ყრმაა; ესე არს ქალი ნასყიდი, გინა ნაზითვი“. **მვე > მხე > ფხე > ხე** ჩვეულებრივი ფონეტიკური პროცესებია ქართველურ ენებში. ალბათ ამ სიტყვის სემანტიკაა განმსაზღვრელი შ. ძიძიგურის ერთი დაკვირვებისთვის: ქართული ენის დასავლურ დიალექტებში „სათანადო სუფიქსაცია ახასიათებს ისეთ გვარებს, რომელთა წარმომადგენლები გლახურ ფენას განეკუთვნებოდნენ; ახნაურთა თუ თავადთა გვარებს ეს სუფიქსი არ მოუღიოდა“. თუ აქედან ამოვალთ, მაშინ ქალის სვანურ სახელთან **დაჩქილწფხ**თან კითხვის ნიშნით წარმოდგენილი გააზრება აკაკი შანიძისა („დადიშქელიანთ გომბიო“?) თითქოს ერთი შეხედვით სრულიად დამაჯერებელია, ოღონდ „გომბიო“-ში სვანური **წფხჳე** (ბაყაყი“) კი არ უნდა დავინახოთ, არამედ **-ფხე** სუფიქსისგან მომდინარე **-ფხ** ელემენტი (შდრ. ლეჩხუმურ-აჭარული **გომბიო-გოგო** დამცირებით და არა გურული **გომბიე** — „ბაყაყი“), სადაც სწორედ აუსლაუტში დაკარგული **-ე** იწვევს წინამავალი **-ა-** ხმოვნის უმოლაუტს; ამასთანავე, **დაჩქილწფხ** ზღაპრული პერსონაჟის სახელი კი არ არის, როგორც ეს სპეციალურ ლიტერატურაშია (ზ. ჭუმბურიძე) აღნიშნული, არამედ სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული **დაჩქილწ-ილწ-ა-ფხე**ს შეკვეცილი ვარიანტი. ასე რომ, XIII-XVIII საუკუნეთა საგვარეულო მოსახსენებლებში არაერთხელ წარმოდგენილი „დაჩქილწ-ფხე“ ყველგან რომელიმე დიდი ფეოდალის მეუღლე და სვანეთის მთავრის ასულია. თუ ამასაც გავითვალისწინებთ, მაშინ, ცხადა, **დაჩქილწფხ** ანთროპონიმს ვერ გავიზიარებთ „დადიშქელიანთ მსახურად“

და ვერც **-ფხე** > **-ფხ** სუფიქსში დავინახავთ საზოგადოების სოციალური დიფერენცირების ფუნქციას.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს სვანურ ენაში ეს სუფიქსი ქალთა წარმომავლობის გვარებს აღარ აწარმოებს, ვფიქრობთ, ისეთი ფორმები, როგორიცაა: **ბედიფხ, გალდფხ, გულიფხ/ტუილიფხ/გუინიფხ, გერნიფხ, დაჩქილფხ, დერზუფხ, ელდარუფხ, სიდიფხ, ჯაჭიფხ/ჯაჭიფხ, გირგულფხ, ქალდფხ** (ორი უკანასკნელი ამკარად გირგვლიანისა და ქალდანის ოჯახების ქალები არიან) და ა. შ., რომლებიც ახლაც გამოიყენებიან სვანეთში ანთროპონიმებად, წარმოადგენენ ისტორიულ დოკუმენტებში დადასტურებული **-ფხე** სუფიქსის შემცველი ონომასტიკონის ანარეკლს.

უფრო მეტიც! — გარდაფხაძეთა ოფიციალური გვარის სვანური გაფორმება **გალფხან** კარგად ასახავს ისტორიულ ვითარებას, სადაც არც გარდაფხაძე გვხვდება და არც გალფხანი, მაგრამ ვვაქვს **გადრაფხე**, რომელიც ამოსავალი უნდა იყოს გარდაფხაძე/გალფხანისთვის: **გადრა-ფხე** > **\*გარდა-ფხე** > **\*გარდ-ფხე** > **\*გარ-ფხე** > **\*გალ-ფხე+ან** (სვანურ ოფიციალურ გვართა მორფემა) > **გალფხან**, შდრ. **ჯაფარ-ი-ძე** (კაცი), **ჯაფარ-ი-ფხე** (ქალი), **ჯაფარ-ან** (კაციც, ქალიც); ასევე, ალბათ, **\*გადრა-ფხ-ა-ძე** > **გარდა-ფხ-ა-ძე** (კაცი), **გადრა-ფხე** (ქალი), **გადრან** (კაციც, ქალიც).

ქვემოწვანური **გალფხან**'ის მსგავსი ჩანს დღეს მესტიის ონომასტიკონში დადასტურებული **მამფხან** <**\*მამ-ფხე-ან** (შდრ. ქალის სახელი **მამ**, კნინ. ფ. **მანილ**). ორივე ფორმა „ტბეთის სულთა მათიანეში“ (XII-XVII ს.) მამაკაცთა აღსანიშნავად გამოყენებული ორმაგსუფიქსიანი წარმოების (მაგალითად, **ნიკოლა-ფხე-შე-ილ-ი**; შდრ. აგრეთვე **ლაზ. კეტ-ი-ფხე-ში, წულ-უ-ფხე-ში, ქუთ-უ-ფხე-ში**; მეგრ. **კორძ-ან-ია** < **\*კორძ-ან-იან**, შდრ. **კორძ-ა-ია**) ანალოგიურია, **-ან** სუფიქსი ხომ ოდესღაც „შვილის“ აღმნიშვნელი სიტყვის შესაბამისი უნდა ყოფილიყო (ა. შანიძე, ჯ. ონიანი)! შებრუნებული რიგი (**გოშუ-ან-ი-ფხე, ბეუთმ-ან-ი-ფხე**) ძალზე იშვიათია ისტორიულ დოკუმენტებშიც კი (ქ. მარგიანი), იმ დროს, როდესაც მეგრულში ოფიციალურ ქართულ გვარებს სწორედ ბოლოში დაერთვის **-ხე** სუფიქსი (ჭავჭავაძეხე, წერეთელ<sup>ი</sup>ხე, იაშვილ<sup>ი</sup>ხე...).

როგორც ჩანს, სვანურში აუსლაუტის ცვეთის პროცესი ადრე-

ვე დაიწყო ქალთა მამისეულ გვარებში: XVII-XVIII საუკუნეთა ერთ საოჯახო მოსახსენებელში გვხვდება **შგვილ-ი-ფხ<sup>ე</sup>** (ილამაზ დაღეშქელიანის მეუღლე) და **ელდარ-უ-ფხ<sup>ე</sup>** (დედარიანის ქალი და სორთმან დაღეშქელიანის მეუღლე), რაც სვანური ფონოტაქტიკისთვის დამახასიათებელი ზოგადი წესის — ლიამარცვლოვანი სტრუქტურების დახურულმარცვლიანებად გარდაქმნის ტენდენციის გამოხატულებაა.

**-ფხე/-ხე** სუფიქსს, გარდა ძირითადი (გენდერული დიფერენცირების) ფუნქციისა, ქართული ენის დასავლურ დიალექტებში შეძენილი აქვს დამატებითი სემანტიკური ნიუანსები: გურულში ქალის კაპასობისა და ჭირვეულობის (ბ. ჯორბენაძე), ხოლო იმერულში ენაკვიმატობის, გაკილვა-დამცირების, დაცინვისა თუ ძალზე იშვიათად შექების (ც. ბენდელიანი) ხაზგასმა, რაც უმწერლობო ქართველურ ენებში არ შეგვინიშნავს.

სპეციალურ ლიტერატურაში (ნ. მარი, გ. გასვიანი, ო. ჭურღულია) სვან ქალთა გვარის მაწარმოებლად დასახელებულია **-ფხუ** სუფიქსიც, მაგრამ ქართულ ენაზე შესრულებულ სვანეთის ისტორიულ დოკუმენტებში ეს ვარიანტი სულ ხუთჯერაა დადასტურებული და, ალბათ, კორექტურული (ან სხვაგვარიც — ვთქვათ, ხელნაწერისა და შესაბამისი პუბლიკაციის განსხვავებული წაკითხვა) შეცდომას (**ელდარ<sup>უ</sup>ფხუ, ჩარკუფხუ**; შდრ. იქვე: **ელდარ-ფხე, ჩერაკ-უ-ფხე**).

ქართველურ ენათა დიალექტებში არც ო. ჭურღულიას მიერ შენიშნული **-მხე** სუფიქსი ჩანს.

გასათვალისწინებელია, რომ ჩოლურულ მეტყველებაში **ფხა** „ჯილაგს“ აღნიშნავს. შესაძლოა მას რამე კავშირი ჰქონდეს ქართულ **მგევალ**თან:

**მგევალ-** > **მხევალ-** > **\*მხეუ-** > **\*მხაუ-** > **\*ფხაუ-** > **ფხა**.

ეს ლექსემა სვანეთში სხვაგან აღარ იხმარება ამ მნიშვნელობით, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მულახურ, კალურ და ლაშხურ სიმღერებში ზოგიერთი გვარის საწყევარ ფორმულად წარმოდგენილი სინტაგმა **ჟიჯი < \*ჟიჯ-ემ-იშ/ჟიჯი < ჟიჯ-იშ ფხა** „გველის ფხას“ კი არ უნდა ნიშნავდეს, არამედ — „გველის მოდგმას, ჯიშს, ჯილაგს“. საინტერესოა, რომ აბაზურ, უბიხურ და ადიღურ ენებში იგივე ფუძე (**ფხ<sup>ლ</sup>ა, ფხა, ფხუი**) „ქალს“ აღნიშნავს (შდრ. აფხაზური **ა-ფჰა**).

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ,

რომ **-ხე** სუფიქსი მხოლოდ „უძველეს ზანთა ენობრივი კუთვნილება არ ყოფილა“, წინააღმდეგ სპეციალურ ლიტერატურაში (ე. თაყაიშვილი, ი. მეგრელიძე, ო. ჭურღულია,...) გამოთქმული მოსაზრებისა. იყო თუ არა **ფხე** > **ხე** საერთოქართველურ ენაში ან შესაძლებელია თუ არა **მკვეალ**- ფუძის სეგმენტაცია, ამას დამატებით კვლევა-ძიება სჭირდება. ეს-ესაა გამოქვეყნდა სრულიად ორიგინალური თვალსაზრისი რ. თოფჩიშვილისა, რომელშიც ფორმათა უწინარესობა-შემდგომადობის ქრონოლოგიური გარდაქმნები შებრუნებულადაა წარმოდგენილი (\***ფხეგ-ალ-ი** > **მხეგ-ალ-ი**); ფონეტიკა-ფონოლოგია რომ არ გვიშლიდეს ხელს, ეთნოლოგიური მსჯელობა მეტად საინტერესოა.

**მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე**

**დიფერენციული ნიშანი ლექსიკოგრაფიაში – IV სასკოლო (სასწავლო) ლექსიკონთა ტიპოლოგია**

ლექსიკონთა ტიპები იქმნება ოთხი ურთიერთდაკავშირებული კოორდინატთა სისტემით. ეს კოორდინატებია: ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, სემიოტიკური და სოციოლოგიური. მათი ძირითადი მახასიათებლები ადასტურებენ, რომ ლექსიკონთა ტიპოლოგია, ფაქტობრივად, არის მეცნიერული კლასიფიკაცია დაფუძნებული ლექსიკონის ტიპის, როგორც ინვარიანტის, იდეალიზებულ ცნებაზე განპირობებული აღნიშნული კოორდინატთა სისტემით (ვრცლად იხ. მ. ჩაჩანიძე, კოორდინატთა სისტემის ცნება ლექსიკოგრაფიაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არხ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 61-ე სამეცნიერო სესიის მასალები. თბ., 2002, გვ. 33-34).

სათანადო სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ამ ოთხი ურთიერთდაკავშირებული კოორდინატთა სისტემის წარმოდგენის სირთულის მიხედვით განასხვავებენ **აკადემიურ** და **სასკოლო** ლექსიკოგრაფიას. სასკოლო ლექსიკოგრაფია, აკადემიურთან შედარებით, შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მცირე ფორმებისა და უფრო მეტად სასწავლო მიმართულების ლექსიკოგრაფია (ს. ბარხუდაროვი, ლ. ნო-

ვიკოვი, პ. დენისოვი). ვინაიდან ყოველი კონკრეტული სტრუქტურულ-ტიპოლოგიური მოდელი ლექსიკონისა მოითხოვს სალექსიკონო ინდექსის (სიტყვანის) და მეტაენის საკუთარ ფორმას, აკადემიური და სასკოლო ლექსიკონები განსხვავდებიან, უპირველეს ყოვლისა, სიტყვანითა და მეტაენობრივი სტრუქტურით. ამასთან, სასკოლო ლექსიკოგრაფია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მეთოდოლოგიური რიგის ფაქტორებს: სწავლების ეტაპს, მოსწავლის (ადრესატის) მშობლიურ ენას, ენა-შუამავალს, მოსწავლეთა ზოგადკულტურულ დონეს და მისთ. სწორედ ამის გამოა, რომ სასკოლო ლექსიკოგრაფიას ხშირად განიხილავენ როგორც დამოუკიდებელ ლინგვო-დიდაქტიკურ დისციპლინას. საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით კი სასკოლო ლექსიკოგრაფია, უპირველესად, ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი დარგია და ლოგიკურია, რომ სასკოლო ლექსიკონთა ტიპოლოგია, ზოგადად, ლექსიკონთა ტიპოლოგიას ეფუძნება.

**მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა**

**დადესტნურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა სისტემა (სიბილანტები)**

მას შემდეგ, რაც დადგინდა ნახურ-ქართველურ ბგერათშესატყვისობათა ძირითადი ფორმულები, შესაძლებელი ჩანს დადესტნურ-ქართველურ ფონემურ მიმართებათა გამოვლენაც. სიბილანტურ თანხმონებში ორგვარი რეგულარულ-კანონზომიერი შესატყვისობანი გამოჩნდება: ა) ქართველური **სისინა** : დადესტნური **სისინა**; ბ) ქართველური **სისინა** : დადესტნური **შიშინა**, რაც ასევე დამახასიათებელი იყო ნახურ-ქართველური სიბილანტებისთვისაც. მოვიხმოთ საილუსტრაციო მასალას ორივე ფორმულის მიხედვით.

**I. სისინა : სისინა**

ს.-ქართვ. ძ “ ს.-დალ. ძ

(1) ს.-ქართვ. \*ძეძუ- „ძეძვი; კვრინჩხი“ (ქართ. ძეძუ-ი || ძეძვი-

ზან. (ლაზ.) დანძი-ი \*ძაძვი-ი “ ს.-დალ. \*ძაძ-(ა) „ეკალი“ (ხუნდ. ზაზ, ანდ. ზაზ, ახვ. ჟაჟა, ჭამ. ზაზა, ტინდ. ზაზა „ეკალი“, ჰუნზ. ზეზა, დარგ. ძანძი || ცააცჷ „ეკალი“, ლაკ. ცააც „ასკილი“, ლეზგ. ცააზ, თაბ. ძაძა, აღ., რუთ. ზაზ, წახ. ზაზა, არჩ. ცაც, უდ. ცაც „ეკალი“);

(2) ს.-ქართვ. \*გაძ- „წვივი“ (ქართ. გაზ-ებ-ი „წვივები“, ზან. გოჯ-ი „მუხლი“ ( ძვ. ქართ. გოჯ-ი), სვან. განზ \*გაზ „წვივი“) “ ს.-დალ. \*გუძ-ი „ჩლიქი; იდაყვი“ (ხვარშ. გუზ „იდაყვი, დარგ. ვაუცა \*გუძ „ჩლიქი, ქაჩაჩი“, აღ. ვაუცა \*გუძაძ „ჩლიქი“);

(3) ს.-ქართვ. \*ძივტ- „ჯიხვი; გარეული ხარი“ (ძვ. ქართ. ჯივტი-ი \*ძივტი-ი, შდრ. მეგრ. ძიხვი-ი „ჯიხვი“, ზან. ჯიქ-ი \*ჯიქვი-ი, სვან. ოძიხ-რა \*ძიხტ-რა „გარეული ხარი“) “ ს.-დალ. \*ჯუძაძ-ა „მთის თხა“ (ხუნდ. ღუძაძ, ჭამ. ღუძაძა, ტინდ. ღუძაძი „ურქო თხა“, დარგ. ვაძაძა || ვაძაძა „მთის თხა“).

ს.-ქართვ. **ც** “ ს.-დალ. **ც**

(1) ს.-ქართვ. \*ციტ-ა „ლიფსიტა“ (ქართ. ცეტა „ერთგვარი პატარა თევზი“, ზან. (მეგრ.) ციტუ „ლიფსიტი“) “ ს.-დალ. \*ციტ-უ „მწერი; ბაღლინჯო“ (ხუნდ. ჩუტ „ფუტკარი; მწერი“, ლაკ. სუტ \*ცუტ „ტკიპა“, ლეზგ. შუტ, რუთ. შით, წახ. შინ, კრიწ. შუტ, ბუდ. შუტ || შუდ „ბაღლინჯო“, შდრ. ანდ. ცუტა „ნაკელის ხოჭო“);

(2) ს.-ქართვ. \*ბიც-(ა) „ქვა, მიწა“ (ქართ. ბიცი-ი „მიწა მლაშე“ (საბა), ზან. (მეგრ.) ბეჩა „გამოქვაბული“, სვან. ბეჩ || ბეჩ „ქვა“) “ ს.-დალ. \*ბაც-(ა) „მთა, კლდე, ქვა“ (ახვ. ბეჩა, ტინდ. ბესა, კარ. ბესა, ბაგვ. ბესა „მთა“, ბეჟ. ბეჩ, ჰუნზ. ბაჩა „კლდე, ფრიალო“, უდ. ბეჩ „თხელი, მრგვალი ქვა“, ხინ. ბეჩ „საფლავის ქვა“);

(3) ს.-ქართვ. \*ბაც- || \*ცაბ- „შტერი, ცოფი, ბრმა“ (ბეცი-ი, ბაცი-ი, ბოცი-ი || ბუცი-ი, შდრ. ცოფ-ი, ზან. ფოჩ-ო „შტერი“, სვან. ლი-ჩეფ „სენის შეყრა“) “ ს.-დალ. \*ბეც- „ბრმა, ბნელი“ (ხუნდ. ბეცა-აბ, ტინდ. ბეცა-უბ, ახვ. ბეცა-ო-და „ბრმა, ბნელი“, ბეჟ. ბოცი-დიფო, ჰუნზ. ბეცი-დუ, არჩ. ბეს-დუ \*ბეცი-დუ „ბრმა“).

ს.-ქართვ. **წ** “ ს.-დალ. **წ**

(1) ს.-ქართვ. \*მ-წაკე „მწკლარტი“ (ქართ. მწაკე, ზან. მაჭიკი-ი,

სვან. წაკარ-აძ „მწაკე“) “ ს.-დალ. \*წაკე- „მყავე, მწარე“ (ხუნდ. წაკე-აბ, ანდ. წაკე, ახვ. ჭიკაუ-და, ტინდ. ციქაუ-ბ, კარ. წიკაო-ბ, ბოთლ. წიკაუ, ბაგვ. წიკაუ, ლოდ. ციქაუ „წმინდა“, დარგ. წიკ-სი || წიკტ-სე „მყავე“, ლეზგ. წიკი, არჩ. წეგტ-დუ || წეკტ- „მწარე, სიმწარე“);

(2) ს.-ქართვ. \*წოპ- „ჭიპი“ (ქართ. წოპ-ი (საბა), ზან. ჭიპ-ე || წიპ-ა, სვან. პიჭ \*ჭებ) “ ს.-დალ. \*წუმ- „ჭიპი“ (ხუნდ. წინუ, ანდ. წაუნო, ახვ. წაუნ., ბოთლ. წაუნი, ბაგვ. წაუნი., ლაკ. წუნ, არჩ. წან, უდ. ცაან, ხინ. წუმ „ჭიპი“);

(3) ს.-ქართვ. \*წვიმ- „წვიმა“ (ქართ. წვიმ-ა, წვიმ-ს, ზან. ჭვიმ-ა, ჭვიმ-ს „წვიმს“) “ ს.-დალ. \*წუარ- „ვარსკვლავი“ (ხუნდ. წუა, ანდ. წა, ახვ. წაუარი, კარ. წაუად, ბაგვ. წაუარა., ჰინ. ცუა, დიდ. ცა, ხვარშ., ჰუნზ. ცა, ინხ., ბეჟ. ცა<sup>ნ</sup>, დარგ. ზური || ზურე „ვარსკვლავი“);

(4) ს.-ქართვ. \*წყენ- „ძალა, წყენა“ (ქართ. წყენ-ა, ზან. (მეგრ.) ჭყან-ა „ძალა“, სვან. ჭყარ- „დასუსტება, უძლურება“) “ ს.-დალ. \*წყა- „ძალა, სიძლიერე“ (ხუნდ. წაყა-, ახვ. ჭიყა-, ჭამ. წაყა-, კარ. წაყა-ი „ძლიერ, ძალიან“, დიდ. წაყ-თოუ, ბეჟ. წაყ, ჰინ. წაყ „ძალიან“, ლაკ. წაყ, დარგ. წაყ- „ძალა, სიძლიერე“);

(5) ს.-ქართვ. \*წებლ- „თეთრი, ფითრი“ (ქართ. წაბლ-ა-ძ „თეთრი კვანძის სახეობა“, ზან. (ლაზ.) ჭაბუ „ფითრი“, სვან. ჭებრ „ფითრი“) “ ს.-დალ. \*წაბ-უ „თეთრი“ (დარგ. წუბ || წუბა || წუბ-ზე „თეთრი“, ლეზგ. ბაჭ-უხ „ლაჭებიანი“, ბუდ. ჭობუ „წითელთმიანი“, არჩ. ჭუბა-თაუთ „თეთრი“).

ს.-ქართვ. **ზ** “ ს.-დალ. **ზ**

(1) ს.-ქართვ. \*ზარ- „ყინვა“ (ქართ. ზრ-ობ-ა, სვან. მგ-ჟგრ) “ ს.-დალ. \*ზარი- „ყინული“ (ანდ. ზარ, ახვ. ჟარი, ჭამ. ზა, ტინდ. ზარი, კარ. ზარე, ბოთლ. ზარი, ბაგვ. ზარ, ლოდ. ზარი „ყინული“, ჰუნზ. ჟარა „ყინული“, ბეჟ. ზა-ლჷ- „აციება“, ლაკ. ზურუ-ჯანბი „ყინულის ლოლუა“, ლეზგ. ცაურ \*ძურ „სარკესავით ყინული“);

(2) ს.-ქართვ. \*ზღუელ- „დიდი წვიმა“ (ქართ. (იმერ.) ზღველ-ა „კოკისპირული წვიმა“, ზან. (მეგრ.) ზღვარ-ზღვალ-ი "იდ", სვან. ჟღერ \*ჟღუერ „თავსხმა წვიმა“) “ ს.-დალ. \*ზიგოლ- „წვიმა; სეტყვა“ (დიდ. ზიგოლუ, ხვარშ. ზანგერუ, ბეჟ. ჰოლო-მიგი, ჰუნზ. ბელუ-მიგი „სეტყვა“, ლაკ. ზიგ „წვიმა/წვიმს“);

(3) ს.-ქართვ. \*თევზ- „თევზი, ლიფსიტა“ (ქართ. თევზ-ი || თებზ-ი, სვან. ცუზ \*თაზუზ „ლიფსიტა“) “ ს.-დალ. \*თაზუზ- || \*თაზუზ- „ბაღლინჯო“ (ანდ. თარცაა, ჭამ. თასაუ, ლოდ. თაბცუ, დიდ. თაჟსა, ჰინ. თაჟსა, ბეჟ. თაჟსა „ბაღლინჯო“);

(4) ს.-ქართვ. \*ზეგ- „ზეგ“ (ქართ. ზეგ, ზან. —, სვან. —) “ ს.-დალ. \*ზაქ(ჟ)- „ხვალ“ (დიდ. ზიქო „ხვალზეით“, ჰინ. ზექ., თაბ. ზა-ქუ-რ, ალ. საქჟა-ნა „ხვალ“).

ს.-ქართვ. **ს** “ ს.-დალ. **ს**

(1) ს.-ქართვ. \*ყოხ- „დიდი კოვზი“ (ქართ. კოს-ი „დიდი ჯამი“, სვან. ყრმ || ყომ „კოვზი“) “ ს.-დალ. \*ყოხ(უ) „ნიჩაბი, კოვზი“ (ხუნდ. ჭუნეს || ჭერს, ახვ. ყოში „ნიჩაბი“, ლაკ. ვჟუსა, დარგ. ყუსა || ყულსა „კოვზი“, ლეზგ. ყუსუ „ნიჩაბი“, თაბ., ბუდ. ყასუ, კრიწ. ყასუ „ველი“);

(2) ს.-ქართვ. \*სოკ-ე „სოკო; კიტრი“ (ქართ. სოკო || სეკო, ზან. შუ(რ)კა || შუნკა „კიტრი, ნესვი“) “ ს.-დალ. \*სეკ-უ „სოკო, აბედი“ (ხუნდ. სჰაკ, ანდ. სჰეკუ, ჭამ. სეკუ, კარ. სეკუ „აბედი“, ახვ. შეკუ, ტინდ. საეკუ || სეკუ „აბედი, სოკო“, დიდ. შოკუ, ინხ. ჟოკო „აბედი“, ბეჟ. საკო, ხვარშ. ჟოკო „სოკო“, უდ. შამქჰალ „სოკო“);

(3) ს.-ქართვ. \*ქჟას- „ცოცხი, გაცოცხვა“ (ქართ. —, ზან. ო-ქოს-უ „გაცოცხვა“, ო-ქოს-ალ-ი/ე „ცოცხი“, სვან. ქჟას || ქჟასი „ბა-ლახის ცოცხი“) “ ს.-დალ. \*ქოს- „მკა; საჭრელი მოწყობილობა“ (ხუნდ. ქაშუ „თივის საჭრელი მოწყობილობა“, დიდ. ქოს, ბეჟ. ქუს-უჟ, ჰუნზ. ქომ „მკა, კრეჭა, მოჭრა“, არჩ. ქის „ჩანგალი, ფიწალი“);

(4) ს.-ქართვ. \*სომ- „პურის შეჭამანდი“ (ქართ. სომ-ინ-ი „დიდი პური“ (საბა), სვან. შამ \*შემჟ \*შომ „დომის შეჭამანდი; თავ-თავიანი პურეული“) “ ს.-დალ. \*სუმ- „პური; ჩალა“ (ხუნდ. სუმ || შუმ, ანდ. სუმა, ახვ. შუმა, ლოდ. სუმა., ლაკ. სუნ „ჩალა“, თაბ. შ უმ, ალ. საუმ, რუთ. კრიწ., ბუდ. სუმ, წახ. სომ, უდ. შუმ „პური“);

(5) ს.-ქართვ. \*სუტ-ე „სვეტი“ (ქართ. სვეტი-, ზან. (ლაზ.) სკვიტი-ი „ბოძი“) “ ს.-დალ. \*სუტ- „საფლავის ქვა; კლდე“ (დიდ. შუდ, ჰინ. სუდ, ინხ. შუდ „საფლავი“, ბეჟ. შედ, ჰუნზ. შედ „კლდე; კაჭა-რი“, დარგ. საუტა „საფლავზე დადგმული ძეგლი, ქვა“).

## II. სისინა : შიშინა

ს.-ქართვ. **ძ** “ ს.-დალ. **ჯ**

(1) ს.-ქართვ. \*გირძილ- „ღრძილი; ძირა კბილი“ (ძვ. ქართ. გრძილ-ი „ღრძილი“, ზან. ჯირგილ-ი || ჯირჯილ-ი „ძირა კბილი“) “ ს.-დალ. \*გუარჯი- „ძირა კბილი; ღრძილი“ (ხუნდ. გოჟო, ანდ. გუჟი, ახვ. გორჟო, ჭამ. გოჟუ, ტინდ. ქოჟუ, კარ. გოჟა || გუაჟა „ძირეული კბილი“, დიდ. გოჟუ, ხვარშ. გოჟუ, ბეჟ. გჟო, ჰუნზ. გონჟუ „ეშვი“, ლაკ. ქარჩი \*გარჯი „კბილი“, დარგ. განჟი „ეშვი“, ლანჟე „ღრძი-ლი“, ალ. გუარჟ, არჩ. განჟი „ღრძილი“);

(2) ს.-ქართვ. \*ძალ-/\*ძილ- „სიმი; ძარღვი“ (ქართ. ძილ-ი, ძალ-ი, ზან. (ლაზ.) ჯილ-, ო-ჯილ-აშ-ე „ბადე“, სვან. ჯელ || ჯილ „სიმი“) “ ს.-დალ. \*ჯარ- „კანი, ტყავი; მემბრანა“ (დარგ. ჟერ || ჯარ „ტყავი, კა-ნი“, ლეზგ. ჩაარ „კანი“, ალ. ჯარ „მემბრანა ხორცში“, რუთ. ჯარ, კრიწ. ჯერ, ხინ. ჯარ „რძის კანი, აბკი“);

(3) ს.-ქართვ. \*ძამ-ალ- „ძმა“ (ქართ. ძმა || ძამა, ძამულა, ძმ-ად-ი „მეყარი“, ზან. ჯუმა || ჯემა || ჯიმა „ძმა“, ჯუმა-დ-ი || ჯიმა-დ-ი „ბიძა“, სვან. ჯემილ „ძმა დისტვის“) “ ს.-დალ. \*ჯამ- || \*მაჯ- „ნათესავი (მამრ.)“ (ხუნდ. მძჟ-იტი „გარეთა ბიძაშვილი“, ლაკ. მაჩა \*მაჯა „ნა-თესავები (მამრ.)“, ლეზგ. ჩამ \*ჯამ „სასიძო, ნეფე“, თაბ., ალ. ჯამ "იდ", რუთ. ყუ-ჯამ „სიძე“, წახ. ყა-ჯამ-არ „ძმათა ცოლები ერთმანე-თის მიმართ“);

(4) ს.-ქართვ. \*ძ(ა) „თვითონ“ (ქართ. ვინ-ძ-ი, ზან. არ-ძო || არ-ძა „ყველა“, სვან. ჯი „თვითონ“) “ ს.-დალ. \*ჯი „თვითონ“ (ხუნდ. ჟი-, ანდ., ახვ., ლოდ. ჟი-, ჭამ. ზი-, კარ. ჟე- „თვითონ“, დიდ. ჟო, ჰინ. ზო, ხვარშ. ჟუ, ბეჟ. ჟუ, ჰუნზ. ჟუ, ლეზგ. ჟუჟ, რუთ., წახ., კრიწ. -იჯ, არჩ. ინჟ „თვითონ“);

(5) ს.-ქართვ. \*ძეგუ- „ბალახი, ბუჩქი“ (ქართ. ძეგვი || ძიგვი-ა || ძეგვი-ე, ზან. ჯავვი-ი || ჯავ-ი „წვრილი ჩირვი“, სვან. ჟავ || ჟავ „წამა-ლი“) “ ს.-დალ. \*ჯავ-ა „ალუბლის ხე; ეკლებიანი ბუჩქი“ (ხუნდ. ჟავა, ანდ. ჟავა, ახვ., ლოდ. ჟავ „ალუბლის ხე“, ჭამ. ჯავა || ჟავა, ტინდ., კარ. ჯავა || ჟავა „ალუბლის ხე“, ბეჟ. ჟავი ორდო „ჟოლო“, ჰუნზ. ჟავი „ეკლებიანი ბუჩქი“).

ს.-ქართვ. **ც** “ ს.-დალ. **ჩ**

(1) ს.-ქართვ. \*მაც-ალ- „მოზვერი- ირემი“ (ქართ. (მთიულ.)

მაცალ-ო „მოზვერი“, ზან. ობოლო-ა, სვან.ლაჩუ \*მაჩაჟ „ირემი“) “ ს.-დალ. \*მაჩ-ერ- „ხბო, მოზვერი“ (ხუნდ. ბეჩე „ხბო“, ანდ. მილია „მოზვერი“, დიდ. მეშორი, ჰინ. მეშირო „მოცედი“, ლაკ. ბარჩ, ალ. ურჩი \*ტარჩ, არჩ. ბიშ „ხბო“);

(2) ს.-ქართვ. \*კაც- „კეცი“ (ქართ. კეცი-ი, ზან. კეცი-ი || კიცი-ი „კეცი (თიხის)“, სვან. კეც || ტკეც „საარყე ჭურჭელი“) “ ს.-დალ. \*ყ(ჟ)ან- „თიხის ქოთანი, სადღვებელი“ (ლაკ. ვაჩი „რძის საფილტრი თიხის ქოთანი“, ლეზგ. ყეჩ, კრიწ. ყეჩ „თიხის დოქი/ქოთანი“, შდრ. ლეზგ. ყიჩ „სადღვებელი“, ხინ. კუჩგ „ამცირე ხელადა“);

(3) ს.-ქართვ. \*ვაც- „მხეცი, მხეცობა“ (ძვ. ქართ. მ-ვეცი-ი, ნა-მ-ვეცი-ავ-ი, შდრ. ვოც-ვა-ა-მ, სვან. ვაც-ა „ნგრევა“) “ ს.-დალ. \*ვაჩ-ა „ბო-ჩოლა“ (ლაკ. ვაჩა „ბოჩოლა“, დარგ. ვაჩა „ხბო“, ხინ. ვაჩა-ეყ \*ვიჩ-ერ „ხბო ორ წლამდე“);

(4) ს.-ქართვ. \*ვორც- „ხორცი“ (ძვ. ქართ. ვორცი-ი, ზან. ხორცი-ი \*ვორცი-ი, ხორცი-ონ-ი „ხორციანი“) “ ს.-დალ. \*ვო(ნ)ჩ-(ა) „კანი; ტყავი“ (ახვ. ღოჩა, ტინდ. ღოჩა „კანი, ტყავი; ცხვრის ტყავი“, დიდ. ჰოში, ჰინ. ხუში, ხვარშ. ჰინშე, ბეყ. შაშე „ტყავი“, ინხ. ჰენშე „ცხვრის ტყავი“, ლაკ. ვაჩუ „ცხვრის ტყავის ქურქი“).

### ს.-ქართვ. წ “ ს.-დალ. ჰ

(1) ს.-ქართვ. \*წაქ-(ა) „წათხი, შრათი“ (ქართ. წაქ-ი || წაქ-ა, ზან. წაქ-ი „სველიდან ნადულის მოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე“, სვან. წაქჟ || წაქჟ „წვეთი“) “ ს.-დალ. \*ჰაჰ(ა) „შრათი, ხსენი“ (ხუნდ. ჰაჰჰ, ტინდ. ჰა \*ჰაჰა, ანდ. ჰაჰა „სახლში მოხარშული, და-მზადებული ლუდი“, ლაკ. ჰუჟ „ხსენი“, ლეზგ. წუჟჰ, თაბ. ჰუჟჰ, ალ. ჰუჟჰ, რუთ. ჰუჟჰ „შრათი“, არჩ. ნო-ჰო \*ნო-ჰოჰ „ხსენისგან დამზადებული საჭმელი“);

(2) ს.-ქართვ. \*წამ- „დროის ერთეული“ (ქართ. წამ-ი, ზან. ჰუმ-ან-ი „ხვალ“, ო-ჰუმ-არ-ე „დილა“, სვან. ჰამ \*ჰამ „დილა“) “ ს.-დალ. \*ჰამ- „დრო“ (ლაკ. ჰუნ „დრო“, ლეზგ. ჰაჟ, თაბ. ჰეჟ-ენ, ალ. ჰეჟ-ენე, რუთ. ჰეჟ, წახ. ჰაჟ „დრო; დროული (საკმაო)“);

(3) ს.-ქართვ. \*წერ-ო „წერო“ (ქართ. წერო, ზან. ჰარო, სვან.

ჰორო \*ჰერუ „ყარყატი“) “ ს.-დალ. \*ჰირ-უ „მწყერი; ბელურა“ (ხუნდ. ჰოროლო „მწყერი“, ჰამ. ჰორუ „ჩიტი, ბელურა“, ტინდ. ჰური-ლადა „მწყერი“, ლაკ. ჰილმუ „პატარა ჩიტი“);

(4) ს.-ქართვ. \*წარ- „კანი, გარეკანი“ (ქართ. წერ-ი „ნიგვზის კანი“, შდრ. ოსური ( ქართ.) წარჰ „კანი“, ზე-წარ-ი, ზან. (მეგრ.) ჰგლ-ა || ჰილ-ა „ნიგვზის/კაკლის გარეკანი“) “ ს.-დალ. \*ჰარ- „თმა, საფარი“ (ხუნდ. ჰორ, ანდ. ჰურ „ცხენის თმა“, ჰუნზ. ჰურ „ქალის თმა“, ლაკ. ჰარა || ჰარჰ „თმა“, ლეზგ., თაბ., ალ., რუთ., ხინ. ჰარ, წახ. ჰარ, ბუდ., კრიწ. ჰერ, არჩ. ჰარგ „თმა, საფარი“).

### ს.-ქართვ. ზ “ ს.-დალ. ჟ

(1) ს.-ქართვ. \*ზალ-ა „წყალი (მარილიანი)“ (ქართ. ზალა (სა-ბა), ზან. ჟვერ-ი „სველი, წყლიანი“, ჟვარ-უ-ა „წვეთება, სველება“, სვან. ჟერ- „დასველება“) “ ს.-დალ. \*ჟან-ა „წვენი; დვრიტა“ (ხუნდ. ჟა „ღვინო“, ანდ. ჟონო „სიროფი“, ტინდ., ბოთლ., ბაგვ., ღოდ. ჟანა „ღვინო; ყურძნის წვენი“, დიდ. შამ, ხვარშ. შა „ღვინო“, ლაკ. ჟინ „დვრიტა, კვეთი“);

(2) ს.-ქართვ. \*ზემ- „დროის გასვლა, ჟამი“ (ქართ. და-ზმ-ა, ხან-და-ზმ-ულ-ი, ზან. ჟამ-, მითა-ჟამ-ი „ძველი დრო“) “ ს.-დალ. \*ჟემ(მ)- „დღეს, ახლა“ (ხუნდ. ჟმ-ჟა, ანდ. ჟე-ლ’ალ, ახვ. ჟე-ლ’ა, კარ. ჟე-ლ-ი „დღეს“, ბეყ. ჟენ-სა „დღეს“, ჰუნზ. ჟე „ახლა“), შდრ. აფხ. ჟა-ჟ გ, აბაზ. უ-ჟუჟ „ახლა“;

(3) ს.-ქართვ. \*ზარ-დ- „ზრდა“ (ქართ. ზარდ-/ზრდ-ა, ზან. რდ- \*ზრდ- „ზრდა“, სვან. რდ- \*ზრდ- „ზრდა“) “ ს.-დალ. \*დ-იჟინ- „ზრდა“ (ხუნდ. რ-იჟ-, ახვ. რ-იჟ-, ჰამ. რ-იჟინ-, ტინდ. რ-იჟინ’-..., ბეყ. რ-იჟ-, დარგ. დ-უზ- „ზრდა“);

(4) ს.-ქართვ. \*ზეკ- „წვერი“ (ქართ. ა-ბზეკ-ა, ზან. (მეგრ.) ბეკ-ე „წვერი“) “ ს.-დალ. \*მეჟეგ- „წვერი, ულვაში“ (ხუნდ. მეგჟე, ანდ. მიგაჟუ, კარ. მიგაჟუ, ღოდ. მიგაჟუ „წვერი“, დიდ. მეშოგლა, ჰინ. ბოშოლკა „წვერი, ულვაში“, უდ. ჰაჟ-უხ „წვერები“).

### ს.-ქართვ. ს “ ს.-დალ. ს

(1) ს.-ქართვ. \*სტელ-(ა) „ძლოკვი“ (ქართ. მ-სვლ-იკ-ი, სვენ-ი, ფსვენ-ი, ზან. (მეგრ.) შველ-ა „გველხოკვი“, სვან. შტულ „ხვლიკი“;



შტალმ-შ „ხვლიკისა“) “ ს.-დად. \*შერ-(ა) „მუცლის ჭია“ (ლოდ. შირ-კა „მუცლის ჭია“, ლაკ. შირა „ასკარიდი“, დარგ. შირი, კუბ. შირაჲ „მუცლის ჭია“, ლეზგ., თაბ., აღ. შარ, რუთ. შარ-აკ, კრიწ. შერ-ბჰჰ „მუცლის ჭია“);

(2) ს.-ქართვ. \*ასკ- „ასკილი“ (ქართ. ასკილ-ი, ზან. (ლაზ.) ოშკ-ი (ტობ.) “ ს.-დად. \*შეკ-ი || \*კეშ-ი „ასკილი“ (ჭამ. ჭისჰ კის, ტინდ. კემჰუ, ბაგვ. კემჰუ, ლოდ. კიშჰუ., ლეზგ. შიკი, თაბ. შკი, რუთ. კაშ-კალ(-ბგრ), წახ. კაშ-კალე „ასკილი“);

(3) ს.-ქართვ. \*მოს- „ძაფი“ (ქართ. მოს-, მოს-ელ-ი (საბა), ზან. მოშ-, ო-მოშ-ირ-ი „ქსელში სიგანით გასავლები ძაფი“) “ ს.-დად. \*მუშ-(ი) „ბაწარი“ (ხუნდ. მუშჰ „ლაფანი, ხრალის ბაწარი“, ჭამ. ნისჰუ, ლოდ. მირში „ბაწარი...“);

(4) ს.-ქართვ. \*ქურს-ლ „ქუსლი“ (ქართ. ქუსლ-ი, ხევს. ქურსლ-ი, ზან. ქურ(რ)ს-ი „ქუსლი“) “ ს.-დად. \*ქუანშ(უ)- „ტერფი, ფეხი, თათი“ (ახვ. ქუანში, ჭამ. ქუანსაჰ, კარ. ქუანშა, ტინდ. ქუანშა, ბაგვ. ქუანშა „ტერფი, ფეხი; თათი“, ხვარშ. ქუანშუ, ინხ. ქუანშუ „თათი, ფეხი“, დარგ. ქუშ „ფეხი“, აღ. ქუშ-მულ „ქაჩაჩი, ჩლიქი“).

საყურადღებო ჩანს საერთოკავკასიური ფუძე-ენიდან მომდინარე ინტენსიური (გრძელი) თანხმოვნების რეფლექსაცია ორივე ჯგუფის ენებში. საერთოდ აღესტნური ც და წ ინტენსივები უცვლელად შემოგვენახა ხუნძურ-ანდიურ ქვეჯგუფში, სხვაგან ც/წ სადა სიბილანტებს შეერწყა, ხოლო საერთოქართველურ ფუძე-ენაში წ სპორადულად ბიფონემურ წჲ ჰარმონიულ-დეცესიურ კომპლექსად ჩამოყალიბდა, შდრ.:

ს.-ქართვ. \*წჲონ- „მუხა“ (ქართ. წჲონ-, ტობ. წჲნ-ეთ-ი, წჲნ-ორ-ი, ზან. ჰჲონ-ი || ჰჲონ-ი „მუხა“, სვან. ლა-ჰჲორ-ა „სამუხე, მუხე-ბი“) “ ს.-დად. \*წჲან- „ეკალი, ღვია“ (ხუნდ. წჲინი, ანდ. წჲანა, ახვ. წჲანა, ტინდ. ცჲანი, კარ. წჲანა, ბოთლ. წჲანა, ბაგვ. წჲანა, ლოდ. ცჲანი „ეკალი, ღვია“, თაბ. წჲან-წჲან (რედუბლ.) „ასკილი, კენკრა“).

წ ინტენსივის ფშინვიერი ც კორელატი შესაბამისად ცხ კომპლექსით არის წარმოდგენილი ქართველურ ენა-კილოებში. ამგვარ ნიადაგზე გაჩნდა ჯგუფებს შორის ბგერათმესატყვისობა:

ს.-ქართვ. ცხ “ ს.-დად. ც

(1) ს.-ქართვ. \*რეცხ- „რეცხვა“ (ქართ. რეცხ-ვა, სა-რცხ-ელ-ი, ზან. ო-რჩხ-უ „რეცხვა“, ო-რჩხ-ალ-ი- სა-რცხ-ელ-ი, სვან. ლი-რჩხ-გნ-ე „წყალში გავლება“) “ ს.-დად. \*დ-იცჰ- || \*რ-იცჰ- „რეცხვა“ (ხუნდ. რ-იჩჰ- „დასველება“, ახვ. რ-იცჰ- „წყალში გამოვლება“, ჭამ. რ-იცჰ- „სველი“, ტინდ. რ-იჩჰ- „დასველება“, კარ. რ-იჩჰ- „დასველება“, ლაკ. რ-ისჰუ- \*რ-ი-ცჰუ-, დარგ. დ-იც- || დ-ირც- || -იც „რეცხვა“, წახ. ო-ცა „სითხის დინება“, ხინ. რც- „რეცხვა“);

(2) ს.-ქართვ. \*მ-ცხჰ- „ცხოზა, ცხელება“ (ქართ. ცხე-ებ-ა, ნა-მ-ცხე-არ-ი, ზან. (ლაზ.) მჩხე-აფ-ა „ცხელი“, ვ-ო-მჩხ-უნ-ამ „გაცხელება“) “ ს.-დად. \*ბ-ერცჰ- „მეწვა“ (დარგ. ბ-ერცჰ/ბ-უცჰ-ა, ლეზგ. ბ-უც-, აღ. უც-, რუთ. ბ-ისა-, წახ. ჳ-ეც-, ბუდ. ჳ-ას-, არჩ. სესა- (რედუბლ.) „მეწვა, წვა“);

(3) ს.-ქართვ. \*დერცხ- „სიმსუქნე“ (ქართ. დრენცხ-ი „მსუქანი და ზანტი“, სვან. დჰცხ || დაცხ || დჰცხ-ჰ „სიმსუქნე“) “ ს.-დად. \*დარცჰ- „მსუქანი“ (თაბ. დარცჰ, აღ. დარცჰ „მსუქანი“);

(4) ს.-ქართვ. \*ცხამ- „ღვარძლი“ (ქართ. სხამ-ი \*ცხამ-ი, ზან. (ლაზ.) ჩხამ-ი „შხამი“, სვან. ცხამ „ღვარძლი“) “ ს.-დად. \*ცჲიმ- „ბრაზი“ (ხუნდ. ცჲინ, ანდ. სჲიმ, ახვ. სჲიმი, ჭამ. სჲიმ, ტინდ. სჲიმი, კარ. სჲიმე, ბოთლ. სჲიმი, ბაგვ. სჲიმ, ლოდ. სჲიმი, დიდ. სემი, ჰინ. სემე, ხვარშ. სემი, ბეჟ. სიმო, ყუნზ. სემი, ლაკ. სჲი, დარგ. სუმე, ლეზგ., თაბ., აღ., რუთ. სებ, არჩ. სჲამ „ბრაზი“).

**ზოგი მეგრული ტოპონიმის მართებული განმარტებისათვის (ნოჭადენი, ოკვანტიეში, შონაჭაე, ხირზენი, ნაფარონი, ოკუე და სხვ.)**

სამეგრელოს რეგიონული ტოპონიმის მასალების გამოცემის ერთ-ერთი პირველი ცდა იყო გივი ელიავას „აბაზისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია“ (თბ., 1977). ზოგ შემთხვევაში ტოპონიმთა ამოსავალი ფუძეების განმარტება სწორი და მისაღებია, მაგრამ წიგნს თავიდან ბოლომდე გასდევს ორი მნიშვნელოვანი ნაკლი: ა. ტოპონიმები დასახელებულია სახელდებულ ობიექტთა განსაზღვრისა და ლოკალიზაციის გარეშე; ბ. ტოპონიმთა განმარტებანი არაიშვიათად შორს დგას ჭეშმარიტებისაგან. დავასახელებთ ზოგ შემთხვევას:

1. **ნოჭადენი** განმარტებულია როგორც „ნასამჭედლარი“ (იხ. გვ. 101, 179). სინამდვილეში ტოპონიმის თავდაპირველ მნიშვნელობასთან არაფერ შუაშია სამჭედლო და ამოსავალია ბოტანიკური ნომენი **ჭადია** (ჭადიე, ჭადიო), რაც აღნიშნავს ერთგვარ სოკოს, რძინს, საკვებად ვარგისს (შდრ.: იმერ. **ჭადო, ჭადუა** — სოკოა ერთგვარი; გურ. **ჭადა, ჭადა-ი** — მჭადა; ბალახეული მცენარე; სოკო). მეგრულში ჭადია ჭადისჭადიცაა (ე.ი. ფეტვი).

2. **ოკვანტიეში** „საიხვე“ (გვ. 106). ამგვარი განმარტებაც ახლოს დგას ე.წ. ცრუხალხურ ეტიმოლოგიასთან და ემყარება ტოპონიმსა და ამოსავალ ფუძედ საგულგებელ ლექსემას შორის რამდენიმე ბგერის იდენტურობას. ამ შემთხვევაშიც ეტიმონი წარმოადგენს ბოტანიკურ ნომენს. **კვანტილა** ერთგვარი ტკბილიძირხვნიანი მცენარეა, რომელიც ა. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ დასახელებულია როგორც ქართული ბუსკანტურას მეგრული სემანტიკური ეკვივალენტი (შდრ.: რაჭ. კვანტილა, იმერ. სკვანტილა). ამავე ფუძეს შეიცავს ტოპონიმი ოკვანტილეც (ჩხოროწყუს რ-ნი, სოფ. ნაფიხხოვო). ბ.-მ. თქმაში ამოსავალ ფუძეს მიუღია ფორმა კვანტია (კვანტილა → კვანტისა → კვანტია → ო-კვანტი-ე-ში).

3. **შონაჭაე** „სვანის ჭალა“ (გვ. 118). ამ მიკროტოპონიმში **შონა** ადგილის სახელია (და არა ეთონიმი). როგორც ჩანს, იგი წარმო-

იქმნა შონურონა ფორმის ჰაბლოლოგიით: შონური (ყურძნის ჯიშია) → შონურონა → შონა. როგორც ცნობილია, სხვა ენიდან ტოპონიმის გადმოღებისას ორფუძიანი ტოპონიმის პირველი კომპონენტი, რომელიც თვითონ წარმოადგენს ტოპონიმს, არ ითარგმნება. მაშასადამე შონაჭაე ნიშნავს „შონას ჭალას“.

4. **ნაფარონი** თარგმნილია როგორც „ნაფულარი, ნაყიდი“ (გვ. 131). ცხადია, ავტორისათვის ამოსავალია სიტყვა ფული. ფაქტობრივად კი ტოპონიმის ფუძეა **ფარონი**, რაც ნიშნავს: 1. ტევრი, ხშირი ტყე; 2. სიმინდის ფუჩქის შესანახი ან თავთავების გასაშრობი ნალისებური ნაგებობა. ამგვარ ფარდულს, ჩვეულებრივ, ყანაშივე დგამდნენ.

5. **ხირზენი** „სახიზარი“ (გვ. 140). სახელდებული ობიექტი მდებარეობს ტალერის თემის საკრებულოს სოფ. ნობულევის შემოგარენში და წარმოადგენს სამხხრივ ფერდობებით შემოსაზღვრულ ვაკე-ტაფობს. ფერდობები ჩამორღვეულ-ჩამოშლილ-ჩამორეცხილია. სწორედ ამგვარი ობიექტი აღინიშნება საზოგადო სახელით **ხიირი**. მაშასადამე: ხიირი → ხიირიშ რზენი → ხირზენი.

6. **ოკუე** „საკუე“ (გვ. 57, 147). სახელდებული ობიექტი, რომელიც წიგნის ავტორის მიერ არაა ლოკალიზებული, წარმოადგენს ხევის მდ. ლახვაშის მარცხ. მხარეს (სოფ. ლედგებე) და მას ეწოდება ოკვიე//ოკუე. ამ ხევი ხარობს მხალში გასარევი ბალახეული მცენარე **კვიო**. ა. მაყაშვილი ქართ. ტყიურას სემანტიკურ ეკვივალენტებად თვლის რაჭ. კვლიავს და მეგრ. კვიეს. ამ მცენარეს იმერულ დიალექტშიც კვლიავი ეწოდება. მაშასადამე, ოკუე არის „საკვლიავო“ (და არა „საკუე“).

7. **ჩეშონა** „თეთრი სვანური“ (გვ. 100, 112, 116, 147). ამას მოსდევს ინფორმატორისეული სწორი განმარტება („აქ მაღალი თხმელისა და ხურმის ხეებზე მიშვებული ყოფილა თეთრი ოჯალეშის ჯიშის ვაზი. ამიტომ ამ ველს ჩეშონას ეძახდნენ“ და თვით ავტორიც 180-ე გვერდზე სახელწოდების მოტივაციას სწორად წარმოგვიდგენს: „ჩეშონა — ჩეში ყოფილა მაღლარზე“). მაშასადამე, ჩეში (ვაზის ჯიშის) → ჩეშონა. ავტორი სხვა შემთხვევებშიც ასევე მცდარად განმარტავს: **უჩაშონა** „შავი სვანური“ (გვ. 89), **კოლოშონა** „მწარე სვანური“ (გვ. 155). სამწუხაროდ, ამგვარი არასწორი განმარტებანი ავტორზე მითითებით გაპარულა ო. ქაჯაიას ფუნდამენტურ „მეგრულ-ქართულ ლექსიკონშიც“, სადაც კვითხულობთ: „**ჩეშონა** ბოტან. ვა-

ზის ჯიშია“ (ტ. 3, გვ. 301); „**უჩაშონა** — ბოტან. ვაზის ჯიშია ერთგვარი“ (ტ. 3, გვ. 761). შდრ. სწორი განმარტება: „**კოლოში** ბოტან. ვაზის ჯიშია ერთგვარი შავი ყურძნისა“ (ტ. 2, გვ. 156). საქმეგრელოში ვაზის ჯიშთა ერთი ნაწილის სახელი წარმოქმნილია ყურძნის ჯიშის ან გემოს გამომხატველი სიტყვისაგან ნათეს. ბრუნვის ნიშნის (-ში) დართვით: ჩე („თეთრი“) → ჩეში „თეთრისი (ვაზის ჯიშია. ისხამს თეთრ ყურძენს) → ჩეშონა „ჩემის ვენახი“; უჩა „შავი“ → უჩაში „შავისა“ (ვაზის ჯიშია. ისხამს შავ ყურძენს) → უჩაშონა „უჩაშის ვენახი“; კოლო „მწარე“ → კოლოში „მწარესი“ (ვაზის ჯიშია. ყურძენს მომწარო გემო აქვს) → კოლოშონა „კოლოშის ვენახი“ და სხვ. (ჭითაში → ჭითაშონა, დლუნდლუმი → დლუნდლუშონა...).

8. **ნამიკოსუ** წიგნის 136-ე გვერდზე „განმარტებულია“ როგორც „ნაკოლარი“(!). ცხადია, ლექსიკონის ავტორი ეყრდნობა ერთ-ერთი ინფორმატორის გადმოცემას, რომ აქ ამზადებდნენ კოლოებს — პატარა სურებს და ადგილსაც ამიტომ დაერქვა ნაკოსუ. მაგრამ რა ვიყოთ ნა- პრეფიქსსა და სავარაუდებელ ფუძეს შუა „ჩაკვეხბულ“ **-მი** კომპონენტს. ან რას ნიშნავს ნაკოლარი? სინამდვილეში, მიკროტოპონიმი წარმოქმნილია გვარსახელისაგან: ნიკოლა(ვა) → ნანიკოლუ „ნიკოლავას ნაცხოვრები ადგილი“ → ნამიკოლუ (დისიმილაცია: → ნ-ნ → ნ-მ) → ნამიკოსუ (ბ.-მ. თქმაში). სოფლის ოფიციალური სახელწოდება ნამიკოლავო (ნამიკოლავო პირველი — თამაკონის თემში და ნამიკოლავო მეორე — დიდი ჭყონის თემში).

9. **ოლაჭუე** ერთგან განმარტებულია როგორც „ლაჭუების (გვარია) უბანი“ (გვ. 151 თუმცა გვარისაგან უბნის სახელების საწარმოებლად მეგრულში გამოიყენება **ლე-** და **სა-** პრეფიქსები, **ო** კი — არავითარ შემთხვევაში). მაგრამ ოციოდე გვერდის შემდეგ ავტორი დასახელებული ტოპონიმის მნიშვნელობას განმარტავს როგორც „საკრეჭი, საპარსი“ (გვ. 176). ამგვარი განმარტება კი სწორია: ოლაჭუე ეწოდება წყაროსა და მინდორს კურზუს სატყეო ზონაში, სადაც, ჩვენი ინფორმატორის გადმოცემით, „კრეჭდნენ ცხვარს მთის საძოვრებიდან დაბრუნების შემდეგ. მოსახერხებელი ადგილია, კლდეში მომწყვდეული, აქვეა წყაროც“. მაშასადამე, ოლაჭუე მართლაც აღნიშნავს „საკრეჭ ადგილს“ (და არა ლაჭუების უბანს).

## ა ლ ე ქ ს ი კ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი

### „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სადაურობის საკითხისათვის (ჭერული მიმღეობები „ვეფხისტყაოსანში“)

მოქმედებითი და ვნებით გვარების მიმღეობებზე მსჯელობისას აკად. ა. შანიძე ბრძანებს: „**გამქცევი**. *გამქცევი* და *წამქცევი* ორივე ღმერთს ეხვეწებოდენ“... *გამქცევი*, ვინც *გაიქცევა*, *წამქცევი*, ვინც *წააქცევს*, მაშასადამე, „გამქცევი“ ვნებითი გვარის მიმღეობაა, „წამქცევი“ კი — მოქმედებითისა, მაგრამ ორივე ერთნაირადაა გაფორმებული.

**მიმწევი**. ზემოთ დამოწმებული ანდაზა ვაჟა-ფშაველას ასეთი სახით მოჰყავს: „*გამქცევი* და *მიმწევი* — ორივე ღმერთს ეხვეწებოდაო“... ამ შემთხვევაში *მიმწევი* ის: ვინც მიეწევა, ვინც ცდილობს, რომ მიეწიოს, მაშასადამე, პირიანი ზმნა ვნებითია“ (1. 603-604).

მოქმედებითი და ვნებითი გვარების მიმღეობების ერთი და იმავე ფორმით გამოხატვა იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა ქართული ენის **ჭერულ** (დღევანდელ — **ინგილოურ**) კილოში, რომ ეს ფორმები შემონახულია „ვეფხისტყაოსნის“ ენაში და, რაღა თქმა უნდა, ინგილოურში. განვიხილოთ ზოგი მათგანი.

1. ავთანდილი ეუბნება ტარიელს:

„მოგნახეს, გტებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუწერია, ვერ ნახეს შენი **ნახული** ვერცა ყმა, ვერცა ბერია“ (286; 291/289).

არის იკითხვისი — *მნახავი* ( უ თ) და თ<sup>1</sup>-ში *მნახელი*-ც, მაგრამ ძირითად ხელნაწერთა უმრავლესობაში იკითხება *ნახული* და, სრულიად კანონიერად, იბეჭდება ეს ფორმა. ძველ გამოცემებში (ბ ქ კარ ა ბ ჭ წ) დაიბეჭდა *ნახული*, *მნახავი* დაიბეჭდა კაკ ინ 57 გამოცემებში. ეს ფორმები მათი ბუნებრივი შინაარსით „ვეფხისტყაოსნშიც“ არსებობს: „მისსა *მნახავსა ნახული* აღარა მოეწონების“ (696; 701/699) და სხვა, მაგრამ ზემოთ დამოწმებულ კონტექსტში „ნახული“ არის „მნახავი“, „მნახელი“. ავტორი ასეთივე გაგებით ამ ფორ-

მას სხვაგანაც იყენებს. ვითომ მელიქ-სურხავის შვილის საცოლედ რომ მიიყვანეს ნესტან-დარეჯანი:

ვით მზემან, მისნი მჭვრეტელნი შექმნა თვალისა მფახველად;  
მეფამან ბრძანა: «გამხადა **ნახული** მე უნახველად,  
ღმრთისაგან კიდე ვინმე იყო კაცი ამისად მსახველად!» (1176;  
1180).

აქ იკითხვისები აღარა გვაქვს, მაგრამ ტაეპში მისი საპირისპირო უნახველად გვიდასტურებს, რომ „ნახული“ აქაც „მნახველს“ ნიშნავს. ამავე ზმნის სხვა ფორმებით ამას ადასტურებს რუსთველის მშობლიური ჰერული (რესპ. ინგილოური) დიალექტი:

„**ნანახ** მნახველი, ნახული. ემი ნანახ (ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც ჩემია, ა. ჭ.) ჰეჩმინამ არა (ამის **მნახველი** არავინ არაა); სიზმარ **ნანახ** ქალი (სიზმრის **მნახველი** ქალი)“, მაგრამ: „ჩემ **ნანახ** სიზმარ გამცხარევი (ჩემი **ნახული** სიზმარი ამხლომია)“. და კვლავ: „ე ქალ ერ ლამაზ ქალ ყოფილ, ჰეჩმინამ **ნანახ** რუმ არ ყოფილ (ეს ქალი ისეთი ლამაზი ყოფილა, რომ ასეთის **მნახველი** სრულიად არავინ ყოფილა)“ (2. 343-344).

იმევე ზმნის და-პრევერბიანი მიმღობები: „**დანანახ** დამნახველი, დანახული. ერ ლამაზ გადად ქნილ, რუმ **დანანახს** თოლ დაჰჩევი (ისეთი ლამაზი ვაჟი გამხდარა, რომ **დამნახველს** თვალი ზედ დარჩება). მაგრამ: „ეეს **დანანახ** რამდ არა დუნტაზე (ეს ქვეყანაზე **არნახული** რამეა)“ (2. 146).

საერთო ფონისათვის ვნახოთ ინგილოურის ზოგი სხვა ზმნის მიმღობაც. „**მანადღე** 1. ანთებული, მოკიდებული; 2. ამნთებელი, მომკიდებელი; 3. მოსაკიდებელი, ასანთები. „ლამფად **მანადღე** რამდ სადაა?“ (3). **დანამარხ** დამმარხავი; დამარხული. — შუთლ არ მაქ, ზმად არ მაქ, ჰეჩმინამ არ მაქ (არავინ არ მყავს), ჩემ **დანამარხ** მინ საქნელრა? (ჩემი **დამმარხავი** ვინ იქნება?); მოფ, ამოვათხრევენოთ იმი **დანამარხ** ადგილ, იქნევი ეხლაც შიგ მთელი (მოდო ამოვათხრევენოთ ის ადგილი, სადაც ისაა **დამარხული**, იქნებ ახლაც შიგ ცოცხალია).

2. რა ჭირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმინამან,  
ქაცვი ლერწამმან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამამან,  
ავთანდილ მისმან მსხენებმან ლაწვი ცრემლითა **მინა მან**,  
წვრილად უამბო ამბავი მან, მისმან **მონასმინამან** (686;  
691/689)

„მისი მონასმინა“ ანუ ტარიელის ამბის **მომსმენელი** არის ავთანდილი. ეს მიმღობაც გახლავთ ჰერული და იგი შემოუნახავს იმ კილოს მემკვიდრე ინგილოურს:

„**მანასმენ**, **დანასმენ** მსმენელი, ყურის დამგდები. — სამ ვაშლ მამცეს, ერთ შენზე მოვაქდი (II მოაქდი II მოაქონდი) (შენთვის მომქონდა), ერთ — ნალილ-ნაქნარიბე (ზღაპრის მთქმელისათვის), ერთ — **მანასმენიბე** (მსმენელისთვის); ჰაქთონ ჰყური, **დანასმენ** მინაა? (რამდენს ვყვირი, მაგრამ ყურის დამგდები ვინაა?)“ (2. 91).

ზოგი რამ კვლავ ზოგადი ფონისათვის ვთქვათ. **შეჰყრის** სხვას გარდა, „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს — „შეახვედრებს“, „შეაერთებს“: „[ღმერთმა] აღარ **შეგყარა**, გაგყარა, ხელი გქმნა ცრემლთა დადენით!“ (927; 930/931); „გვალე, **შეგყრი**, ლომო, მზესა, თავი მისკენ არე, მარე!“ (1527; 1531/1532). შესაბამისად არის მიმღობა **შემყრელი**: „[ასმათი] თქვენი **შემყრელი**, მსახური, შენგან ღირსქმნილი ხმობისა“ (896; 900/899). ვინც ვილაცას „გაჰყარეს“ ან „გაეყარა“ მისი შესაბამისი მიმღობაა **გაყრილი**, რომელიც მხოლოდ ერთხელ დასტურდება ტესტში: „იქა **გაყრილი** მიჯნური მუნამცა შევიყარენით“ (879; 883/882).

ამის ნაცვლად იხმარება **გამყრელი**: მისთა **გამყრელთა** დააზრობს (975; 978); მისთა **გამყრელთა** ნაკადი ჩასდის სისხლისა ღვარისა (1320; 1325); გამოემართა ტარიელ, **გამყრელი** ცრემლსა ღვრიდესა (1441; 1446/1447)...

რუსთველისთვის სრულიად ბუნებრივი ეს ფორმები აბნევის როგორც პოემის გადამწერებს, ისე დღევანდელ რედაქტორ-გამომცემლებს. ტარიელი ამბობს ნესტან-დარეჯანზე:

„აწ მიკვირს, **მისი გამყრელი** გული მიც კლდისა ტინისა“ (417; 422). არის ამისი ასეთი ვარიანტები: 3 ხელნაწერში — **მისი გაყრილი**, რაც ყველაზე უფრო უპრიანი ჩანს, მაგრამ 8 ხელნაწერში

იკითხება **მისი გამყრელი**, რაც, როგორც ვნახეთ, რუსთველური შე-სიტყვებაა და მას აქვს ამის ანალოგიური ტაეპი:

„მართალ-ა **შენი გამყრელი თვალი**, თუ ცრემლსა ღვრიდესა“ (1012; 1016)... ამას ტარიელი ეუბნება ფრიდონს გამომშვიდობებისას. სადავო ტაეპი ბოლო, 1988 წლის აკადემიურ გამოცემაში ასე დაიბეჭდა: „აწ მივირს, **მისსა გამყრელსა** გული მიც კლდისა ტინისა“ (417; 422/419). ამ იკითხვის მხოლოდ ერთი ხელნაწერი უჭერს მხარს. ოქმი არ არის და არ ვიცი, რით ამართლებს რედაქცია ამ იკითხვის უპირატესობას.

**3.** დათქმულ დროს მისულ ავთანდილს ტარიელი ადგილზე არ დახვდა, იგი შეშფოთებულია; ასმათი ცდილობს მის დამშვიდებას და, სხვათა შორის, ეუბნება:

„ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად სმენია:

**არა თუ კაცთა**, სასჯელი ქვათაცა **შესაძრწენია...**“ (847; 851/850).

მიმაჩნია, რომ ხაზგასული იკითხვისეტი არ ეკუთვნის პოემის ავტორს.

ა) **არა თუ**, დღევანდელი თავლსაზრისით ამ იკითხვის არაფერი სჭირს დასაწუნარი და სწორედ ეს აღძრავს ეჭვს, რატომ, საიდან გაჩნდა ეს ვარიანტები: *თუ არა არ* — , *არამთუ* — , *თვარა* და — , *თვარამარ* — უ, *თვარა არ* — თ , *თუ არ არ* <sup>1</sup>, *არა თუ* — ჩ ლქX. ძირითად ხელნაწერთა უმრავლესობა (6) „არა თუ“-ს უჭერს მხარს და აკადემიურმა გამოცემებმაც ის დაბეჭდეს [ძირითად ხელნაწერთაგან ექვსს ( შძ-ს) ეს სტროფი აკლია].

როგორც მკითხველს მოეხსენება, ნაწილაკები „თუ“ და „არ“, როგორც სხვა სიტყვებთან ისე ერთმანეთთან კონტაქტში ძალიან ხშირად გვხვდება პოემის ტექსტში: „არა თუ“ აღმოჩნდა მხოლოდ ამ- და 1564, 1569 სტროფებში, რომელთა ჩანართობაზე ცალკე მოგვიწევს მსჯელობა. ზემორე დამოწმებულ იკითხვისთაგან ავტორიდან მომდინარედ მიმაჩნია სამი ძირითადი და სანდო ( ) ხელნაწერის ჩვენება: **თუ არა არ კაცთა**: პირველ გადამწერთაგან ერთ-ერთმა **თვარა**-ს მაგიერ შეცდომით დაწერა **თუ არა**, რითაც ტაეპს მარცვალი მოემატა და სხვა იკითხვისეტიც გაჩნდა. შეადარეთ ანალოგიური

შეცდომები: „**თვარა** ვისმც ექმნა გვარლითა შეკრვა თავისა მრთელისა!“ (254; 258/257). იკითხვისეტი: *თუ არცა ვისმცა* — , *თუ არ ვისმცა* — Xd, *თუ არ ვისმც* — .

ბ) აბსოლიტურად ყველა ხელნაწერში იკითხება **შენაძრწენია** და, რა თქმა უნდა, ეს არის რუსთველისეული, ჰერულ-ინგილოური ფორმა. **შესაძრწენია** იკითხება მხოლოდ <sup>1</sup>-ში და ახალმა კომისიამ ეს მიიჩნია ავტორაფისეულად, ხოლო ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის 1966 წლის გამოცემაში დაიბეჭდა ა. შანიძის კონიექტურა — **შემაძრწენია**.

ანგარიში გაუწიეს ხელნაწერთა დაყინებულ ჩვენებას და **შენაძრწენია** დაბეჭდეს: ბროსემ, ჩუბინაშვილმა, ქართველიშვილმა, კარიჭაშვილმა, კაკაბაძემ და აბულაძემ; **შესაძრწენია** — ტიჭინაძემ, ინგოროყვამ, წერეთელმა და 1957 წ. გამოცემის რედკოლეგიამ. ხელნაწერთა ჩვენებასაც რომ თავი დავანებოთ, ვერსად წაუვალთ კითხვას: თუ პოეტის ავტორაფში ეწერა სრულიად გასაგები *შესაძრწენია* ან *შემაძრწენია*, საიდან და როგორ გაჩნდა თექვსმეტიდან ცხრა ძირითად ხელნაწერში ( ჩ ლქX), რომლებსაც ეს სტროფი შემოუნახავს. *შენაძრწენია*? ყველა გადამწესხველი ხომ ჰერი არ იყო, რომ მისი დიალექტის მიხედვით „გაემართა“ გენოსი პოეტის ტექსტი? უმრავლეს ხელნაწერთა მონაცემის დაუსაბუთებლად იგნორირება ტექსტოლოგიური პრინციპის დარღვევა და ტექსტის ავტორის შეურაცხყოფაა. დიდად სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში ასეთი დარღვევები ჯერ კიდევ ბევრია. ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება და, მე მგონია, პერსპექტიულადაც. ახლა კი მიმაჩნია, რომ განხილული ტაეპი უნდა დაიბეჭდოს ასე: „**თვარა არ კაცთა**, სასჯელი ქვათაცა **შენაძრწენია**“.

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953 წ.
2. რ. ლაშაშვიდი, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988 წ.
3. ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი, 1978 წ.

## ნ ი ნ ე ლ ი   კ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### მარაგ- სიტყვის ისტორიისათვის

ქართულში **მარაგ**- ფუძიან ომონიმურ სიტყვათა ერთ-ერთ ცალს წარმოადგენს შემდეგი მნიშვნელობის **მარაგი** „რაც მომავალში გამოყენების მიზნით არის დაგროვებული, შესანახავად გადადებული“. მაგ.: ბუნებრივი გამოყენებითი სიმდიდრე, ცოდნის მარაგი, სიტყვების მარაგი.

განმარტებით ბარგი ბარგ- იარაღი, საჭურველი, **მარაგია** (მზ. ანდრონიკაშვილი).

ჩვენი აზრით **მარაგი მარგი** || მარგებელი „სარგებლობის მომტანი, გამოსადეგი“.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით **მარგი** ასე იშლება **მ-ა-რგ-ი** (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე).

მიგვაჩნია რომ **მარგი** სასუბიექტო მიმღობაა. **მა-** პრეფიქსია, **რგ** — (რგება) კი საერთო ქართველური ძირია (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე), ხოლო ფუძეში **ა-**ს გაჩენა სემანტიკური დიფერენციაციით უნდა იყოს გამოწვეული. შდრ. მისარი და მისრე; მეჯრე და მეჯვარე; მზარდი და მზრდელი...

## ნ ი ნ ო   ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი

### ცისარტყელას აღმნიშვნელი ლექსიკისათვის ქართულში

„შეისწავლო ენა, მისი აწმყო და წარსული კულტურასა და მის ისტორიასთან კავშირში — ეს ნიშნავს, შეისწავლო ყველაზე არსებითი, ყველაზე ფასეული, რაც გვაქვს ენაში, როგორც საზოგადოებრივ მოვლენაში“ (არნ. ჩიქობავა).

ცნობილია, რომ ნებისმიერ ენაში პირობითად შეიძლება ორი ფენა გამოიყოს: მითოსური და ისტორიული. პირველი (ანუ მითოსურ-

რი) ასახავს სიმბოლოებად გარდაქმნილ გარესამყაროს, მეორე კი (ისტორიული) — შესაბამისი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის დამახასიათებელ რეალიებს აქცევს ენობრივ სინამდვილედ. „მითოსური აზროვნების“ გამოვლინება (არსებითად) — ეს არის გარესამყაროს კონკრეტულ მოვლენათა აღქმა სიმბოლური განზოგადებების სახით და მათი გარდაქმნა შესაბამის გამოხატულებებად. ენაში ხდება მითოლოგიური ტრანსფორმაცია აღრეული კოსმოგონიური წარმოდგენებისა.

ამის ნათელი მაგალითია **ცისარტყელა**: მატერიალურ სამყაროში არსებობს შვიდფერი რკალი, რომელიც ჩნდება მზის მოპირდაპირე მხარეს წვიმის წვეთებში მზის სხივების გარდატეხით. ესაა ობიექტური, რეალური მონაცემი, რომლის შესაბამისი ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარ მოტივაციას აცებული (ფორმის, ფერის და ა. შ. მიხედვით). ქართული ენობრივი სინამდვილისათვის იგი **ც ი ს   ს ა რ ტ ყ ე ლ ი ა**, „**ცისარტყელა**“ (ზან.-მეგრ. **ცაშორტყაფუ**, სვან. **დეცეშ ლარტყ** || **დეცე ლარტყ**). **ცი-სარტყელას** სინონიმებად ლექსიკონებში დადასტურებულია **მშვილდი**, **ცის მშვილდი**, **ირისე**. მაგ., სულხან-საბას „სიტყვის კონა“: „**ცი-სარტყელა** (ცისარტყელი ჩ) ცის მშვილდი... კეთილი ნიშანია მრავალგზის მისი გამოჩინება. ნ. ირისე, ცის-მშულდი...“

საგულისხმოა ნიკო ჩუბინაშვილის განმარტება: „**ცისმშვილდი** მდაბიურად ცისარტყელა, ბერძულად ირისე, ნაწვიმარზედ ღრუბელთა შორის გარდავლებული კამარა ფერად-ფერადად შემკობილი (დაბად. 9-13, 14) , “ (ნ. ჩუბინ., ქართ. ლექსიკ. რუს. თარგმანითურთ). ამ განმარტებაში „მდაბიურად“, შესაძლოა ნიკო ჩუბინაშვილი გულისხმობს არასალიტერატურო, ცოცხალ მეტყველებას, რადგანაც ბიბლიის უძველეს ქართულ ხელნაწერებში ყველგან **„მშულდი** დასტურდება: „[პრქუა უფალმან ღმერთმან ნოვეს:]... **მშულდსა** ჩემსა დავსდებ ღრუბელთა შინა და იყოს სასწაულად აღთქუმისა ჩემისა შორის ჩემსა და შორის თქუნესა. და იყოს, რაჟამს მოვავლინო ღრუბელი ქუეყანასა და გამოჩნდეს **მშულდი** იგი ჩემი ღრუბელთა შინა. და მოვიჯსენო აღთქუმაჲ იგი ჩემი...“ (დაბად. 9, 13-15).

„და ვიხილე ანგელოზი ძლიერი, გარდამომავალი ზეციით, და

ემოსა ღრუბელი, და ირისე, რომელ არს მშუკლი ცისაჲ ბერ-  
ძულებრ, იყო თავსა ზედა მისსა; და პირი მისი, ვითარცა მზე...“  
(გამოცხ. 10, 1)... და სხვ.

ხევესურულ დიალექტში ცისარტყელას „მშვილდ-ისარანი“ ეწო-  
დება: „მშვილდ-ისარან ჩამადგეს, ეტყობ, აკარებას აპირობს (შდრ.  
ა. შან.: მშვილდ-ისარანი)“ (ალ. ჭინჭ., ხევს. ლექსიკ.).

აკაკი შანიძე მთის კილოთა ლექსიკონში, რომელიც ერთვის  
დიალექტურ ტექსტებს, წერს: „მშვილდ-ისარი ჯ., მარიაშის  
სარტყელი გუდ., მთ. მოჯ., თით-ბეჭედა თ. ცისარტყელა“... იქვე:  
„მარიაშის სარტყელი გუდ., მოჯ., მარიემის სარტყელი მთ.,  
მშვილდ-ისარა ფშ., მშვილდ-ისარანი ჯ., ჯანმატში (ვევსურეთში)  
გავიგონე ცის გირკალაჲ, მაგრამ უარყოფენ“ (აკ. შან. I).

აკაკი შანიძე ხევესურულ მშვილდ-ისარანს („ცისარტყელას“  
მნიშვნელობით) წოვა-თუშურის კალკად მიიჩნევს, თუმცა შესაძლებე-  
ლია, აღნიშნული ლექსიკური ერთეულები სხვადასხვა ენაში დამოუ-  
კიდებლად იყოს დამკვიდრებული.

დავით და ნიკო ქადაგიძეების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსულ  
ლექსიკონში“, რომელიც არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობითაა  
გამოცემული 1984 წელს, ცისარტყელას შესატყვისია წოვ.-თუშ. **და-  
ლეწ ატყ-წაქი**, სადაც **დალეწ** არის ღმერთი“, **ატყ-წაქი** „მშვილდ-ის-  
რები“, ე. ი. სიტყვა-სიტყვით „ღვთის მშვილდ-ისრები“.

ცისარტყელა, როგორც ღმერთის (ანდა ცის, ანგელოზებისა და  
სხვა ზეციური არსებების თუ მოვლენების) იარაღი (მშვილდი), ნიშა-  
ნი, გზა, თალი (ან რკალი) და ა. შ. აისახება სხვადასხვა ხალხის მი-  
თოლოგიურ და რელიგიურ გადმოცემებსა და ენაში, ერის ენობრივი  
ცნობიერების შესაბამისად.

## ლ ა ლ ი ხ უ ქ უ ა

### რელიგიურ ტერმინთა ასახვა რუსულ განმარტებით და თარგმნით ლექსიკონებში

1. რუსულ მართლმადიდებლურ საეკლესიო ტერმინთა ლექსი-  
კონის მიხედვით « — » დიდი ასოთი იწერება  
ღვთისა და ღვთისმშობლის სახელები, აგრეთვე ის ნაცვალსახელები  
და ზედსართავი სახელები, რომლებიც მათ მიეკუთვნებიან. ასევე იწე-  
რება არსებითი და ზედსართავი სახელები (არსებითის მნიშვნელო-  
ბით), რომლებიც აღნიშნავენ უფალს და ღვთისმშობელს:

2. ანგელოზთა დასის აღმნიშვნელი სიტყვები იწერება აგრეთვე  
დიდი ასოთი:

ასევე იწერება იმ ჯგრის აღმნიშვნელი სიტყვები, რომელზეც მაცხოვა-  
რი იყო გაკრული:

ყველა სხვა შემთხვევაში იწერება პატარა ასოთი:

( ),  
3. ეკლესიის აღმნიშვნელი სიტყვები იწერება დიდი ასოთი:  
, აგრეთვე ეკლესიის სახელწოდებები:  
და სხვა კონფესიის ეკლესიებიც:

4. წმინდანთა დასახელებები — პატარა ასოთი:  
, ეკლესიის მთავართა ტიტულები  
და მიმართვის ფორმები — დიდი ასოთი:

- ,  
5. დიდი ასოთი: 1. ყველა საუფლო დღესასწაული: ,  
2. მარხვე-

ბის დასახელებები: 3. წმინდა წერილის წიგნების სა-  
ხელწოდებები: , 4. შვიდივე საიდუმლოს  
სახელწოდებები:

6. ეს პრინციპი ძირითადად დაცულია ძველ ლექსიკონებში: —  
დალის რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში, ჩუბინაშვილის ქარ-  
თულ-რუსულ ლექსიკონში და დარღვეულია რევოლუციის შემდგომ

გამოცემებში: უშაკოვის, ოყეგოვის და სხვა განმარტებით თუ თარგმნით ლექსიკონებში.

7. ახალ ქართულ-რუსულ ლექსიკონში, რომელიც მზად არის გამოსაცემად, აღდგენილია ზემოთჩამოთვლილი ორთოგრაფიული წესები.

**ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე**

**-ავ / -ებ / -ობ თემის ნიშანთა მონაცვლეობისათვის ქართული ენის დიალექტებში**

1. როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენის **-ებ** თემისნიშნისანი, პირველადი მასდარებისაგან ნაწარმოები (**ყოყიყებს, ყრიყრიკებს, ბარდღალებს, ტიტყინებს**) ზმნების შესაბამის დიალექტურ ფორმებში თემის ნიშნად უმეტესად **-ობ** დასტურდება. უდრ.:

| <u>სალიტერატურო</u> | <u>დიალექტური</u> |
|---------------------|-------------------|
| კაკანებს            | კაკანობს          |
| ჭიჭიკებს            | ჭიჭიკობს          |
| ცახცახებს           | ციხციხობს         |
| ჭიჭყინებს           | ყიჭინობს          |
| ჭუჭყუნებს           | ყუყუნობს          |
| ღრუტუნებს           | ღრუჩუნობს         |

სამაგიეროდ, **-ებ** თემის ნიშანი შენარჩუნებულია აქტივებისაგან პირის კლებით მიღებულ ფორმებში: **აკვარკვალეფს** (აკანკალებს), **აძანძვალეფს** (აძაგძაგებს).

2. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დიალექტებში **-ობ** თემის ნიშანი, ძირითადად, **-ებ** მაწარმოებლის ნაცვლად გამოიყენება, თუმცა ხანდახან ამ დროს სალიტერატურო ქართულშიც **-ობ** გვაქვს:

| <u>სალიტერატურო</u> | <u>დიალექტური</u>                 |
|---------------------|-----------------------------------|
| ცქვიტობს            | ცქიტურობს                         |
| ბორიალობს           | ფორიალოფს                         |
| ფხაკურობს           | ფხაკუროფს ( <b>-ობ &gt; -ოფ</b> ) |

3. საინტერესო სურათი იკვეთება სალიტერატურო ენისა და დიალექტების **ა(ვ)-ობ** და **-ობ** თემისნიშნის ფორმათა მიმართებისას:

ერთი მხრივ, სალიტერატურო ქართულში გვაქვს მხოლოდ **ა(ვ)-ობ (ჭყუმპალობს, ყურყუმალობს)**, დიალექტებში (ამავე ძირებთან) — სუფიქსი **-ობ (ჭყამპალოფს, ყურჭუმალოფს)**; მეორე მხრივ, სალიტერატურო ქართულში ფუძე მხოლოდ **-ავ** თემის ნიშნით არის წარმოდგენილი (**ფრინავს**), ხოლო დიალექტებში იგივე ფორმა **ა(ვ)-ობ** წარმოებით დასტურდება (**ფრინ-ა(ვ)-ობ-ს**). ბოლო შემთხვევაში დიალექტებმა **ა(ვ)-ობ** სუფიქსი დანიშნულებისამებრ გამოიყენეს: აქ აღნიშნული მაწარმოებლის საშუალებით გამოიხატება ინტენსიური, მრავალგზისი და რეფლექსური მოძრაობა; ისევე, როგორც ეს **ცურ-ა(ვ)-ობ-ს** ტიპის ზმნებთანაა სალიტერატურო ქართულში; უდრ.:

**ცურ-ავ-ს** (ერთგზისი მოქმედება; ასევე: „ცურვა იცის“)  
**ცურ-ა-ობ-ს** (მრავალგზისი მოქმედება; ასევე: „ამ წუთას ცურაობს“)  
 და

**ფრინ-ავ-ს** (ერთგზისი მოქმედება; ასევე: „ფრენა იცის“)  
**ფრინ-ა-ობ-ს** (მრავალგზისი მოქმედება; ასევე: „ამ წუთას ფრინაობს“)

სალიტერატურო ენაში მეორე მნიშვნელობასაც **ფრინავს** ფორმა გამოხატავს (ოღონდ ზმნისწინების მეშვეობით: და/მი/მო+ფრინავს), ხოლო დიალექტებმა კი ამისათვის ახალი, უფრო შესაფერისი ზმნა (**ფრინაობს**) აწარმოეს (რახან აღნიშნული ფორმა, ძირითადად, მეორე მნიშვნელობით იხმარება, **ფრინავს** ვარიანტი აქ აღარ დასტურდება).

რაც შეეხება **ჭყამპალოფს** ტიპის ზმნებს, ამ შემთხვევაში დიალექტებმა ეკონომია გასწიეს და ფორმას ზედმეტი **-ა (-ავ** თემის ნიშნის ნაშთი) ჩამოაშორეს. საქმე ისაა, რომ ამ **-ა**-ს მაშინ აქვს ფუნქცია, როდესაც ორი ობოზიციური წყვილი გვაქვს (**ცურა-ავ-ს — ცურ-ა(ვ)-ობ-ს**); სხვა შემთხვევაში (როდესაც არ გვაქვს საპირისპირო ცალი **\*ჭყუმპალობს, \*ყურყუმალობს**, რადგან ძირის ლექსიკური მნიშვნელობა მრავალგზისობასა და რეფლექსურობას გულისხმობს), დიალექტები ჭარბ ნიშანს (რომელიც ფორმაში ანალოგიით, პირდაპირ ყალიბში ფუძის ჩასმის შედეგად აღმოჩნდა) იშორებს. **ჭყამპალოფს, ყურჭუმალოფს** ფორმები **-ა**-ს გარეშეც გამოხატავენ მრავალგზის და რეფლექსურ მოქმედებას.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ასევე **თებზობს** ფორმა (თევზაობს). აქაც, რადგან **თევზობს - თევზაობს** დაპირისპი-



რება რეალურად ენაში არ ხორციელდება (განსხვავებით, ვთქვათ, **ციგობს — ციგაობს** ტიპის შემთხვევებისაგან), დიალექტში ზმნას ჩამოშორდა ჭარბი თემის ნიშანი.

4. **ახურია, უჭირია, აკრია** ტიპის ფორმების წარმოება უნიფიკაციის პროცესის მიმანიშნებელია. ენა უფრო შორსაც წავიდა: საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ამ მხრივ **ყივა, ჩივა, კივა, ჭყივა, ჩანა, წვანა, სძინია** ფორმები, რომლებიც თავიანთი სტატიკური შინაარსის გამო დიალექტებში სტატიკური ზმნების დარადვე გაფორმდა.

აღნიშნული მოვლენა ქართული ენის დასავლურ დიალექტებშია დადასტურებული (ლეჩხუმური, გურული...). აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში საპირისპირო ვითარებაა (თუმცა ესეც უნიფიკაციის ტენდენციით აიხსნება): როგორც ცნობილია, აქ სტატიკურ ფორმებში დამკვირდა **-ავ** თემისნიშნის წარმოება: **ასხავ, ხკიდავ, სწერავ**. მესამე სუბიექტური პირის **-ს** ნიშანი აღარ იხმარება, ალბათ საპირისპირო აქტივებთან (**ასხამს**) ომონიმის თავიდან აცილების მიზნით.

5. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე თბილისურ სასაუბრო და ინტერნეტ-ფორუმების ენაში ქართული ენის დიალექტებიდან უფრო დასავლურისათვის დამახასიათებელი ფორმებია გავრცელებული, რასაც ამ რეგიონიდან დედაქალაქში მოსახლეობის მიგრაციის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის გარდა თავად დიალექტიზმების ბუნებაც უნდა განსაზღვრავდეს, რომლებიც ექსპრესიულობითა და სხვადასხვა, მრავალფეროვანი ნიუანსების გადმოცემის უნარით გამოირჩევა. აღნიშნულ (სასაუბრო) მეტყველებაში ხშირად გვხვდება ასეთი ფორმები: **აბარძგვალეზ** (ძლიერ აკანკალეზ, აძაგ-ძაგეზ ვინმეს დანახვაზე), **იჭიფნება** (დაძაბული, მკვეთრი, აგრესიული მოძრაობები, ლაპარაკი ახასიათებს), **ტროყავენ** (უშნოდ და უხამსად ცეკვავენ) და სხვა.

ფაქტია, რომ დიალექტებში მეტად ცოცხალი, ამავე დროს ენის განვითარებითა და ენობრივი უნიფიკაციის ტენდენციით შეპირობებული პროცესები მიმდინარეობს, რომელთა შესწავლაც, საკუთრივ დიალექტურის გარდა, ბევრი სხვა, თუნდაც არაენობრივი საკითხის გარკვევაშიც მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

## პროექტი „მთის კავკასიური ენები საქართველოში“

პროექტი ხორციელდება ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული №026-08 გრანტის მეშვეობით.

### ვაჟა შენგელია

#### საგრანტო პროექტზე მუშაობის პირველი წლის შედეგების შესახებ

საზოგადოებისა და მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია თითოეული ენისა თუ დიალექტის, როგორც სამყაროს ორიგინალური მსოფლხედვის, თავისებურებების შესწავლა და სათანადო ენობრივი მასალის ფიქსირება. ეს მითუმეტეს ეხება იმ ენობრივ ერთეულებს, რომლებზეც ადამიანთა მცირე რაოდენობა ლაპარაკობს, თანაც სათანადო ენობრივი კოლექტივები მრავალენოვანია და ენობრივი კონტაქტები — ინტენსიური. აღნიშნული ენობრივი ერთეულების შესწავლა საშურია იმის გათვალისწინებითაც, რომ ბევრი ადამიანი მშობლიურ ენასა თუ დიალექტს უკვე ივიწყებს...

პროექტი ითვალისწინებს იმ მცირერიცხოვანი ენობრივი ჯგუფების მეტყველების მონოგრაფიულ შესწავლას, რომლებიც საქართველოს სამ რაიონშია გავრცელებული კუნძულების სახით. ესენია: ხელვაჩაურის რაიონის რამდენიმე სოფლის **აფხაზური** (ბათუმელ აფხაზთა მეტყველება, როგორც მას უწოდებენ), ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის **წოვა-თუშური** ანუ **ბაცბური** და ამავე რაიონის პანკისის ხეობის სოფლების **ჩინური** (ქისტური მეტყველება), ყვარლის რაიონის რამდენიმე სოფელში გავრცელებული **ხუნძური**, **ბეუიტური** (კაპუჭური) და **უდიური**. პროექტის განხორციელების შედეგად უნდა მივიღოთ ექვსი (დაახლ. 300 გვერდი მოცულობის)

მონოგრაფია, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება სათანადო ენობრივი ერთეულების ფონეტიკური სისტემის, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურის დახასიათება, სავლელ მუშაობის შედეგად მოპოვებული ტექსტობრივი მასალა და ლექსიკონი. სავლელ მუშაობა ივარაუდება სამჯერ — თითოჯერ პროექტისათვის გათვალისწინებულ თითოეულ წელს.

პროექტი გამარჯვებულად გამოცხადდა მიმდინარე წლის იანვრის ბოლოს, სერტიფიკატი გადმოგვეცა თებერვლის ბოლოს, ხოლო პირველი კვარტალისათვის დაგეგმილი სათანადო თანხა გადმოირიცხა აპრილის დასაწყისში. მიუხედავად ამისა, **პირველი კვარტალის** გეგმით დასახული ამოცანა მაინც დროულად შესრულდა. კერძოდ, შედგენილ იქნა და კომპიუტერში განთავსდა სამეცნიერო ლიტერატურის ბიბლიოგრაფია ცალ-ცალკე საკვლევი ენობრივი ერთეულების მიხედვით, აგრეთვე, ინსტრუქცია, რომელშიც განსაზღვრულია ადგილზე მასალის მოპოვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები.

**მეორე კვარტალის** გეგმის შესაბამისად, დამუშავდა ექვსივე საკვლევი ენობრივი ერთეულის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, წარმოდგენილ იქნა მისი კრიტიკული ანალიზი. სამეცნიერო ლიტერატურიდან, გამოქვეყნებული ტექსტებიდან და ლექსიკონებიდან ამოწერილია კვლევისათვის საჭირო ლექსიკური ერთეულები და ფრაზები. შევიძინეთ კომპიუტერი სათანადო აქსესუარით და ექვსი ციფრული დიქტოფონი.

**მესამე კვარტალში** გათვალისწინებული იყო სამეცნიერო ექსპედიციები ადგილზე მასალის მოსაპოვებლად, რაც განხორციელდა კიდეც, კერძოდ:

1. ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაზე დასაკვირვებლად და მასალის ჩასაწერად **7-21 აგვისტოს** (ნ. მაჭავარიანი). ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ანგისაში ჩაწერილ იქნა ციფრულ დიქტოფონზე და გრაფიკულად გაბმული ტექსტები, ლექსიკა და ფრაზეოლოგიური ერთეულები.

2. ჩეჩნური ენის ქისტურ მეტყველებაზე სამუშაოდ პანკისის ხეობის ქისტურ სოფლებში — დუისი, ომალო, ჯოყოლი, ბირკიანი... **1-16 აგვისტოს** (რ. ფარეულიძე). მოპოვებულ იქნა ტექსტობრივი და

ლექსიკური მასალა, რომელიც დაფიქსირებულია როგორც დიქტოფონით, ისე — ხელით.

3. წოვა-თუშურ (ბაცბურ) ენაზე სამუშაოდ **10-25 აგვისტოს** (ლ. სანიკიძე). დაკვირვების საგანი იყო ბგერითი მხარე და გრამატიკული მოვლენები. შემოწმდა ადრე ჩაწერილი ლექსიკური მასალა, დიქტოფონით დაფიქსირდა ტექსტები და ახალი ლექსიკური მასალა.

4. ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტზე დაკვირვება წარმოებდა ყვარლის რაიონის სოფ. თივში **15-29 აგვისტოს** (ლ. აზმაიფარაშვილი). განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ლოკალური ბრუნვების წარმოებისა და ფუნქციის საკითხებს, აგრეთვე, ზმნის ფორმათა წარმოებას, ფონეტიკურ მოვლენებს. ახალი მასალა დაფიქსირდა როგორც დიქტოფონის, ისე ვიდეოკამერის მეშვეობით.

5. ბეჟიტურ ენაზე მუშაობა მიმდინარეობდა ყვარლის რაიონის სოფლებში ჩანტლისყურესა და სარუსოში **13-28 აგვისტოს** (ნ. არდოტელი). ჩაწერილ იქნა სხვადასხვა ჟანრის ტექსტები და დარგობრივი სალექსიკონო მასალა. შემოწმდა ადრე სხვათა მიერ ჩაწერილი ლექსიკა. მასალა ჩაწერილია დიქტოფონისა და ვიდეოკამერის დახმარებით, აგრეთვე — ხელით. განსაკუთრებული დაკვირვების საგანი იყო სახელის ბრუნება.

6. უდიურ ენის მასალის მოპოვება მიმდინარეობდა ყვარლის რაიონის სოფელ ზინობიანში **13-28 აგვისტოს** (რ. ლოლუა). შემოწმდა უკვე ჩაწერილი მასალა. მოპოვებულ იქნა ახალი მასალაც (დიქტოფონითა და ვიდეოკამერით).

ექვსივე ენობრივი ერთეულის მასალა, რომელიც დიქტოფონის საშუალებით იქნა მოპოვებული, განთავსდა კომპიუტერში. დაიწყო მასალის გრაფიკული ფიქსაცია, საანალიზო ლექსიკური ერთეულები-სა და ფრაზების ბარათებზე ამოწერა.

ექვსი ენობრივი კოლექტივიდან სამში (ჩეჩნური, ხუნძური, ბეჟიტური) მშობლიურ ენას ყველა კარგად ფლობს, სამში კი ბევრმა მშობლიური ენა აღარ იცის (ეს განსაკუთრებით ახალგაზრდებს ეხება).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ექსპედიციები დაემთხვა აგვისტოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს და იმ მძიმე ვითარებას, რაც ამის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა. ამან ერთგვარად შეაფერხა სამუშაოები, მაგრამ ძირითადი ამოცანის შესრულება

მაინც მოხერხდა.

**მეოთხე კვარტალში** დასრულდება საანალიზო მასალის ბარათებზე ამოწერა.

დასასრულ, რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შენიშვნას მოგახსენებთ:

1. პროექტის მონაწილენი პერიოდულად იკრიბებოდნენ და სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ მსჯელობდნენ;
2. მუშაობის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია კომპიუტერში;
3. სამეცნიერო და ფინანსური ანგარიშები დროულად მიეწოდებოდა რუსთაველის ფონდს;
4. რუსთაველის ფონდის მონიტორინგის ჯგუფმა ოქტომბერში შეამოწმა სამუშაოთა მიმდინარეობა; შედეგი დადებითი იყო.

პროექტის მონაწილენი წარმოადგენენ მოხსენებებს, რომლებიც პროექტის თემას ეხება: ორი (ნ. მაჭავარიანი, რ. ფარეულიძე) — მთლიანად ჩატარებულ მუშაობას. ოთხი კი (ლ. სანიკიძე, ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი, რ. ლოლუა) იმ საკითხებს განიხილავს, რომლებმაც მუშაობის ამ ეტაპზე მიიქცია ყურადღება.

## ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### ბათუმელ აფხაზთა მეტყველების შესახებ. I

აფხაზური ენის განვითარების ისტორიის უკეთ გასათვალისწინებლად დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტურ მონაცემთა გამოვლენას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აფხაზური მეტყველების გამოწვლილვით შესწავლა აფხაზეთიდან გეოგრაფიულად მოწყვეტილ არეალებში.

აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური თავისებურებანი გარკვეულწილად განსხვავებულ სურათს იძლევა აფხაზეთს მოშორებულ აფხაზთა მეტყველებაში.

ამ მხრივ საინტერესოა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ აფხაზთა ენა.

აჭარის ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრები აფხაზები არიან აფხაზ მუჰაჯირთა შთამომავლები. XIX საუკუნის სხვადასხვა ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობა აფხაზეთიდან მათი გადასახლება თურქეთში.

აჭარის ტერიტორიაზე აფხაზები დასახლდნენ სხვადასხვა დროს, მოყოლებული 1862 წლიდან.

გადასახლებულ აფხაზთა გარკვეული ნაწილი, რომელიც აფხაზეთიდან გამოვიდა, დასახლდა ბათუმსა და ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ ფაქტზე მიუთითებს მრავალი საარქივო მასალა.

აფხაზ ემიგრანტთა სხვა ნაწილი, რომელიც განიცდიდა სოციალურ და ნაციონალურ შევიწროებას თურქეთში, ცდილობდა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დაბრუნებას რუსეთის მთავრობის ნებართვის გარეშე. თავდაპირველად, აფხაზები ხვდებოდნენ აჭარაში, რომ შემდეგ აფხაზეთს დაბრუნებოდნენ.

XIX ს-ის 70-80-იან წლებში ბათუმი გახდა გამაშუალებელი პუნქტი კავკასიასა და თურქეთს შორის. ყოველგვარი ნებართვის გარეშე, აფხაზები ჯგუფებად ბრუნდებოდნენ თურქეთიდან ბათუმში.

ბოლოს და ბოლოს, მრავალი ტანჯვისა და თხოვნის შემდეგ, რუსეთის მეფის იმპერიამ აფხაზებს დართო ნება, რომ ისინი დაბრუნებულიყვნენ არა აფხაზეთში, არამედ აჭარაში.

ამის შედეგად აჭარის ტერიტორიაზე შეიქმნა ოცზე მეტი სოფელი, რომლებიც დასახლებული იყო აფხაზებითა და ჩერქეზი მუჰაჯირებით. აფხაზები სახლებოდნენ ბათუმში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე (ფერია, ფეზია, ქვედა სამება, ქალთიბაური, სალიბაური, იჯადია, ახმედია, სტეპანოვკა, შუქრია, ლუფტია, ქუსიადია, ურეხი, მინდა, ანგისა, ადლია, კახაბერი), ჭოროხის მარცხენა სანაპირო (ჭარნალი, თხილნარი, ნუსრეთი, ჩერქეზლუქი, ყარაშალვარი).

თავდაპირველად აფხაზები დაფუძნდნენ ზღვის პირას. თანდათანობით აფხაზთა დიდი მასა შეჩერდა ნურეში, შემდგომში აფხაზთა სოფლის ადგილას ჩამოყალიბდა ქალაქი. აფხაზები ქალაქიდან დაიძრნენ და მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლდნენ, სოფლებში (ურეხი, სტეპანოვკა, ფერია).

ბათუმელ აფხაზთა რაოდენობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. მაგ. **გ. პალგეროვის** ცნობით, ბათუმის მაზრაში 1879 წელს ცხოვრობდა 9500 აფხაზი და ჩერქეზი, მეორე გადმოსახლების შემდეგ (1867 წ.) — 1200.

ქვემო აჭარაში, როგორც წერდა **შ. მეგრელიძე**, რამდენიმე სოფელი დასახლებული იყო მთლიანად აფხაზებით. მათი რაოდენობა მუჰაჯირობის დროს არ აღემატებდა 3 ათასს.

**გ. ძიძარას** ცნობით, აფხაზთა რაოდენობა შეადგენდა 3000 ოჯახს ან 10000 ადამიანს.

XIX ს.-ის 80-იან წლებში მოხდა აფხაზთა ახალი ემიგრაცია თურქეთში, რის შედეგადაც აფხაზთა რიცხვი აჭარის ტერიტორიაზე შემცირდა. 1886 წლის მონაცემებით, ბათუმში ცხოვრობდა 1469 ადამიანი (155 ოჯახი). **ე. ლეონის** ცნობით, აქ აფხაზებმა „შეინარჩუნეს ადათ-წესები და ენა, ზოგმა იცის რუსული, კარგად ლაპარაკობენ ქართულად და თურქულად“.

1970 წლის საკავშირო აღწერით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა რიცხვი 1361 ადამიანია, აქედან 982 მშობლიურად აფხაზურს მიიჩნევს.

ამჟამად ბათუმელი აფხაზები ცხოვრობენ ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში: ურეხი, ფერია, მნათობი, სალიბაური, ქვედა სამება, ჩელტა, ანგისა, მინდა, კახაბერი, ადლია, ჭარნალი, ასევე ბათუმში.

ბათუმელ აფხაზთა უფროს თაობას ახსოვს, რომ მათი წინაპრები აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდან გადმოსახლდნენ. როგორც მოხუცები ჰყვებიან, იმ აფხაზთა წინაპრები, რომლებიც ახლა ანგისაში, მინდასა და კახაბერში ცხოვრობენ, გადმოსახლდნენ თჰაბგნიდან (ეს ტერიტორია კელასურისა და დრანდას სამხრეთ სანაპიროზეა). ისინი თავიანთ თავს სოხუმიდან გამოსულელებს უწოდებენ („აყ ა მანგუზუ“), მეორე ნაწილი ბათუმელი აფხაზებისა, რომელიც ცხოვრობს სოფლებში ფერიაში, ურეხში, სალიბაურში, ქვედა სამებაში, ადლიაში, ჭარნალში, ჩელტაში, გადმოსახლდა მდინარე ბზიფისა და ადლერის მიმდებარე ტერიტორიიდან. ისინი თავიანთ თავს ახალწესიდან გამოსულელებს უწოდებენ (ახალწესს ყ ლარა).

ბათუმელ აფხაზთა მეტყველებას საგანგებო მონოგრაფია მიუძღვნა **ე. კილბამ** ("... ", თბ., 1983).

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ბევრ ინფორმატორს იმ სოფლების დასახელებაც კი შეუძლია, რომლებიდანაც აფხაზები აჭარაში გადმოსახლდნენ (კილბა 1983,7).

„ენობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ ბათუმელი აფხაზები ნამდვილად აფხაზეთის სხვადასხვა რაიონიდან გამოვიდნენ. მათს მეტყველებაში ძირითადად შენარჩუნებულია ის ენობრივი თავისებურებანი, რომელიც დამახასიათებელია იმ ადგილობრივთა მეტყველებისათვის, რომელსაც ისინი გამოეყვნენ.“

ის ენობრივი თავისებურებები, რომლებიც აფხაზთა სხვადასხვა რაიონის მეტყველებას ახასიათებს, ბათუმელ აფხაზთა ენაშიცაა ასახული“ (კილბა 1983, 8).

ე. კილბა განაგრძობს: „არსებული ენობრივი თავისებურებები გვაძლევს საფუძველს ბათუმელ აფხაზთა მეტყველებაში გამოვყოთ ანგისას მეტყველება (იმ აფხაზთა მეტყველება, რომლებიც ანგისასა და მის ახლო მდებარე სოფლებში ცხოვრობენ) და ფერიას მეტყველება (იმ აფხაზთა მეტყველება, რომლებიც ფერიასა და მის ახლომდებარე სოფლებში ცხოვრობენ“.

ე. კილბას დაკვირვებით, ანგისას მეტყველება აფხაზური ენის აბჟუურ დიალექტს უახლოვდება, ხოლო ფერიას მეტყველება კი აფხაზური ენის ბზიფურ დიალექტსა და აბაზური ენის აშხარულ დიალექტს (კილბა 1983, 8).

მკვლევარი აღნიშნავს, რომ მასზე ადრე ბათუმელ აფხაზთა მეტყველება საგანგებოდ არც ერთ მეცნიერს არ შეუსწავლია. იგი დასძენს, რომ რამდენიმე ფრაზა ბათუმელ აფხაზთა მეტყველების შესახებ ხ. ბლაჟბას ნაშრომში მოიძია ( . . . , 1964, 25).

ე. კილბას ნაშრომი არის შედეგი იმ საველე დიალექტური მასალის ანალიზისა, რომელიც მან 1976-1983 წწ-ში მოიპოვა.

იმ ბათუმელ აფხაზთა მეტყველება, რომლებიც ას წელზე მეტია მოწყვეტილი არიან აფხაზურ დიალექტთა გავრცელების ძირითად ტერიტორიას, იძლევა ფრიად ძვირფას მასალას აფხაზური ენის განვითარების ისტორიის შესწავლისათვის.

ცნობილია, რომ ენა ძალზე სწრაფად იცვლება, განსაკუთრებით, როდესაც განსხვავებულ ენობრივ სამყაროშია მოხვედრილი.

ჩვენი მიზანია უფრო ფართოდ განვიხილოთ ბათუმელ აფხაზთა მეტყველების თავისებურებები და ის ცვლილებები, რომლებიც აღნიშნულმა მეტყველებამ 1983 წლიდან დღემდე განიცადა.

ე. კილბას ნაშრომს ერთვის ბათუმელ აფხაზთა მეტყველების ამსახველი ძალზე მწირი მასალა, რაც, როგორც ჩანს, ნაშრომის რეგლამენტითაა გამოწვეული.

ჩვენ ვაპირებთ წარმოვადგინოთ ბათუმელ აფხაზთა მეტყველება უფრო ვრცლად ქართული სიტყვასიტყვითი თარგმანითურთ (ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები).

ჩვენს ნაშრომში წარმოდგენილი იქნება ბათუმელ აფხაზთა მეტყველების ფონეტიკური და გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები და ლექსიკონი.

პროექტის ფარგლებში 2008 წლის აგვისტოში ვიმყოფებოდით აჭარაში, სადაც ვაკვირდებოდით აფხაზთა მეტყველებას. ჩვენი ინფორმატორი იყო ფერიდე მუსტაფას ასული აცამბა, 86 წლის, ფრიად პატივსაცემი ქალბატონი, მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი. მისგან ჩავიწერეთ დიქტოფონითა და ხელით აფხაზური მეტყველების ნიმუშები: ზღაპრები, ფრაზები, ანდაზები.

ამჟამად მიმდინარეობს მოპოვებული მასალის დამუშავება.

## რ ო ს ტ ო მ ფ ა რ ე უ ლ ი ძ ე

### **2008 წელს საგრანტო თემასთან დაკავშირებით ჩატარებული მუშაობის ანგარიში**

ჩვენები ახმეტის რაიონის პანკისის ხეობაში მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან ცხოვრობენ. პანკისელ ჩეჩენთა მეტყველებას, ჩვეულებრივ, ქისტურს უწოდებენ. ქისტური წარმოდგენილია აღნიშნული ხეობის შემდეგ სოფლებში: დუისი, ჯოყოლო, ბირკიანი, ძიბახევი, ომალო, შუა ხალაწანი. ბოლო ათწლეულში ქისტები დასახლდნენ, აგრეთვე, დუმასტურში, ქვემო და ზემო ხალაწანებში, წი-

ნუბანსა და ქორეთში.

ქისტური მეტყველება ჩეჩნური ენის სხვადასხვა კილოსა და კილოკავის ნარევია. მისი ასეთი მრავალფეროვნების გამო სპეციალურ ლატერატურაში დღემდე არ არის დაზუსტებული ქისტური მეტყველების ადგილი ჩეჩნური ენის დიალექტებს შორის.

ქისტურ მეტყველებაში ორი ძირითადი კილოკავი გამოიყოფა: მაისტური (დუისური და ჯოყოლოური თქმებით) და ხილდისაროული (ომალოური თქმა). ახიელთა, მითხოელთა, ჰაჩარელთა, ინგუშთა... მეტყველება ამჟამად აღარ განსხვავდება მაისტურისაგან ან ხილდისაროულისაგან. ხეობის სხვა ქისტური სოფლები დასახლებულია მაისტელებითა და ხილდისაროელებით.

1999 წლის მონაცემებით პანკისში ცხოვრობდა დაახლოებით ექვსი ათასი ქისტი.

ქისტური მეტყველება ნახური ენებისაგან დიდი ხანია, რაც იზოლირებულია. ქართულ გარემოში ქართული ენის გავლენა ქისტურზე განსაკუთრებით გაფართოვდა მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა ქისტურ სოფლებში გაიხსნა ქართული სკოლები, ბიბლიოთეკები (თუმცა ამ ბოლო რამდენიმე წელიწადში ხეობის ყველა სოფელში ბიბლიოთეკები გაუქმდა), გავრცელდა ჟურნალ-გაზეთები, ამუშავდა რადიო-ტელევიზია. შეიქმნა ორენოვნების ჩამოყალიბების პირობები. ამ მხრივ ქისტური მეტყველება მკვეთრად განსხვავდება ჩეჩნური ენის ყველა დიალექტისაგან. ამდენად, ქისტური მეტყველების შესწავლა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც არის საინტერესო.

ნახურ ენათაგან იზოლირებულად განვითარების პირობებში ქისტურმა შემოინახა ზოგი არქაული მოვლენა (განსაკუთრებით - ფონეტიკასა და ლექსიკაში). გარდა ამისა, თვალში საცემია ინოვაციებიც, როგორიცაა, მაგალითად, კლასოვან-პიროვანი უღვლილება, რაც უცხოა ჩეჩნურ-ინგუშურისთვის. კლასოვან-პიროვანი უღვლილება ნახურ ენათაგან ჩამოყალიბდა წოვა-თუმურ ენაშიც. ქისტურსა და წოვა-თუმურში პიროვანი უღვლილების არსებობა ქართულის გავლენით არის განპირობებული.

ქისტური მეტყველების შესასწავლად პირველ რიგში შედგენილია ნახურ ენათა ბიბლიოგრაფია, რომლის ელექტრონული ვერსია-

ზე მუშაობა გრძელდება.

დამუშავებულია ქისტური მეტყველების (დიალექტის) შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა. კრიტიკულად არის შესწავლილი ნ. მარის, დ. მალსაგოვის, დ. იმნაიშვილის, ი. ალიროვის, ი. არსახანოვის, ა. მაგომედოვის, ს. გუმაშვილისა და სხვათა ნაშრომები.

ცალკეა განხილული შრომები, რომლებიც საგანგებოდ ქისტურს არ ეხება, მაგრამ, სხვა მასალასთან ერთად, საანალიზოდ მოხმობილია ქისტურის მონაცემებიც. ასეთია, მაგალითად, თ. გონიაშვილის, ა. ჭინჭარაულის, კ. ჭრელაშვილის, რ. გაგუას, ლ. სანიკიძის ნაშრომები.

"ქისტური დიალექტის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი" წაკითხულა მოხსენებად კავკასიურ ენათა განყოფილების სხდომაზე მიმდინარე წლის 8 ივლისს.

პანკისის ხეობაში მივლინების დროს ჩაწერილი ენობრივი მასალა (სიმღერები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, გაბმული მეტყველების ნიმუშები...) შეტანილია კომპიუტერში (დაახლოებით 160 კომპიუტერული გვერდი). ვვარაუდობთ, რომ 2009 წლის ბოლომდე დასაბეჭდად გავამზადოთ 400 გვერდის მოცულობის ქისტური ტექსტები.

გარდა ამისა, ჩაწერილი ტექსტებიდან ცალკე ბარათებზე ამოწერილია ქისტური ლექსიკა, ვამზადებთ მასალას "ქისტურ-ქართული ლექსიკონის" შესადგენად. ქისტურ ლექსიკურ ერთეულებთან, გრამატიკულ დახასიათებასთან ერთად, მითითებული იქნება ამ ლექსემებისაგან ფონეტიკურად, მორფოლოგიურად, სემანტიკურად განსხვავებული ფორმები სალიტერატურო ჩეჩნურში, რაც აღნიშნული ლექსიკონით სარგებლობას გაუადვილებს ქისტურით დაინტერესებულ მკითხველს. ამ მიზნით თანამშრომლობას ვაპირებთ ჩეჩნური ენის სპეციალისტებთან ჩეჩნეთში. მასალის დამუშავება ლექსიკონისთვის გრძელდება.

## ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

### სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში წოვა-თუშური (ბაცბური) ენის ერთი რიგის გარდაუვალ ზმნებთან

წოვა-თუშები, როგორც ცნობილია, კომპაქტურად ცხოვრობენ საქართველოში, ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში (მათი რიცხვი 4000-მდეა). ისინი ორენოვანი ქართველები არიან. წოვა-თუშური (ბაცბური) ქართული ენის ძლიერ გავლენას განიცდის. ინტერფერენტული პროცესები ბაცბურში ენათმეცნიერთა ყურადღების გარეშე არ დარჩენილა (ა. შიფნერი, ი. იმნაიშვილი, თ. უთურგაიძე, კ. ჭრელაშვილი, ი. დეშერევი, რ. გაგუა, დ.-ე. ჰოლისკი...), ეს საკითხი მონოგრაფიულადაც არის შესწავლილი (მ. მიქელაძე). ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს სუბიექტის-ქვემდებარის წარმოჩენა ბაცბური ენის გარდაუვალ ზმნებთან (შემასმენელთან) მხოლოდობით და მრავლობითი რიცხვის I და II პირებში, მაშინ როდესაც III პირთან სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში არ დასტურდება.

გარდამავალი ზმნის კლასოვან-პიროვანი (რესპ. პიროვანი) უღვლილებისას ზმნა სუბიექტს სამივე პირში ერგატიულ ბრუნვაში მართავს:

მხ. რ. I პ. **ას** (ერგ.) ნაჩხ დ-აყო-ს „მე ყველს ვჭამ“

II პ. **აჰ** (ერგ.) ნაჩხ დ-აყო-ჰ „შენ ყველს ჭამ“

III პ. **ოგუს** (ერგ.) ნაჩხ დ-აყო „ის ყველს ჭამს“

მრ. რ. I პ. **ათხ** (ერგ.) ნაჩხ დ-აყო-თხ

II პ. **აჰშ** (ერგ.) ნაჩხ დ-აყო-ჰშ

III პ. **ოჯარ** (ერგ.) ნაჩხ დ-აყო

პირის ნიშნები პირის ნაცვალსახელებისაგან მიიღება (ა. შიფნერი, კ. გაგუა, კ. ჭრელაშვილი), III პ.-ში პირის ნიშანი არა გვაქვს.

რაკი I და II პირები მხოლოდ ადამიანს — პიროვნებას აღნიშნავენ და მეტწილად აქტიური მნიშვნელობა აქვთ, დინამიკური, აქტიური სემანტიკის მქონე გარდაუვალ ზმნებთანაც I და II პირებში ჩნდება სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში:

ას (ერგ.) ვ-ალო-ს „მე მოვდივარ“

აჰა (ერგ.) ვ-ალო-ჰა „შენ მოდიხარ“

ათხ (ერგ.) ბ-ალო-თხ „ჩვენ მოვდივართ“

ადშ (ერგ.) ბ-ალუ-დშ „თქვენ მოდიხართ“

III პირში მხოლოდ კლასის ნიშანია წარმოდგენილი და სუბიექტი მასთან სახელობით ბრუნვაში (წრფელობითში, აბსოლუტივში) დგას: მხ. რ. ო ვალო „ის მოდის“, მრ. რ. ობი ბ-ალო „ისინი მოდიან“.

როგორც გარდამავალ ზმნებში, ისე — გარდაუვალებშიც III პ. I და II პირებს უნიშნობით (Ø-ოვანი ნიშნით) უპირისპირდება. არსებობს სხვაგვარი ასხნაც — უნიშნობა ფონეტიკური პროცესების შედეგია (მ. მაჭავარიანი, ბ. შავხელიშვილი). ორივე შემთხვევაში III პირი მაინც არამარკირებულია.

ნახური ენებიდან ინგუშურში, ჩაჩნურში და არც ჩაჩნურის ქისტურ კილოშიც, სადაც პირის ნიშნების წარმოქმნას ადასტურებენ (ი. ალიროვი, დ. იმნაიშვილი, რ. ფარეულიძე) სუბიექტი ერგატივში გარდაუვალ ზმნებთან არ შეინიშნება (არც სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში, სადაც კლასოვანი-პიროვანი (რესპ. პიროვანი) უღვლილება გვაქვს. ბაცბურში გარდაუვალ ზმნებთან სუბიექტის ერგატივში წარმოჩენას ქართულის გავლენით ხსნიან ან ქართულს ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ (ი. დეშერევი. რ. ასათიანი).

ქართული ენის დიალექტებში (გურულში, აჭარულში, ლეჩხუმურში, რაჭულში, ქვემო იმერულში, კახურში, ქართლურში, ინგილოურში, ფერეიდნულში, ჯავახურში, იმერხელში) ფიქსირებულია სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაში გარდაუვალ ზმნებთან, რაც ამ ზმნათა აქტიურ სემანტიკასთან ერთად სხვადასხვა სინტაქსური სიტუაციითაც არის შეპირობებული (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ა. კიზირია, მ. სუხიშვილი, გრ. იმნაიშვილი...).

ქართულისაგან განსხვავებით, ბაცბურში **გარდაუვალ ზმნებთან III პ. სუბიექტს მხოლოდ სახელობითში შეიწყობს**. ასეთი მართვა ბაცბურისავე ნიადაგზე აიხსნება:

პირების ფორმირებამდე სახელობითსუბიექტიანი ზოგი გარდაუვალი ზმნა კონტექსტის მიხედვით გამოხატავდა როგორც აქ-

ტიურ, ისე — პასიურ მნიშვნელობას, ამიტომ ერგატივის პარალელურად სახელობითიც გვხვდებოდა და იშვიათად ახლაც გვხვდება აქტიური მნიშვნელობის გარდაუვალ ზმნებთან: დ-ეწარ „დევნა“, ჩუ-თოჰაარ „ძილი“, დ-ოჟარ „დაცემა“, თეჰარ „ლოღვა“, დ-ადარ „დაფიცება“, თეჰარ „ნდობა“... მაგალითად:

მხ. რ. I პ. სო (სახ.) || ას (ერგ.) თეშწე „მე ვენდობი“

|| პ. ჰო (სახ.) || აჰა (ერგ.) თეშწე „შენ ენდობი“

|| პ. ო (სახ.) || ოჯუს (ერგ.) თეშწე „ის ენდობა“

III პირმა შეინარჩუნა სუბიექტი სახელობითში, როგორც I, II პირებთან შედარებით ნაკლებად აქტიურმა პირმა, რასაც III პირში პირის ნიშნის უქონლობაც განაპირობებდა (I, II პირებში გვაქვს პირის ნიშნები, შესაბამისი პირის ნაცვალსახელების ერგატიული ბრუნვისაგან მიღებული, როცა ისინი სუბიექტს ერგატივში იგუებენ).

ქართულთან ანალოგია არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ბაცბურში უპირობოდ გვაქვს ქართულთან ინტერფერენციის შედეგი.

მართალია, ნახური ენებიდან ეს მოვლენა მხოლოდ ბაცბურისთვისაა დამახასიათებელი, და ამით ის ქართულს უახლოვდება, მაგრამ იგი არც ყველა ქართველურ ენაში გვხვდება: სვანურში ერგატივი გარდაუვალ ზმნებთან არ არის გამოვლენილი.

ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ ქართული ენის თუშური დიალექტი და ფშაურ-ხევსურულ-მთიულური მსგავს ფაქტებს არ იცნობენ, თუმცა კახურში (ამ დიალექტებთან ჰქონდა უშუალო კონტაქტი ბაცბურს) ლაბილურად იგი ფიქსირებულია ენათმეცნიერთა მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სალიტერატურო ქართულში სხვა შემთხვევებშიც დასტურდება ერგატივი გარდაუვალ ზმნებთან, ოღონდ აქ რთული პროცესებია სუბიექტის ერგატივში მართვის თვალსაზრისით — განვითარებული აქტივ-პასივის პოვნიერების ფონზე.

ქართულის გავლენა თუ მისი ხელშემწყობ ფაქტორად მიჩნევა ბაცბურში გარდაუვალ ზმნებთან ერგატივის სუბიექტად ფუნქციონირების საკითხში ნაკლებად სარწმუნოა, მაგრამ სავსებით მაინც ვერ გამოვრიცხავთ.

## ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

### ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენისათვის კახეთში მოსახლე ხუნძების მეტყველებაში

განსახილველად წარმოდგენილი ხუნძური დიალექტოლოგიური მასალა მოპოვებულია სოფ. თივში (ყვარლის რ-ნი) მცხოვრები ანწუხელი ხუნძებისაგან. მოხსენება უპირატესად ემყარება მათ ცოცხალ მეტყველებაზე უშუალო დაკვირვებებს.

1. სოფ. თივის მკვიდრი ხუნძები მეტყველებენ ანწუხური დიალექტის ტოხურ და ჭადაქოლოურ კილოკავებზე. როგორც ცნობილია, ამ ორ კილოკავს შორის არსებობს რეგულარული ხასიათის ბგერათშესატყვისობანი სიბილანტებში. მაგალითად:

ა) ტოხურის არამაგარ სისინებს ჭადაქოლოურში შეესატყვისება არამაგარი შიშინები:

ტოხ. **ს** — ჭად. **შ**, ტოხ. **წ** — ჭად. **ჭ**, ტოხ. **ზ** — ჭად. **ჟ**, ტოხ. **ძ** — ჭად. **ჯ**.

ბ) ტოხურის მაგარ შიშინებს ჭადაქოლოურში შეესატყვისება მაგარი სისინები:

ტოხ **შა** — ჭად. **სა**, ტოხ. **ჩა** — ჭად. **ცა**, ტოხ. **ჭა** — ჭად. **წა**.

ამყამად სოფ. თივის ანწუხურ თქმაში შეინიშნება შემთხვევები ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავების შერევისა. ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ტოხურ მეტყველებაზე განსაკუთრებით საგრძნობია ჭადაქოლოურის გავლენა. ერთი და იმავე ტოხელი ახალგაზრდის მეტყველებაში პარალელურად შეიძლება მოვისმინოთ სიტყვები როგორც ტოხური, ასევე ჭადაქოლოური წარმოთქმით (მაგ., ვას II ვაშ „ბიჭი“, წა II ჭა „ცეცხლი“, ჯიზან II ჯიჟან „ბავშვი“, ვაჭანდი II ვაჭანჯი „მოსვლა“ და სხვა). ეს ვითარება აიხსნება იმით, რომ სოფ. თივის მცხოვრებათა უმეტესი ნაწილი ჭადაქოლოელია, ხოლო ტოხელთა რაოდენობა აქ მცირეა. ტოხურსა და ჭადაქოლოურ წარმოთქმებში არსებულ განსხვავებებს თივის მკვიდრნი, მართალია, გრძნობენ, მაგრამ არსებით მნიშვნელობას მას არ ანიჭებენ. არც თუ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ ინდივიდი ვერც აცნობიერებს ისე გადადის სიტყვის ტოხური წარმოთქმიდან მეორე წუთშივე იმავე სი-

ტყვის ჭადაქოლოურ წარმოთქმაზე, იმდენადაა ეს უკვე სამეტყველო ჩვევით განმტკიცებული.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უფროსი თაობის ტოხურ მეტყველებაზე ჭადაქოლოურის ასეთი გავლენა (რესპ. ინტერფერენცია) არ შეინიშნება. სხვაობა, რასაც ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავების შეპირისპირება წარმოგვიდგენს (შესატყვისობანი სისინა და შიშინა სპირანტებსა და აფრიკატებს შორის), დღეს სოფ. თივის მკვიდრთაგან სწორედ ხანდაზმულთა მეტყველებაშია წმინდა სახით დაცული.

ამგვარი ვითარება შეიმჩნევა სოფ. თივის ანწუხურ თქმაში. საინტერესო იქნებოდა გავცნობოდით, თუ რა პროცენტებს აქვს ამყამად ადგილი თვით დაღესტნის მკვიდრ ტოხელ-ჭადაქოლოელთა მეტყველებაში.

2. თივის ანწუხურ მეტყველებაში დასტურდება ხმოვანთა შეყრის (ჰიატუსის) შემთხვევები, რაც სალიტერატურო ხუნძურისათვის (რესპ. ჩრდილოური ხუნძურისათვის) უჩვეულოა; მაგ., **ხერეა** (I კლ.); **ხერეე** (II კლ.) „ძირფასი“, **შულეაბ** „მაგარი“, **ჭეჭეელ** „მალღები“, **კეელგუ** „ორივენი“, **ბეჟეელ** „ქვისლები“... ხმოვანთა კომპლექსები მორფემათვასაყარზე წარმოიქმნება ხოლმე, თუმცა არსებობს მათი გაჩენის სხვა გზებიც. ერთი ასეთი გზაა ბგერის დაკარგვა, მაგალითად:

ფუძისეული თანხმოვანი იკარგება ატრიბუტივში **ხალათაბ** „გრძელი“. მის პარალელურად გვხვდება **ხალააბ** ანდა **ხელეებ**: ნუჰ, ხელეებ ბუგუ „გზა გრძელი არის“. მრავლობითის ფორმაა **ხელეეელ**. ფუძისეული თანხმოვნის (**დ**) გარეშე წარმოითქმის ხოლმე აგრეთვე ზმინისართი **ხადაბ** „ქვევით“, ანუ პარალელურად შეიძლება მოვისმინოთ **ხააბ**.

ფუძისეული თანხმოვანი ჩვეულებრივ ეკარგებათ სიტყვებს **ვას** „ბიჭი“ და **მას** „გოგო“, როცა ისინი იბრუნვიან: ერგ. **ვასა** „ბიჭმა“ ( ვას-ას), ნათ. **ვასაულ** „ბიჭის“ ( ვას-ას-ულ), მიც. **ვასაიბე** „ბიჭს“ ( ვა-ას-ი-ბ-ე); ერგ. **მაალ'** „გოგომ“ ( მას-ალ'), ნათ. **მაალ'ულ** „გოგოსი“ ( მას-ლ'-ულ), მიც. **მაალ'იბე** „გოგოს“ ( მას-ალ'-ი-ბ-ე). მაგალითები: ვასა ღედებე, მაალ' ბაბაბე ქუმაქ ჰუ-ბუნ „ვაჟიშვილი მამას, ქალიშვილი დედას ეხმარება“, ვასაულ ვას



„ვაჟიშვილის შვილი (ვაჟი)“; მაალჟულ ვას „ქალიშვილის შვილი (ვაჟი)“; ბაბად ვასახიბე ჰიჩ ტჟური „დედამ ვაჟიშვილს ვაშლი მისცა“; დედედ მაალჟიბე რეტელ ბოსა „მამამ ქალიშვილს კაბა უყიდა“ და სხვა. ეს ფორმები სოფ. თივის მეტყველებისათვის ჩვეულებრივია, ხოლო სალიტერატურო ხუნძურისათვის უცხოა. მათ შესახებ ცნობები არ მოიპოვება სხვა დიალექტებიდანაც.

როდესაც სიტყვაში ორი იდენტური ხმოვანი ერთად იყრის თავს, ეს გრძელი ხმოვნის გაჩენის წინაპირობა შეიძლება გახდეს: ხაჰხ, ვჰს, აჰლჰ და სხვა.

შ. მიქაილოვის მიერ ანწუხურში დადასტურებულია I სერიის ლოკატივის **-და** ფორმანტის ან მისი **-დ-** ელემენტის ამოვარდნის შემთხვევები, მაგ., ვაცაჰსა-და (ზედმიწ. „ძმაზე“) ფორმის პარალელურად დადასტურებული აქვს **ვაცაჰსა-ა**. მიწიარალ-და-საა ფორმის გვერდით დასახელებულია **მიწიარალ-საა** „კუთხიდან“ და სხვა. იგივე მოვლენა დღეს შეინიშნება სოფ. თივის თქმაშიც, მაგ., ჰუდულასაჰსა ვიხაუნ, თუშმანასაჰსა ვიხაუნგი „მეგობრის გეშინოდეს, მტრისა ნუ გეშინია“ (ანდაზა)... **ჰუდულასა-ა-საა** ჰუდულასა-და-საა, **თუშმანასა-ა-საა** თუშმანასა-და-საა.

ლოკატივის **-და** ფორმანტი შეიძლება ამოვარდეს ნაცვალსახელური ფორმებიდანაც. ასეთ შემთხვევებში ნაცვალსახელური ფორმა თავისებურ სახეს იღებს. მას გრძელი ხმოვანი უჩნდება დაკარგული მარცვლის სანაცვლოდ:

**დისა** (I პ.) დი-და-საა, მაგ., მუნ რეზი ვუგუ დისჰ „შენ კმაყოფილი ხარ ჩემით“.

**დჰსა** (II პ.) დუ-და-საა, მაგ., დუნ რეზი ვუგუ დჰსჰ „მე კმაყოფილი ვარ შენით“.

ამოსავალი ფორმები (**დიდასაა**, **დუდასაა**) თივის მეტყველებაში თავისუფლად შეიძლება იხმარებოდნენ გრძელხმოვიან ვარიანტთა პარალელურად.

3. საყურადღებოა დიფთონგთა ცვლის შემთხვევები.

როგორც ცნობილია, ხუნძური ენის სამხრულ დიალექტებში დიფთონგთა გამარტივება (მონოფთონგიზაცია) ფართოდ გავრცელებული მოვლენაა (შ. მიქაილოვი, არნ. ჩიქოვაძე, ი. ცერცვაძე). იგი ნიშანდობლივია სოფ. თივის მეტყველებისთვისაც; მაგალითად, დიფ-

თონგთა გამარტივების შედეგად ზედსართაულ სუფიქსებში გაუჩინარებულია I და II კლასის **ვ**, **ძ** ნიშნები:

**ა ავ:** **ლჰიკა-ა** ლჰიკ-ავ (I კლ.) „კარგი“

**ა აა:** **ლჰიკა-ა** ლჰიკ-ა (II კლ.)

ანწუხურში დასტურდება აგრეთვე დიფთონგთა გამარტივების შემდეგი შემთხვევები:

**ე აა:** ლე „იგი“ (II კლ.) და, I კლასის ფორმაში იქნება და ( ლავ); **ლჰე** „აჟ“ (II კლ.) ლჰა, I კლასის ფორმა ლჰა ( ლჰავ); **ჰვე** „დაწერე!“, შდრ. ლიტ. ჰვა; **ქუნე** „ჰამე!“ ქუნა, შდრ. ლიტ. ქვანა; **ჰვე** „მოკალი!“, შდრ. ლიტ. ჰვა; **-დე** (კითხვითი ნაწილაკი) -და: **საიბ-დე** „ნეტავ რა?“, შდრ. ლიტ. საიბ-და და სხვ.

**აა** დიფთონგი უცვლელი რჩება ხოლმე ზოგ მასდარულ ფორმათა აუსლაუტში: **ჰვაა** „მოკვლა“, **თაა** „ცოდნა“, **ბუყვაა** „გახმობა“... ასევე ზოგიერთი სიტყვის ბოლოკიდურშიც, მაგ., **უტაა** „მამამთილი, სიმამრი“ (ლიტ. ვატა), **დიტაა** „დედამთილი, სიდედრი“ (ლიტ. მატა), **ბეჟაა** „ქვისლი“ (ლიტ. ბაჟა), **ჰადაა** „ამაოდ“ (ლიტ. ჰადადა)...

დიფთონგი **აა** კარგავს სრულ ხმოვან **ა**-ს, თუ ეს დიფთონგი მახვილიანი **ი**-ს უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდება: **წიმაბ** წრმაბ „ახალი“, **ვისირმათ** ვისირმათ, შდრ. ლიტ. ვასირმათ „ანდერძი“, **რუყრმათ** რუყრმათ (ქალის საკუთარი სახელია), **ჩრმასა** ჩრმასა „კაცმა“ (ერგ. ბრ.), **ჩრმასულ** ჩრმასულ „კაცის“ (ნათ. ბრ.), **გურყრმაზულ** „ქართველებისა“ გურყრმაზულ და სხვ. შესამჩნევია **აა** დიფთონგის სრული გაქრობაც ხმოვნის მომდევნო პოზიციაში: **ჩილ** „კაცები“ ჩივალ, **ჩულ** „ცხენები“ ჩუვალ...

ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმებში შეინიშნება დიფთონგისა და ხმოვნის მონაცვლეობა. მაგალითად:

**ვა II ო:** სავალა „მოვიდა“ უარყოფით ფორმაში იქნება **სოლე-ჰუ** „არ მოვიდა“; **ტვა** „წავიდა“, შდრ. უარყოფით ფორმა **ტონეჰუ** „არ წავიდა“ (შეიძლება ითქვას აგრეთვე **ტვენეჰუ**)... ასევე **ვე II ო:** **ჰვე** „მოიტანე“, შდრ. აკრძ. ფორმა **ჰოგუ** „არ მოიტანო!“ და სხვა.

4. ყურადღებას იქცევს ბოლოკიდური **ა** ხმოვნის კვეცა I სერიის ლოკატივის **-და**, **-ტა** ფორმანტებში. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ახალგაზრდების მეტყველებას ახასიათებს, მაგ., **ბაკალ-დ** „ად-

გილზე“ ( ბაკალ-და), **მუჭრუზ-დ** „მთებში“ ( მუჭრუზ-და), **ავ-ლაკალ-დ** „მინდორზე“ ( ავლაჯალ-და), **შაპარალ-დ** „ქალაქში“ ( შაპარალ-და), **გულლა-დ** ( გულლა-და): გულლად ჰაჟიმურად თანარუ „ტყვიამ ჰაჯიმურადი არ იცის“ (ანდაზა)... ნაცვალსახელებში: **დი-ტ** ( დი-ტა): ბაბად ბიშ დიტ „დედამ მითხრა მე“, **ნიჟე-ტ** ( ნიჟე-ტა): დედედ ნიჟეტ ჰიური „მამამ ჩვენ. გვკითხა“... რიცხვით სახელებში: **ანწიტ სო** „თერთმეტი“, **ანწიტ კიგუ** „თორმეტი“, **ანწიტ თაბგუ** „ცამეტი“ ( ანწი-ტა), **ყოტ სო** „ოცდაერთი“, **ყოტ კიგუ** „ოცდაორი“, **ყოტ თაბგუ** „ოცდასამი“ ( ყო-ტა) და სხვა.

ა ხმოვანი აუსლაუტში ეკვეცება დაშორებითის (ელატივის) ფორმანტსაც, მაგ., **რუყი-სა** „სახლიდან“ ( რუყი-სა), **რუნ-ო-სა** „ტყვიდან“ ( რუნ-ო-სა), **დაბა-სა** „იქიდან“ ( დაბა-სა), **შქოლალდა-სა** ან **შქოლა-სა** „სკოლიდან“ ( შქოლალ-და-სა), **ჰალტუ-სა** „სამუშაოდან“ ( ჰალტუ-სა)...

ახალგაზრდების მეტყველებაში ჰოლოკიდური ა ეკვეცება აგრეთვე ზმნურ ფორმანტს, მაგ., **ყუტი-ნ** „ჭრის“ ( ყუტი-ნა), **ჰუბუ-ნ** „აკეთებს“ ( ჰუბუ-ნა), **ჰალტი-ნ** „მუშაობს“ ( ჰალტი-ნა) და სხვა.

## ნოდარ არდოტელი

### ჰიატუსის საკითხისათვის ბეჟიტური ენაში

ცნობილია, რომ ბეჟიტური ენის ფონოტაქტიკისათვის ჰიატუსი ნიშანდობლივი არ არის. ხმოვანთა თავყრა არც მის ახლომონათესავე ენათათვის არის დამახასიათებელი.

ბეჟიტურ ენაში ჰიატუსის სუპერაცია ხდება ინტერვოკალურ პოზიციაში სონანტებისა (**ფ, ჟ**) და ლარინგალური აბრუპტივის (**ც**) ჩართვით, მაგ.: **იფო** „დედა“, **ჰინ-ამუ** „ნაცარი“, **ყოჟა** „ბავშვი“, **ბუჟალ** „კეთება“, **შოჯა** (ჰუნზ., შდრ. ბეჟ. შოალ "იდ.") „დავიწყება“ და სხვა მისთ.

გარდა ზემომოყვანილი ნიმუშებისა, დასტურდება ისეთი მაგალითებიც, რომლებშიც ჰიატუსი დაძლეული არ არის. ერთმანეთის

მიჯრით ორი ხმოვნის პოვნირება უფრო მეტად ბეჟიტური ენის ჰუნზიბურ დიალექტს ახასიათებს და გვხვდება როგორც ძირეულ მორფემებში, ისე მორფემათა მიჯნაზეც, მაგ.: **მინ** „დასველება“, **ბოორ** „ერთგვარი წინდა“, **ბოგალაშ** „მომწუხრი“, **ინშეარტო** „ახლახან“, **ზა-იფაბ** „ავადმყოფი“, „სუსტი“, **ნაიბ** „ნაიბი“, **სიყეა<sup>5</sup>ყუ** (< ქართ. ციყვი + ა<sup>5</sup>ყუ „თავი“) „ციყვი“ და ა. შ.

ჰიატუსი მეტწილად თავს იჩენს ნეოლოგიზმებში, მაგ.: **რადიო** „რადიო“, **პოეზ(დ)** „მატარებელი“, მილიციანერ „მილიციონერი“, **სო-ციალიზმ** „სოციალიზმი“...

შეინიშნება მეტად საინტერესო მოვლენა ისეთ სახელებში, რომლებშიც ერთმანეთის მიმყოლ ნაზალურ ხმოვანთა სუპერაცია არ ხდება. ეს შეპირობებული ჩანს ინტერვოკალურ პოზიციაში ნაზალური ელემენტის არსებობით. რაც შეეხება ოდინდელი რედუცირებული ნაზალური თანხმოვნის ნაზალურობის კოფეციენტის დადგენას, მას ექსპერიმენტული კვლევა-ძიება სჭირდება. ნაზალიზაცია, როგორც ჰარბი არტიკულაციური მოვლენა, ერთგვარად ჰიატუსის სუპერაციას ახდენს, მაგ.: **ტუნა** „ბაბუაწვერა“, **წანა** „შვილი“ (მშვილდ-ისრისა, აკვნისა), **პანდა** „გუგულის ხმიანობა“ და მისთ.

მ. ხალილოვის ბეჟიტურ-რუსულ ლექსიკონში (1995) გვხვდება ისეთი ფორმები, რომლებსაც ინტერვოკალურ პოზიციაში ხმოვანთგამყარად ორი **ფ** აქვთ, მაგ.: **ჰაფფო** „მრუდი“, **თუთაფფა** „ალუმინის ფერი“, **დიფფათ** „ბრალი“, **ღაფფა** „დახეული“, **ბაფფა** „ლაქა“...

თუ ანალოგიურ მაგალითებს გენეზისის თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ მეორე **ფ-ც (ფ < რ)** რეკონსტრუირდება (სოფა < სორფა 1. „ცხენი“, 2. „ტალა“...), თუმცა სინქრონიულ დონეზე ან ასე უნდა ჩაიწეროს **სოფა**, ანდა ასე **სოფა**. ინტერვოკალურ პოზიციაში ორი **ფ-ს** რეალიზაცია ნაკლებად სავარაუდოა.

ჰიატუსი უფრო მეტად ახასიათებს საქართველოში წარმოდგენილი ბეჟიტური ენის სარუსოსა და ჩანტლისყურის მეტყველებას, რაც გამოწვეული უნდა იყოს ინტერფერენციული პროცესების მოქმედებით, კერძოდ, ჰიატუსის მქონე ქართული ენის ზეგავლენით, მაგ.: **სოფ.** სარუსოს მეტყველებაში გვხვდება **კორია** (შდრ. ბეჟ. **კოფა** < **კორფა** "იდ.") „ბეჭედი“, **ბუა** (შდრ. ბუნზ. **ბუჟა**, ბეჟ. ბუჟალ "იდ.") „კეთება“, „გაჩენა“ და მისთ.

**ინტენსიური თანხმობებისა და აბრუბტივების შესახებ უდიურ ენაში**

2008 წლის 13 აგვისტოდან 28 აგვისტომდე ჩვენ სამეცნიერო მივლინებით ვიმყოფებოდით სოფელ ოქტომბერში (ზინობიანში). მივლინება განხორციელდა საგრანტო პროგრამით „მთის კავკასიური ენები საქართველოში“ და მიზნად ისახავდა მასალის შეგროვებასა და ფონეტიკური სისტემის ზოგიერთი საკითხის შემოწმებას სავლეთ პირობებში.

**ინტენსიურ თანხმობათა საკითხი.** სამეცნიერო ლიტერატურაში გამოითქვა ორი განსხვავებული მოსაზრება ინტენსიურების შესახებ.

ვლ. ფანჩვიძის, ევგ. ჭეივანიშვილის და ვ. გუკასიანის აზრით, უდიურს მოეპოვება შიშინა აფრიკატების და შისინა სპირანტების ინტენსიური (მყოვარი) კორელატები: **ჯა ჩა ჭა ჟა შა** (ფანჩვიძე 1949; ჭეივანიშვილი 1971; გუკასიანი 1963; მისივე 1965). ვ. გუკასიანი მათ რიგს უმატებს სისინა აფრიკატ **წა** -ს (გუკასიანი 1963;1965). ვლ. ფანჩვიძე ამ ბგერებს შემდეგ სიტყვებში აფიქსირებს: **შაუმ** „პური“, **ჟაე** „ქვა“, **შაღდესუნ** „ადუღება“, **ჭაოჭა** „წითელი“... (ფანჩვიძე 1940, 706); ვ. გუკასიანი — შემდეგ სიტყვებში: **ეაშა** „ვაშლის ხე“, **ოჯაულ** „კული“, **კონჯაუნ** „პატრონი“... (გუკასიანი 1963,85); ევგ. ჭეივანიშვილთან გვაქვს: **შაუ** „ღამე“, **ბაჩა** „ასი“, **აჩაი** „დაკარგული“ „დამალული“, **ყაჭა** „ტკივილი“ **ჭაბ** „გამქრალი“... (ჭეივანიშვილი 1971,14).

ა.დირი აღნიშნავს მხოლოდ **შა** -ს (დირი 1904,2).

განსხვავებული მოსაზრება ინტენსიურების შესახებ უდიურში, ბ. გიგინეიშვილმა გამოთქვა. მისი აზრით, სამეცნიერო ლიტერატურაში მყდერი ინტენსიურების **ჟა შა** პოსტულირება (ასეთი ბგერები არც ერთ იბერიულ-კავკასიურ ენაში არ გვხვდება!) და ინტენსივობის კორელაცია ერთ ლოკალურ რიგში (შიშინათა) ეჭვქვეშ აყენებს ინტენსიურთა მთელი რიგის კვალიფიკაციას. მათი „ინტენსივობა“, ბ. გიგინეიშვილის აზრით, მთელ რიგ შემთხვევებში, გამოწვეულია ფარინგალიზებული ხმოვნებთან მეზობლობით (გიგინეიშვილი 1977, 61-63).

ბ. თალიბოვი იზიარებს ბ. გიგინეიშვილის მოსაზრებას (თალიბოვი 1980,181).

მივლინებისას ჩვენ გადავამოწმეთ ის სიტყვები, სადაც, მკლევართა აზრით, ინტენსიური თანხმობები უნდა გვქონოდა. ჩვენი დაკვირვებით, „არაინტენსიური“ და „ინტენსიური“ შიშინა თანხმობები გამოითქმის ერთნაირად, ანუ დღესდღეობით ზინობიანის მეტყველებაში თანხმობათა დაპირისპირება ინტენსიურობის და არაინტენსიურობის მიხედვით არ შეინიშნება.

ევგ. ჭეივანიშვილს ინტენსიურების ფონემურობის საილუსტრაციოდ მოჰყავს შემდეგი მაგალითები: **შაუ** „ღამე“- **შუ** „ვინ“, **ბაჩა** „ასი“- **ბაჩ** „ქვევრზე დასაფარებელი ქვა“, **აჩაი** „დაკარგული“ „დამალული“, **აჩი** „თამაში“, **ყაჭა** „ტკივილი“- **ყაჭ** „ვიწრო“, **ჭაბ** „გამქრალი“- **ჭაბ** „ვაზი“ (ჭეივანიშვილი 1971,14). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ მაგალითზე ინფორმანტებისგან შემდეგი განმარტება მივიღეთ — ეს ერთი და იგივე სიტყვებია, ოღონდ თითოეულს ორი მნიშვნელობა აქვსო.

სპეციალისტთა ჩანაწერების შედარებისას, ან, მით უფრო ერთი მკვლევრის მასალებში, თვალშისაცემია ერთი და იმავე სიტყვის განსხვავებულად ჩაწერის ფაქტები: ზოგან ინტენსიურით, ზოგან კი არაინტენსიურით, მაგ.: ევგ. ჭეივანიშვილის მონოგრაფიაში „უდიური ენა“, **იჟა** (გვ. 22) — **იჟ** (გვ. 208, 249) „თოვლი“, **ჟაოლ** (გვ. 214) — **ჟოლ** (გვ. 33, 78) „საცობი“, **უჭა** (გვ. 22) — **უჭ** (გვ. 217, 254) „თაფლი“, **კაჭაი** (გვ. 28, 219) — **კაჭი** (გვ. 255) „ბრმა“, **ჭაოჭაა** (გვ. 220, 258) — **ჭაჭა** (გვ. 32) „წითელი“.

ისტორიულად, უდიურისთვის, ინტენსივობის მიხედვით დაპირისპირება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო. სავარაუდოა, რომ კავკასიის ალბანურში კორელაცია ინტენსიური-არაინტენსიური გვქონდა არა მხოლოდ შიშინათა რიგში, არამედ სისინათა რიგშიც (ლოლოა 2008).

**აბრუბტივთა საკითხი.** აბრუბტივთა შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა.

ზოგი მკვლევრის აზრით, უდიურს მხოლოდ სამი აბრუბტივი მოეპოვება: **ქ წ ჭ** და სამი პრერუბტივიც: **ქ ჳ თ** (დირი 1904; კარბელაშვილი 1935).

ვლ. ფანჩვიძე, ევგ. ჯეირანიშვილი და ვ. გუქასიანი თვლიდნენ რომ უდიდესი ენის ფონოლოგიური სისტემა არ იცნობს პრერუპტივებს და მასში მხოლოდ აბრუპტივებია წარმოდგენილი: **ბ ტ კ ყ წ ჯ** (ფანჩვიძე 1949; ჯეირანიშვილი 1971; გუქასიანი 1963; მისივე 1965).

ბ. თალიბოვის აზრით კი, ვართაშნულ კილოში აბრუპტივთა დეგრადაციისა და პრერუპტივებში გადასვლის პროცესი დასრულებულია, ხოლო ნიჯის დიალექტში — დასრულების სტადიაშია (თალიბოვი 1974; მისივე 1980).

მოგვიანებით, ვ. გუქასიანმა გაიზიარა ბ. თალიბოვის მოსაზრება (გუქასიანი 1973).

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ბ. თალიბოვის მოსაზრებას ვართაშნულ კილოში აბრუპტივთა სრული დეგრადაციის შესახებ. ჩვენი დაკვირვებით, აფრიკატები **წ** და **ჭ** მკვეთრად გამოითქმის, ხოლო **ყ კ ბ** და **ტ** ბგერები შესუსტებული ჩანს, მაგრამ, არა იმდენად, რომ პრერუპტივებად მივიჩნიოთ, თუმცა ჩვენი აზრით, ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მხოლოდ ექსპერიმენტითაა შესაძლებელი.

## ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი

### ენობრივ შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონი

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაფინანსებულ პროექტზე, რომლის მიზანია ენობრივ შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონის შექმნა. ლექსიკონი განთავსდება ვებგვერდზე და მოემსახურება მომხმარებელთა ფართო წრეს: ჟურნალისტებს, პედაგოგებს, აბიტურიენტებს და სხვ.

ლექსიკონს აქვს ძიების ორგვარი საშუალება: მოხმარებელს შეუძლია აკრიფოს მისთვის საინტერესო ფორმა და მიიღოს ინფორმაცია მისი ენობრივი სისწორის შესახებ ან ანბანთრიგზე აირჩიოს ნებისმიერი ასო და მიიღოს შესაბამისი ჩამონათვალი. მიღებულ შეთავაზებებში არის ორი სვეტი: **შეცდომა** და **სწორია**. თითოეულ სტრიქონში პარალელურად ჩაწერილია ამა თუ იმ ფორმის სწორი და მცდარი ვარიანტები. ამ ფორმათა ნახვის შემდეგ შესაძლებელია შესვლა შიგა ფანჯარაში, რომელშიც მოცემულია კომენტარი (გრამატიკული წესი) და წარმოდგენილია შესაბამისი ილუსტრაციები.

შეცდომები დაყოფილია ტიპებად: მორფოლოგიური, სინტაქსური, სტილისტიკური, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური. ძებნა შესაძლებელია შეცდომათა როგორც ყველა, ისე რომელიმე ტიპის მიხედვით.

მასალის მოსაპოვებლად გამოვიყენეთ მასმედიის ენა და აბიტურიენტთა ნაშრომები. მონაცემები სტრუქტურირებულია და განთავსებულია X -ის ფაილებში, რომელთა საფუძველზედაც იქმნება მონაცემთა ბაზა.

ბაზაში მონაცემები განთავსებულია ლექსიკონის სტრუქტურის შესაბამისად, კერძოდ, შემდეგ ფაილებში: 1. მცდარი წინადადება, რომელშიც მონიშნულია შეცდომა; 2. წინადადების სწორი ვარიანტი; 3. შეცდომის ტიპი; 4. გასაღები სიტყვები, რომლებიც აკავშირებენ მომხმარებლის მიერ აკრეფილ სიტყვებს (მასდარებს ან სახელობითი ბრუნვის ფორმებს) ამა თუ იმ სიტყვაფორმასთან; 5. კომენტარის

კოდი; 6. კომენტარის ტექსტი; 7. შეცდომის სალექსიკონო ერთეული; 8. სწორი ვარიანტის სალექსიკონო ერთეული.

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში არის ორი ან მეტი შეცდომა. ასეთ შემთხვევაში ბაზაში კეთდება ორგვარი მონიშვნა. კერძოდ, ერთი არის მთავარი შეცდომა, რომელიც მომხმარებელს აინტერესებს. ეს შეცდომა და მისი შესაბამისი სწორი ვარიანტი აქცენტირებულია, კომენტარი და ილუსტრაციები მოცემულია მის შესახებ, სხვა (მეორეული) შეცდომა კი მონიშნულია იმგვარად, რომ მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს იგი და მიიღოს შეთავაზების ის ვარიანტი, სადაც ეს შეცდომა არის მთავარი და მას ახლავს შესაბამისი კომენტარი და ილუსტრაციები.

## ას მ ა თ პ ა პ ი ძ ე

### სინტაქსურ შესიტყვებათა მოდელირების საკითხები ენობრივ შეცდომათა ელექტრონულ ლექსიკონში

ენობრივ შეცდომათა ელექტრონულ ლექსიკონში სინტაქსურ შეცდომებს ცალკე განყოფილება აქვს დათმობილი და ეს არის სინტაქსურ პრობლემათა ლექსიკოგრაფიულად წარმოდგენის პირველი ცდა ქართულ სინამდვილეში.

არსებული მასალიდან, რომელიც აბიტურიენტთა ნაწერებისა და მასმედიის ენის ბაზაზეა შექმნილი, გამოიყო და გაანალიზდა სინტაქსურ დარღვევათა ყველაზე გავრცელებული შემთხვევები. იმის გათვალისწინებით, რომ არაერთ სინტაქსურ საკითხზე ენობრივი ნორმა ჯერჯერობით არაა შემუშავებული, სალექსიკონო ერთეულებად ამჯერად გამოვიტანეთ მხოლოდ ძალიან აშკარა დარღვევები ან ისეთები, რომელთა შესახებაც უკვე არსებობს ნორმა. პარალელურად, შეიქმნა ერთგვარი ბანკი, რომელიც, ჩვენი აზრით, მოსაგვარებელ საკითხებს მოიცავს და რომელთა მოწესრიგება სწორმეტყველების თვალსაზრისით ახლო მომავლის საქმეა.

სალექსიკონო ერთეულებად გავიტანეთ არა კონკრეტული შე-

მთხვევები, არამედ ტიპობრივი კონტრუქციები, — დარღვევის თითო ტიპზე თითო კონსტრუქცია სწორი და არასწორი ვარიანტებით. მათთან პროგრამულად არის დაკავშირებული შეცდომის ამსახველი დადასტურებული წინადადებები და მათი სწორი ვარიანტები. ყველა შემთხვევას მოჰყვება კომენტარი, რომელშიც შეძლებისგვარად მარტივად და მოკლედ არის განმარტებული შეცდომის არსი და მოცემული რეკომენდაციის საფუძველი.

მაგალითად, თანხმომავანფუძიანი ზედსართავი სახელის ან მიმღობის საზღვრულთან ბრუნვაში შეთანხმების საკითხები 5 ჯგუფად არის წარმოდგენილი, კერძოდ, განხილულია, როგორ ხდება ეს: 1. მოთხრობით ბრუნვაში, 2. მიცემითში, 3. ნათესაობითში, 4. მოქმედებითში, 5. ვითარებითში. ერთ-ერთი კომენტარის ნიმუში:

მთუ მსაზღვრელად თანხმომავანფუძიანი ზედსართავი სახელი ან მიმღობაა, მოთხრობით ბრუნვაში (დაბოლოება -**მა**) მსაზღვრელს ბრუნვის ნიშანი სრულად აქვს შენარჩუნებული. სწორია: **კარგმა წიგნმა** და არა *კარგ წიგნმა*; **აშენებულმა სახლმა** და არა *აშენებულ სახლმა*.<sup>რ</sup>

შესაბამისად, სალექსიკონო ერთეულად გატანილი იქნება **კარგ წიგნმა** თავისი სწორი ვარიანტით. მას დაუკავშირდება ყველა ის წინადადება, რომლებშიც ამ ტიპის შეცდომა გვაქვს დაფიქსირებული. იქვე წარმოდგენილი იქნება მართებული ვარიანტებიც.

ამგვარადვეა წარმოდგენილი მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობის სხვა პრობლემები, ქვემდებარე-დამატებათა შემასმენელთან რიცხვში შეთანხმებისა და ბრუნვაში მართვის საკითხები, წევრ-კავშირებისა და მათთან სინტაქსურად დაკავშირებული წევრების ურთიერთობის პრობლემები, თანდებულთა გავრცელებული აღრევის შემთხვევები, დროში თანამიმდევრობის აღრევის ტიპობრივი საკითხები და ა. შ.

სალექსიკონო საკითხთა სია ვრცელია, საკმაოდ დიდია საანალიზო მასალაც. ელექტრონული ლექსიკონის ერთ-ერთი ღირსება ისაა, რომ მისი განახლება და მასალის დამატება იოლია. ამიტომ თუკი წარმოდგენილი ვერსია მისაღები აღმოჩნდება მომხმარებლისთვის, მასზე მუშაობის გაგრძელება სასურველი იქნება.

**სტილისტიკური დარღვევა-უზუსტობანი ენობრივ შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონის ერთეულებად**

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი ნაშრომი მიეძღვნა სტილისტიკურ უზუსტობათა ანალიზს, ამ ტიპის დარღვევები პრესის ფურცლებზე გამართული დისკუსიების თემაც ხშირად გამხდარა, მაგრამ სიტყვათმმარების ვრცელი ლექსიკონი ჯერჯერობით არა გვაქვს. დღესაც საჭირო და შეუცვლელია 400-ერთეულიანი სალექსიკონო მასალა — „სიტყვა და კონტექსტი“, რომელიც „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეშვიდე წიგნად 1985 წელს დაიბეჭდა. ასევე დიდ სამსახურს უწევს ჟურნალისტებსა და დაინტერესებულ მკითხველებს 2002 წელს გამოსული „ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი“. ერთიცა და მეორეც უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, ამგვარი გამოცემების საჭიროება კი აშკარაა.

სარეკომენდაციო ლიტერატურის მომხმარებელთა წრეს საგრძნობლად გააფართოვებს კომპიუტერული ტექნოლოგიის გამოყენება. ენობრივ შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონი, რომელიც ახლა იქმნება, იქმნება არა მარტო ჟურნალისტებისა თუ პედაგოგებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისაც კულტურულ კომუნიკანტად ჩამოყალიბება სურს, ვინც იცის, რომ საქმიანობის ყოველ სფეროში წარმატების გასაღები წარმატებული ურთიერთობაა, რასაც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვნად განაპირობებს ენის ცოდნა — მართლწერა და მართლმეტყველება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსიკონის მომხმარებელთა ცოდნის დონე და მზაობა ერთნაირი ვერ იქნება, ამიტომ ახალ ცოდნასთან მისასვლელად მარტივი გზები უნდა მოგვეძებნა.

ერთმანეთის გვერდით მოცემული მცდარი და მართებული სალექსიკონო ერთეულების შედარება რთული ამოცანა არავისთვის არ იქნება, მით უფრო, რომ ისინი კონტექსტებითაა წარმოდგენილი. მაგრამ ლექსიკონის აგებულება ითვალისწინებს შეცდომა-უზუსტობათა კომენტირებას, რამაც გადაგვაწყვეტინა, მომხმარებელი პირობი-

თად ორ ჯგუფად დაგვეყო. შესაბამისად, კომენტარების ტექსტებს პოპულარული ენით წარმოვადგენთ, თუმცა ფრჩხილებში მეორე ჯგუფის მომხმარებელთათვის შესაბამისი ლინგვისტიკური ტერმინებიც მოგვყავს. ვფიქრობთ, ამ გზას შემეცნებითი მნიშვნელობაც ექნება, დაკვირვებული მომხმარებელი ფრჩხილებში ჩაწერილი ტერმინების არსშიც მალე გაერკვევა.

გთავაზობთ კომენტარის ნიმუშს, რომელიც უმართებულო შესიტყვებებს უკავშირდება:

„სიფრთხილე გგმართებს სიტყვების დაწყვილებისას, რადგან ენაში ნებისმიერი ორი სიტყვის დაკავშირებით მართებული შესიტყვება არ იქმნება. სწორად მეტყველებისათვის არა მარტო გრამატიკული წესების ცოდნაა საჭირო, არამედ იმისა, კონკრეტული სიტყვა რომელ სიტყვას შეიძლება დაუკავშირდეს და რომელს — არა. ზოგჯერ ერთი და იმავე შინაარსის გამოსახატავად კონკრეტული სიტყვა სხვადასხვა სიტყვასთან ქმნის მართებულ წყვილებს. ასევე მნიშვნელოვანია ამ მართებულ წყვილთა შორის დასაშვები და უმჯობესი ვარიანტების განსაზღვრა.

ყველაზე უჩვეულო სიტყვათშეხამებებს სპორტულ ჟურნალ-გაზეთებში ვხვდებით. მართებულია: **ბურთის ფარიდან ჩამოხსნა ან მოხსნა** და არა მოხსნის გაკეთება; **მოწინააღმდეგის გადაცემის ჩაჭრა** და არა ჩაჭრის გაკეთება; **შეყოვნება** და არა ყოვნის გაკეთება; **ქულის მოპოვება, ქულების მოგროვება** და არა ქულების გაკეთება; **პასის მიწოდება ან ჩაწოდება** და არა პასის გაკეთება.“

სტილისტიკური დარღვევა-უზუსტობებისათვის ლექსიკონში გამოყენებულია მცდარი/სწორი და დასაშვები/უმჯობესი ვარიანტები.

მოხსენებაში წამოდგენილია მასმედიის ენასა და აბიტუარიენტთა ნაშრომებში გამოვლენილ სტილისტიკურ დარღვევათა ანალიზი.

## ლია ბაკურაძე

### პუნქტუაციურ შეცდომათა ასახვის პრობლემები ელექტრონულ ლექსიკონში

ენობრივ შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონი სხვა ტიპის შეცდომებთან ერთად ითვალისწინებს პუნქტუაციური შეცდომების წარმოდგენას და ამ გზით სწორად წერის სწავლებას.

პუნქტუაციური შეცდომები სამი ძირითადი ტიპისაა:

1. აკლია სასვენი ნიშანი;
2. ზედმეტია სასვენი ნიშანი;
3. ერთი სასვენი ნიშნის ნაცვლად წერია მეორე.

სამივე შემთხვევა ელექტრონული ლექსიკონისათვის ერთი მახასიათებლით წარმოვადგინეთ: **წინადადებაში არ არის გამოყენებული შესაბამისი სასვენი ნიშანი.**

მონაცემთა ბაზაში პუნქტუაციური შეცდომების სალექსიკონო ერთეულებს ერთვის კომენტარი (როდის, რა შემთხვევაში იწერება ესა თუ ის ნიშანი). თითოეულ კომენტარს მინიჭებული აქვს შესაბამისი კოდი.

განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის პუნქტუაციური შეცდომებისათვის სალექსიკონო ერთეულის შერჩევის საკითხი. პუნქტუაციის წესების შესახებ საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ლექსიკონის ფორმით ამგვარი დარღვევები ჯერ არ აღწერილა. ჩვენი აზრით, პუნქტუაციური შეცდომების ზოგადი ტიპის წარმოსადგენად შეიძლება ნეიტრალური წინადადებების (მოდელების) შექმნა. ჩვენს შემთხვევაში სალექსიკონო ერთეულად გამოტანილი არის ამგვარ წინადადებათა არასწორი და სწორი ვარიანტები.

ამგვარად მოწესრიგებული მონაცემთა ბაზის საფუძვლზე ლექსიკონი ადვილად მოსახმარი ხდება ყველასათვის. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს ესა თუ ის სასვენი ნიშანი და მიიღოს ინფორმაცია მისი არასწორი თუ მართებული გამოყენების შესახებ. არჩეულ სასვენ ნიშანზე დაწკაპუნების შემდეგ გამოჩნდება სალექსიკონო ერთეულები. ნებისმიერ მათგანზე დაწკაპუნების შემდეგ კი შესაძლებელია კონკრეტული კომენტარის ნახვა, რომელსაც მოსდევს ამ ტიპის შეცდომები და მათი გასწორებული ვარიანტები.

კომენტარები შედგენილია ისე, რომ ადვილად გასაგები იყოს იმათთვისაც, ვისთვისაც გრამატიკული ტერმინები უცხოა.

იმის მიუხედავად, რა არის მომხმარებლის მიზანი: უკვე შექმნილი ტექსტის გადამოწმება თუ უბრალოდ ამა თუ იმ სასვენი ნიშნის გამოყენების წესში გარკვევა — იგი ადვილად შეძლებს ლექსიკონის მოხმარებას და სასურველი ინფორმაციის მიღებას.

## ნინო ჭუმბურიძე

### კომპოზიტების ორთოგრაფიასთან დაკავშირებული საკითხები ქართული მასმედიის ენის მიხედვით

ქართული მასმედიის ენაში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება კომპოზიტების უმართებულო დაწერილობა. ორი ფუძის შეერთებით მიღებული ერთცნებიანი კომპოზიტები გვხვდება დეფისით: კეთილ-განწყობილი, გულ-გატეხილი, იაფ-ფასიანი, ანგარიშ-გასაწვევი... ან ცალ-ცალკე დაწერილი: ღვთის მსახურება, დრო გამოშვებით, დედა აზრი... დეფისით გვხვდება კომპოზიტები, რომლის პირველი წევრი ქართული ან უცხო ენიდან შემოსული პრეფიქსოიდია: თანა-კლუბელი, არ-არსებული, ექს-პრეზიდენტი, მინი-მოედანი, ანტი-რუსული...

ამის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ხდება სხვა ენათა ორთოგრაფიის წესების გადმოტანა ქართულში. ინგლისურში, მაგალითად, დეფისის გამოყენების განსხვავებული წესები მოქმედებს. დეფისით იწერება ორფუძიანი ზედსართავი სახელები, როგორცაა ბლუე-ეიჯდ (ლურჯთვალა), ბროკენ-ჰეარტედ (გულგატეხილი)... მსაზღვრელ-საზღვრულით შედგენილი კომპოზიტები: ბლოწერ-ბედ (ყვავილნარი), სჰოპ-ასსისტანტ (მალაზიის გამყიდველი)... პრეფიქსოიდის სახელები: ცო-პროდუცტიონ (ნაწარმი), ეხ-ლოვერს (ყოფილი თაყვანისმცემელი), ნონ-სტოპ (გაუჩერებლად), უნ-მერიცან (ანტიამერიკული)...

ამგვარი დაწერილობის გავლენა უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი ქართულ ერთცნებიან კომპოზიტებში დეფისის გამოყენებისა. ზოგი

სახელი, რომელიც ინგლისურიდან შემოვიდა, არასწორი დაწერილობით დამკვიდრდა, რაც, ვფიქრობთ, უმჯობესია შეიცვალოს.

## რ უ ს უ დ ა ნ ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი

### მორფოლოგიურ შეცდომათა ასახვა ელექტრონულ ლექსიკონში

მასმედიის ენა ყოველთვის იმსახურებს ლინგვისტთა ყურადღებას, რადგან მასში აშკარად ვლინდება ცოცხალ ენაში მიმდინარე პროცესები და საზოგადოების დამოკიდებულება სალიტერატურო ენის სიწმინდისადმი.

ძნელია იმის თქმა, რომ წინა წლებთან შედარებით ამ თვალსაზრისით მდგომარეობა გაუმჯობესდა, რადგან სალიტერატურო ენის ნორმათა რღვევა და მისადმი დაუდევარი დამოკიდებულება, სამწუხაროდ, თითქოს აღარავის ეხამუშება. ცხადია, სხვაობა საგრძნობია შეცდომათა რაოდენობისა და ტიპების მიხედვით სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში, რაც განპირობებული ჩანს ჟურნალისტის ან სტილისტური რედაქტორის კეთილსინდისიერებითა და კვალიფიკაციით.

მორფოლოგიური შეცდომების განსაკუთრებით დიდი წილი მოდის ზმნის პირის ნიშნების, ზმნისწინებისა და თემის ნიშნების გამოყენებაზე, გვხვდება მწკრივთა არასწორი წარმოების შემთხვევებიც; ასევე პრობლემატური ჩანს სახელთა კუმშვა-კვეცა, ნაცვალსახელთა გამოყენება ზმნისართ-თანდებულებთან, „იგივე“ ან „ერთი და იგივე“ ნაცვალსახელების ბრუნება, „ვ“-ს ჩართვისა და დაკარგვის შემთხვევები, სხვათა სიტყვის ნაწილაკების ხმარება და სხვ.

თანამედროვე კომპიუტერულმა ეპოქამ ენათმეცნიერთა შესაძლებლობებიც გაზარდა და შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონის შექმნა გამოსადეგი იქნება ფართო მომხმარებლისთვის. სამწუხაროდ, მანამდე თითქმის ყველა კვალიფიციური ენათმეცნიერული გამოკვლევა ლინგვისტთა ვიწრო წრისთვის რჩებოდა ხელმისაწვდომი.

ამ ტიპის ლექსიკონზე მუშაობამ წარმოაჩინა სპეციფიკური ხა-

სიათის პრობლემებიც, რადგან მხოლოდ მცდარი და მართებული ვარიანტის მიწოდება იოლი გზით სიარული იქნებოდა. ამიტომ საჭიროდ მივიჩინეთ ტიპობრივ შეცდომათა კომენტირება, თუმცა რჩევის ფორმის ჩამოყალიბებაც რთული აღმოჩნდა, რადგან მარტივად, ენათმეცნიერული ტერმინების გამოუყენებლად კომენტარი ვერ შექმნებოდა. აუცილებელი გახდა საილუსტრაციო მასალის ერთგვარი შემოკლება და მცირეოდენი კორექტირებაც. მუშაობის პროცესში წარმოჩნდა ზოგიერთი შეცდომის კვალიფიკაციის სიძნელეც (მორფოლოგიურად მიგვეჩნია თუ სინტაქსურად).

შეცდომათა ელექტრონული ლექსიკონის მიზანი იყო არა თოგრაფიულ დარღვევათა მეცნიერული ანალიზი, არამედ პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა და მისაწვდომობა ფართო მომხმარებელებისთვის. ვფიქრობთ, ლექსიკონის დანიშნულებას ზრდის სწორედ ის, რომ ეფუძნება მასმედიაში გავრცელებულ, ტიპობრივ შეცდომებს, რაც ასახავს საზოგადოებაში ამ თვალსაზრისით არსებულ სურათს. ვფიქრობთ, მსგავსი ტიპის ლექსიკონი გამოსადეგი იქნება არა მარტო ჟურნალისტების, მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის, არამედ პედაგოგებისა და ქართული ენის სიწმინდის დაცვით დაინტერესებული ადამიანებისთვისაც.